Akhaltsikhe State Teaching University

GULANI

10

PublishingHouse
„Akhaltsikhe University"
Akhaltsikhe -2011

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გულანი

10

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“
ახალციხე – 2011

УДК (უაკ) 81+82+93/94+37
UDC გ 936

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ბერიძე *(რედაქტორი),* ***ნესტან სულავა*** *(რედაქტორის მოადგილე),* ***მაკა ბერიძე*** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ***თინა ივლაშვილი, როინ ყავრელიშვილი, ნანა გოგოლაშვილი, რომან გოგოლაური.***

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

მთავარი რედაქტორის ტელეფონი 899 57 58 68

რეზიუმეები თარგმნა ***გულნარა ჯანოვამ***

© ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2011

ISSN 1987-6157

ბონდო არველაძე

ქართლის კათოლიკოსი კირიონ I

ქართლის კათოლიკოსის კირიონ I-ის (591-615) ღვაწლი მშობლიური ენის წინაშე, სამწუხაროდ, ჩრდილშია მოქცეული და მას მარტო მეცნიერ-სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობს. ეს სავალალო ფაქტი ქართველი ხალხის გულგრილობის ბრალი კი არ არის, არამედ მიზეზი მისი არაპოპულარობისა გახლავთ სამოცდაათწლიანი მიზანმიმართული ათეისტური პროპაგანდა, რომ ხალხს შესძულებოდა ქრისტიანული ეკლესია და მისი მსახური. ეს იყო უახლოეს წარსულში. დღეს კი რა გვიშლის ხელს, ქართლის კათალიკოსის კირიონ I-ის დამსახურება რომ ერს გავაცნოთ და თავისი კუთვნილი მივუზღოთ.

ახლა მოკლედ, რაში გამოიხატება ქართლის კათალიკოსის კირიონ I-ის დიდი მამულიშვილობა. ამ ისტორიულ პიროვნებას საეკლესიო მოღვაწეობა მოუხდა რთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პერიოდში. ეს ის დროა, როცა ორი დიდი სახელმწიფოს, ბიზანტიისა და სპარსეთის, ცილობის საგნად იყო ქცეული ქართლი და სომხეთი. მძლავრობა ამ ორი პატარა ქვეყნის მიმართ დამთავრდა იმით, რომ ბიზანტიამ თავისი გაელენის ქვეშ მოაქცია ქართლი, სპარსეთმა – სომხეთი. დამორჩილება რელიგიურ ფაქტორსაც გულისხმობდა. სპარსეთმა სომხეთის მონოფიზიტორი სარწმუნოება დაუპირისპირა ქართველთა დიოფიზიტობას. ასეთი მწვავე პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის ვითარებაში კათალიკოსმა კირიონ I-მა პოლიტიკური ალღო, შორსმჭვრეტელობა და ეროვნული სიფხიზლე გამოიჩინა.

სამწუხაროდ, მის შესახებ ძუნწი ბიოგრაფიული ცნობებია შემორჩენილი. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი გვამცნობს: კათალიკოსი კირიონ I, ქვეყნით და ტომით ქართველი ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან ყოფილა. ერისკაცობაში სვიმეონი რქმევია. პირველი სწავლა-განათლება მშობლიურ მხარეში მიუღია, ფართო და ღრმა განათლება – ბიზანტიაში.

განსწავლულობა რომ დაუმთავრებია, ხუთი წელი ქორეპისკოპოსად მჯდარა, შემდეგ კი დაუკავებია ქართლის საკათალიკოსო ტახტი, მან ქალკედონის კრების (451წ. 8 ოქტომბერი) დადგენილება უყოყმანოდ გაიზიარა და მტკიცედ დადგა დიოფიზიტობაზე. ეს კი სომხური ეკლესიის მესვეურებს ძალიან არ მოსწონებიათ, რადგან მათ დიოფიზიტობა აირჩიეს. ამ კრების შემდეგ ქართული და სომხური ეკლესიის გზები დაშორდა, მაგრამ დავა ქრისტეს ბუნების რაობის შესახებ არ შეწყვეტილა და შემდგომ საუკუნეებში არანაკლები სიმწვავით რამდენჯერმე განახლდა. ქართლის კათალიკოსის კირიონ I-ისა და სომეხ საეკლესიო მამათა ეპისტოლეები შემორჩენილია მხოლოდ სომხურ ენაზე, ქართული კი დაკარგულია. ამ მიმოწერაში ნათლად მოჩანს, რომ ორივე მხარე თავგამოდებით ცდილობს, ერთმანეთს დაუმტკიცოს თავისი რელიგიური მრწამსის უპირატესობა და ჭეშმარიტება. ეპისტოლეთა შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ სომეხ მამათა ეპისტოლეების ტონი მწვავე და შემტევი ხასიათისაა. ქართველი მღვდელმთავრის ეპისტოლეები გამოირჩევა დინჯი, დარბაისლური ტონით და მოქნილი დიპლომატიური სტილით. როცა სომხეთის კათოლიკოსი აბრაამი, დარწმუნდა, ქართველ კათალიკოსს „ჭკუაზე ვერ მოიყვანდა” და მონოფიზიტობაზე ვერ გადაიბირებდა, თავის ერს ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა აუკრძალა: „სრულიად არ ეზიაროთ მათ (ქართველებს) არც ლოცვაში, არც ჭამაში და სმაში, არც მეგობრობაში, არც სალოცავად წახვალთ ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ეკლესიაში მიიღებთ ქართველებს, არამედ ქორწინებისაგან სრულად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიყიდეთ ვითარცა ურიებს”. ეს არის პირველი დოკუმენტი სომხურ ენაზე, რომელიც ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. მან უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობაზე გარკვეულ პერიოდში.

აქვე შევნიშნავთ, რომ უკანასკნელი პერიოდის სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ქართველები ოდითგანვე იდგნენ

დიოფიზიტობაზე და მონოფიზიტობა არასდროს უღიარებიათ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს.

კათალიკოს კირიონ I-ს ქართლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში, ფაზისში მოუხდა მღვდელთმთავრობა. კიდევ მეტი, ზ. ალექსიძის აზრით, კირიონი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ალექსანდრიის საპატრიარქოს განაგებდა კირიონ ალექსანდრიელის სახელით. ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: კირონ I მცხეთელი ფართო მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე და თავისი ერის ღირსეული შვილია. მისი ქართული ეროვნულობა იმდენად მკვეთრად გამოირჩეულია, რომ სომეხი ისტორიკოსი ლეო (ბაბახანიანი) თვალს ვერ ხუჭავს ამაზე და იძულებულია თქვას: „კირიონმა დაწყებული საქმე (იგულისხმება კათოლიკოს კირიონ I -ის მიერ ქალკედონის კრების გადაწყვეტილების განუხრელი ერთგულება და გატარება – ბ.ა.) ბრწყინვალედ დაასრულა და უფლება მოიპოვა მას ეწოდოს ქართველი ხალხის ერთგული შვილი.”

სომხურ მონოფიზიტობას გრიგორიანობა მოგვიანებით 1836 წელს რუსულმა მმართველობამ უწოდა და დღესაც ასე ეწოდება, იგი იმთავითვე კონსერვატიული და რეაქციული ბუნებით ხასიათდებოდა და ამიტომ სხვადასხვა არასაკადრისი ხერხით ცდილობდა უცხო ერის შვილთა ჯერ მონოფიზიტობაზე გადაყვანას, მერე კი მათ არმენიზაციას წინ აღარაფერი ედგა. რადგან მონოფიზიტობას და ეროვნულობას ერთ სიბრტყეზე განიხილავდა ქართველი ერი, კათალიკოსმა კირიონ I-მა თავისი ხალხი მტკიცედ წაიყვანა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი ქრისტიანული გზით. „საუკუნეთა მანძილზე კულტურულ-პოლიტიკური შეხლა-შემოხლის და დუღილის შედეგად ძველი კულტურის მქონებელმა ქართველმა ხალხმა ამ კოსმოპოლიტურ რელიგიას (იგულისხმება ქრისტიანობა ბ.ა.) ქართული ელფერი მისცა და „ქართული” ახლო აღმოსავლეთში სომხურის და ბერძნული ქრისტიანობისაგან გამნსხვავებული (ენით) რელიგიის აღმნიშვნელ ცნებად იქცა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ. სომხების და ბერძნების გვერდით, ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება,

დიდი კულტურული ძალის მოწმობა და ქართული ქრისტიანობის გავრცელება. ეს იყო ქართული კულტურის უცილობელი გამარჯვების აშკარა მოწოდება (ქართული ქრისტიანობით შეცვლა დასავლეთ საქართველოში ბერძნული ქრისტიანობისა კმარა ამის ნიშნად), ეს იყო დიდი ეროვნული საქმე", – წერს ნ. ბერძენიშვილი ქართული ქრისტიანობის შესახებ. ამდენად, ქართული ქრისტიანობის ეროვნული ნიშნით ქმნილებისა და პირველი კალაპოტის დამწყებია კათალიკოსი კირიონ I მცხეთელი. ეს გახდა საფუძველი, გიორგი მთაწმიდელს XI ს-ში ამაყად ეთქვა: **„რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს** (დიოფიზიტობა – ბ.ა.) **არღარა მიდრეკილ ვართ მარცხილ გინა მარჯულ და არცა მივდრკებით თუ ღმერთსა უნდეს."**

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის აღიარებული მკვლევარი და ავტორიტეტი აკად. კ. კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „კათალიკოსი კირიონი დიდი პატრიოტია, რომელიც მეღვრად ასახავს სამშობლოს ინტერესებს სომხებთან კამათის და ცილობის პროცესში."

კათალიკოს კირიონ I-ის ნებისყოფით, ენერგიით და განსაკუთრებით მისი ეროვნული შემართებით აღტაცებულ ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: "კირიონი რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით, დიდი საქმე ქმნა, ეროვნული თვალსაზრისით ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა. როგორც ჩანს, ჩვენ მას ძეგლი უნდა დავუდგათ". იცოდა, რას ამბობდა დიდი ექვთიმე. მართლაც დაამშვენებდა ქართლის კათალიკოსის კირიონ I-ის ძეგლი საქართველოს დედაქალაქს, ჭაღარა თბილისს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. I, 1964.

ლეო, 1950 - ლეო, სომხეთის ისტორია, ტ. I, 1950 (სომხურ ენაზე).

ალექსიძე, 1068 - ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმნით, გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ.,1968.

მერკვილაძე, 1997 – დ. მერკვილაძე, ქართლის ოფიციალური რელიგია ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ფონზე, თბ., 1997.

ლია ახალაძე

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისათვის*

მეცნიერული ქართველოლოგიისათვის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხი XXI საუკუნეშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. ქართული წარწერების მოძიებისა და შესწავლის აუცილებლობაზე, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „სხვა საშურ საქმეთა შორის ეს ყველაზე მოუთმენარია“, რადგან „განადგურებულია და მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულია მრავალი უძველესი წარწერა და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, დღეს ჩვენს თვალწინ დიდის სისწრაფით ნადგურდება და იღუპება ის, რაც აქამდის ჟამთა ქარტეხილს გადაურჩა (ბერძენიშვილი, 1964:45)“. საგულისხმოა, რომ ეს განცხადება მეცნიერმა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ გააკეთა, რაც თვალნათლივ მიუთითებს საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონში ეპიგრაფიკული ძეგლების მაშინდელ სავალალო მდგომარეობაზე.

ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში, საქართველოს ისტორიულ რეგიონებს შორის, ჯავახეთს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ბუნებრივია, რომ ამ რეგიონში დიდი რაოდენობით წერილობითი კულტურის ძეგლი შეიქმნა, რომელთა შორის სიმრავლით ეპიგრაფიკული ძეგლები გამოირჩევა.

ქართული და უცხოენოვანი ისტორიული წყაროები (სტრაბონი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ანონიმი სომეხი გეოგრაფი, მატიანე ქართლისაის უცნობი ავტორი, ვარდან არეველცი,

---

* ნაშრომი შესრულებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) 2009 წლის 10 თებერვლის №-33-09 გრანტის ფარგლებში

ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები) ჯავახეთს ერთმნიშვნელოვნად საქართველოს ერთ-ერთ რეგიონად და ქართველებით დასახლებულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა..., სამხრით მთა ნიალის-ყურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდან ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად.... ხოლო დასავლეთით მზღვრის ჯავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეითი, და წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირე გორანი;

ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწურივ მტკურამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამხრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე..... კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი..... სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად,.... გარნა ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეცა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა (ვახუშტი, 1973:671-672)“.

XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჯავახეთში ოსმალეთის იმპერიიდან სომხური მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება მოხდა, რის შედეგადაც რეგიონში გაჩნდა სომხური ეპიგრაფიკული მასალა.

ჯავახეთის რეგიონში ეპიგრაფიკული ძეგლები ოთხ ენაზე გვხვდება: ქართულ, ბერძნულ, ოსმალურ და სომხურ ენებზე[1]. ბუნებრივია, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ქართუ-

---

[1] საგულისხმოა, რომ განსხვავებით სომხური წარწერებისაგან, ჯავახეთის ბერძნული და ოსმალური წარწერები და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება დღესაც სუსტად არის წარმოჩენილი წყაროთმცოდნეობით კვლევებში. სამწუხაროდ, ჯავახეთის ბერძნული წარწერები არ შევიდა თ. ყაუხჩიშვილის საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის არც პირველ (1951) გამოცემაში და არც მეორე შესწორებულ და შევსებულ გამოცემაში 2004 წელს.

ლენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. ბერძნული წარწერები, ძირითადად, ქრისტიანულ რელიგიასთან არის დაკავშირებული და მათი დიდი ნაწილი განმარტებითი ფრესკული წარწერებია, ხოლო ოსმალური წარწერები რეგიონში ოსმალეთის ბატონობის ხანას განეკუთვნება და ისინი ქართულთან შედარებით, ძალზე მცირერიცხოვანია. რაც შეეხება სომხურენოვან წარწერებს, მათი ქრონოლოგია, ძირითადად, XIX საუკუნით უნდა განისაზღვროს, თუმცა არსებობს უფრო ადრეული პერიოდის წარწერებიც, რაც სომხეთის დიდი ნაწილის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნით (XII-XV სს) და გვიან შუა საუკუნეებში მუსლიმანური სამყაროს მიერ შეკიწროვებული სომხური მოსახლეობის სამხრეთიდან მიგრაციით უნდა აიხსნას.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიება-შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო. ამ რეგიონისადმი მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესი სხვადასხვა დროში სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა. სხვადასხვა იყო წარწერების ფიქსაციის მეთოდი და საშუალებებიც კი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა წარწერათა ტექსტების დაზუსტება და სრულყოფილი წაკითხვა.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, მათ შორის ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია პირობითად, შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

I ეტაპი - XIX საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით;

II ეტაპი - საბჭოთა ეპოქა, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით;

III ეტაპი - პოსტსაბჭოთა ეპოქა - XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე;

სამივე პერიოდში ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი ინტერესი განპირობებული იყო როგორც ამ რეგიონში დაცული სიძველეების სიმრავლით, ასევე მხარის ისტორიული გეოგრაფიისა და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ცხოვრებაში ჯავახეთის განსაკუთრებული მნიშვნელობით. სამივე ეტაპზე გამოვლინდა

მრავალრიცხოვანი ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერები. მიუხედავად ამისა, ჯავახეთის ეპიგრაფიკა არცერთხელ არ გამხდარა ცალკე, სპეციალური კვლევის საგანი. გამონაკლისია ვასილ ცისკარიშვილის მონოგრაფია „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო“ (ცისკარიშვილი, 1959), რომელშიც ავტორმა სპეციალური კვლევის საგნად აქცია რეგიონის ლაპიდარული, ანუ ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები და ნაკაწრი წარწერები. საგულისხმოა, რომ ეს მონოგრაფია საბჭოთა იდეოლოგიისათვის არცთუ მისაღებ ნაშრომს წარმოადგენდა, მაგრამ იგი მალე იქცა ქართული ეპიგრაფიკის მკვლევართა სამაგიდო წიგნად.

კვლევის პირველ ეტაპზე - XIX საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა წარწერების შეგროვებითა და ზოგადი აღწერით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე შექმნილმა აღწერითი ხასიათის ნაშრომებმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართველოლოგიას და ქართულ ეპიგრაფიკას, რადგან ამ დროს შეგროვილი და გამოქვეყნებული წარწერების ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, დღეს განადგურებულია და ინფორმაცია მათ შესახებ მხოლოდ ამ პუბლიკაციებშია შემორჩენილი. I ეტაპზე მოღვაწე მკვლევართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარი *ბროსეს, ივ. როსტომაშვილის, თედო ჟორდანიას, ი. სინაკოევის, ე. თაყაიშვილის, კალისტრატეს, ვ. კოპრონაშვილის, ე. შილდელის, ვინმე მესხისა* და სხვათა პუბლიკაციებს (იხ. ბროსე და სხვები..).

ჯავახეთის წარწერების მოძიების პირველ ეტაპზე შექმნილ პუბლიკაციებს შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია ცნობილი ქართველოლოგის მარი ფელისიტე ჟსავიე ბროსეს ნაშრომი Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie. 2 livre. ბროსეს ნაშრომს მოგზაურობის ხასიათი აქვს და იგი დაწვრილებით აღწერს ყველა იმ სიძველეს, რომელიც მან მოინახულა. ბროსეს თვალსაწიერში მოხვდა ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორიცაა ვარძია, წუნ-

და, კუმურდო, წყაროსთავი, განძანი, მირაშხანი, ფოკას ტაძრები და მათი წარწერები.

საინტერესოა, ბროსეს დაკვირვებები წუნდისა და კუმურდოს ტაძრების შესახებ, რომელსაც ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე აკეთებს. ბროსეს თქმით, იმ დროს საკმაოდ კარგად იყო შემონახული წუნდის ეკლესია, რასაც ვერ ვიტყვით კუმურდოს ტაძარზეო. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს, რომ „თავისი ლამაზი ფორმებითა და დიდი პროპორციებით, დიდებული მდებარეობითა და სწორი დაგეგმარებით საუცხოოდ შერჩეული და ლამაზად გათლილი ერთნაირი ფერის ქვებით, მაღალი ხელოვნებით შესრულებული ქვების წყობით, განსაკუთრებით კი მის კედლებზე შემორჩენილი წარსულის ნაშთებით, კუმურდო აღემატება ყველაფერს, რაც კი დღემდე მინახავს საქართველოში.[2]“ მარი ბროსეს კუმურდოს ტაძრიდან გადმოუწერია 11 წარწერის შინაარსი, მათ შორის კუმურდოს მთავარი საამშენებლო წარწერის გრაფიკული მონახაზი. საგულისხმოა, რომ სწორედ, კუმურდოს წარწერების შინაარსის საფუძველზე გამოიტანა ბროსემ სწორი დასკვნა,რომ „ტაძარი აგებულია აფხაზთა მეფის ლეონ მესამის (957-967) მიერ 964 წელს, ეპისკოპოს იოანეს საფასით. ტაძარი რესტავრირებული და „გამდიდრებული“ იქნა ეპისკოპოსების იოანეს, ეფრემის, გრიგოლის და ზოსიმეს მიერ მომდევნო საუკუნეებში. რაც შეეხება კარიბჭეს, ბროსეს აზრით, „იგი აგებულია დედოფალ მარიამის მიერ, ელიზბალის საფასითა და ზოსიმეს ღვაწლით“. მარიამს ბროსე ბაგრატ მეოთხის დედად მიიჩნევს. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დაზუსტებულია, რომ იგი იყო ქართლის პირველი მუსლიმანი მეფის როსტომის მეუღლე მარიამ დადიანი, რომელიც კუმურდოს სამრეკლოს ქტიტორი იყო.

ბროსეს მთელ ამ აღწერილობაში ყურადღებას იქცევს ისეთი დეტალები, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ეპიგრაფიკული, არამედ ჯავახეთის ეთნოკულტურული ისტორი-

[2] ვეყრდნობით პროფ. ვალერი სილოგავას თარგმანს.

ის კვლევის თვალსაზრისითაც. „კუმურდოს მივაღწიე 12 ნოემბერს, ოთხშაბათ სადამოს, საქმის დასაწყებად უკვე ძალიან გვიანი იყო და ადგილის დათვალიერებით დავკმაყოფილდი. მე ძალიან კარგად მიმიღეს სომხებმა, რომლებიც, მათივე თქმით, ემიგრირებული იყვნენ აქ ერზრუმიდან 1829 წელს. სწორედ ამ სომხებს კუმურდოს ეკლესიაში სომხურ სტილზე ჩაუშენებიათ პატარა საკურთხეველი“, - წერს ბროსე.

განძანი, რომელიც ფარავნის ტბის მახლობლად მდებარეობს, ბროსემ ვერ მოინახულა, მაგრამ თავადმა მიხეილ ბარათოვმა – ბარათაშვილმა მას გადასცა განძანის ეკლესიის წარწერები, რომლებშიც დასახელებულია ბექა მანდატურთუხუცესი და მისი შვილი შალვა, რომელიც ასევე სპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოს ატარებდა. მარი ბროსემ სამართლიანად მიიჩნია, რომ შალვას ერთი და გათხოვილი იყო მეფე დიმიტრი თავდადებულზე, ხოლო მეორე ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი მეორეზე. მსგავსი ისტორიული წიაღსვლები ხშირია ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომში, რაც კიდევ უფრო მეტ ღირებულებას აძლევს მის მოგზაურობას.

მარი ბროსეს მოგზაურობის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ თავად ბროსემ განსაზღვრა: „ამ ექსკურსიის მთავარი შედეგი იყო კუმურდოს, ზარზმის, ხერთვისისა და ჯულების, ტაიჭის, ვალეს, საფარის ახალქალაქისა და ახალციხის ეკლესიების ნახვა. ეს დადებითი შედეგები დღეიდან მეცნიერების საკუთრებაა და ისინი განსაკუთრებულ ადგილს მოიპოვებენ იმ შრომებში, რომლებიც საქართველოს შესახებ დაიწერება. სხვათა შორის პატარ-პატარა შენიშვნები, რომლებიც დღეს უმნიშვნელო ჩანან, ძალიან მნიშვნელოვანი გახდება დროთა განმავლობაში ქართული კვლევის განვითარებასთან ერთად.“

ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ივანე როსტომაშვილის წვლილი ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომები „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“, „ახალქალაქის მაზრა არქეოლოგიური კუთხით“, „სოფელი ფოკა და მისი ნაშთი“, „სოფელი კუმურდო და მისი დიდე-

ბული ნაშთი“, „სოფელი ბარალეთი“, სტატიები, რომლებიც მან ჟურნალ მოგზაურში გამოაქვეყნა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ჯავახეთის წარწერების შესწავლის თვალსაზრისით. მარი ბროსესაგან განსხვავებით ივ. როსტომაშვილს თავის მთავარ ნაშრომში „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“ შესწავლილი და წარმოჩენილი აქვს ჯავახეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა საისტორიო წყარო, რომელიც მაშინ სამეცნიერო მიმოქცევაში იყო. ამ მიმოხილვის შემდეგ ავტორს ანბანის რიგზე აქვს დალაგებული ჯავახეთის სოფლები და ის ეკლესია-მონასტრები და ციხეები, სადაც ეპიგრაფიკული ძეგლები დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ივ. როსტომაშვილმა ეს ნაშრომი რუსულ ენაზე გამოსცა, მასში ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოდგენილია ძველი ქართული ასომთავრული და შესაბამისი მხედრული ტრანსკრიპციით. ივ. როსტომაშვილი პირველი შეეცადა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ მეცნიერულად გამართული ნაშრომი შეექმნა, სცადა ტექსტების დადგენა-დაზუსტება, დათარიღება, მათი წაკითხვის ვარიანტებისა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის წარმოჩენა, ისტორიულ პირთა იდენტიფიკაცია და ა. შ. ბუნებრივია, მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული უნებლიე შეცდომებისა თუ უზუსტობებისაგან, რაც შემდგომი პერიოდის კვლევებმა დაადასტურეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაშრომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორიაში, ფაქტობრივად, იგი საეტაპო მნიშვნელობის პირველი კონკრეტული კვლევა არის საქართველოს ამ ისტორიული რეგიონის, და ზოგადად, ქართული ეპიგრაფიკის შესახებ. ნაშრომში დაცულია ინფორმაცია ჯავახეთის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ტაძრისა და მისი წარწერების შესახებ: აბულის, ალასტანის, ბარალეთის, ბურნაშეთის, ვარდისციხის, განძანის, იხტილას, ჯიგრაშენის, ყაურმის, კუმურდოს, კულალისის, მურჯახეთის, სადამოს, სამსარის, საროს, სათხის, ფოკას, ხერთვისის, ხორენიას, წუნდის, ახალქალაქის, გოგაშენის და ა. შ. წარწერები.

ასევე გამორჩეულია ქართული სიძველეების მკვლევრის ივანე გვარამაძის მიერ შეგროვილი და გამოქვეყნებული ინფორმაცია ჯავახეთის წარწერების შესახებ, რომელიც ზოგჯერ კალისტრატეს, ან ვინმე მესხის სახელით აქვეყნებდა სტატიებს (მიქაძე, 1966:11). ჩვენთვის საყურადღებოა, მისი სტატიები „ჯავახეთიდამ, არხეოლოგიური შენიშვნები“, „ჯავახეთიდამ“ და „საისტორიო მასალა“. სამივე პუბლიკაციაში გამოქვეყნებულია წარწერების ტექსტების შინაარსი და მათ'ში დასახელებულ ისტორიულ პირთა სავარაუდო იდენტიფიკაცია-დათარიღება.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი იყო თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომები, რომელთა პუბლიკაციებმა შემოგვინახეს ცნობები ჯავახეთის იმ წარწერების შესახებაც, რომლებიც ვერ მოხვდნენ ივ. როსტომაშვილის ნაშრომში.

ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის მეორე ეტაპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცავს საბჭოთა ეპოქას – XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით. ამ პერიოდის პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია: *ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. ცისკარიშვილის, დ. ბერძენიშვილის, ვ. ბერიძის, ლ. მუსხელიშვილის, ბ. მჭედლიშვილის, გ. ოთხმეზურის, შ. ონიანის, ც. გაბაშვილის, გ. ბოჭორიძის, ს. ბურდილაძის, გ. გაფრინდაშვილის, ვ. კოპალიანის, კ. მელითაურის, ნ. შოშიაშვილის, ს. მაკალათიას, შ. ლომსაძის, ვ. სილოგავას, ზ. სხირტლაძის, გ. ჩუბინაშვილის ვ. ზუხბაიას, შ. მესხიას, დ. მუსხელიშვილის* და სხვათა პუბლიკაციები (იხ. კაკაბაძე და სხვები). აღნიშნული შრომების უმრავლესობა რეგიონის ისტორიულ გეოგრაფიას, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ან სხვა სიძველეებს შეეხება, მიუხედავად ამისა, მათში მოცემულია, ან საისტორიო წყაროდ არის გამოყენებული ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები. ზოგჯერ გვაქვს წარწერათა ახლებური იკითხვისებიც. მათ შორის საკუთრივ ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევას ეხება *ნ. ბერძენიშვილის, ვ. ცისკარიშვილის, ნ. შოშიაშვილის, ვ. სილოგავას, გ. ოთხმეზურის* ნაშრომები.

ნ. ბერძენიშვილმა ნაშრომში „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური“, რომლითაც 1937 წელს საანგარიშო მოხსენებით წარსდგა თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის წინაშე, კვლევის კონკრეტული მიმართულებები, ამოცანები და მიზნები დაუსახა მომავალ მკვლევრებს, არა მარტო ჯავახეთის წარწერების, არამედ ზოგადად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის საკითხში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებებით ხელმძღვანელობდა და საზრდოობდა მომდევნო პერიოდის მკვლევართა დიდი ნაწილი.

ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბდა ქართული წარწერების კვლევის ახლებური მეთოდოლოგია. შემუშავდა წარწერათა ტექსტების კრიტიკული დადგენა-დაზუსტების, დათარიღების, გამოცემის, იკითხვისების მითითების და ა. შ. მეთოდიკა. გამოიცა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სამი ტომი. მათ შორის ორი ლაპიდარული და ერთი ფრესკული წარწერების კორპუსი. პირველ ტომში შევიდა ჯავახეთის V- X საუკუნეების წარწერები კუმურდოს, ყალაბოინას, სამსარის, ფიის წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ეკლესიების წარწერები (შოშიაშვილი, 1980:262-277). გ. ოთხმეზურის მიერ შესწავლილი იქნა ქართული ლაპიდარული ძეგლების „ოქროს ფონდის“ – XII-XIII საუკუნეების წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება, რომელშიც შევიდა ჯავახეთში მოძიებული იურიდიული აქტები და ხელის გამოსახულებიანი სტელები და ა. შ (ოთხმეზური, 1981).

მიუხედავად ამისა, მეორე ეტაპზე (XX 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით) ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა ვ. ცისკარიშვილის მონოგრაფია „ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო“. ეს იყო აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა რეგიონის წარსულის შესახებ. შეიძლება ითქვას გაბედული ნაბიჯიც მკვლევრის მხრიდან, რადგან საბჭოთა იდეოლოგია და მისი ცენზურა „გაურბოდა“ საქართველოს ისეთი ისტორიული რეგიონების, როგორიც იყო ჯავახეთი, აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“, ეპიგრაფიკული

ძეგლების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. უფრო მეტიც, ეს თემა, ეროგვარად, ტაბუდადებულ საკითხადაც კი ითვლებოდა. ასეთ პირობებში „ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების როგორც საისტორიო წყაროს“ გამოცემა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

ვ. ცისკარიშვილის ნაშრომში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში პირველად დაისვა საკითხი ქართული წარწერების კლასიფიკაციის შესახებ. ჯავახეთის წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ავტორმა მოგვცა კიდევ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შინაარსობრივი კლასიფიკაციის პირველი დახასიათება და მათში გამოყო საამშენებლო, იურიდიული და მემორიალური წარწერები (ცისკარიშვილი, 1959:4). ნაშრომში შესწავლილია არეშის, კუმურდოს, ბურნაშეთის, ვარძიის, პრტენასა და სადამოს, იხტილას, განძანის, თმოგვის, ქარცების, კოთელიას და სხვა ტაძრების წარწერები. ცალკეა წარმოდგენილი პატარა და მცირე ისტორიული ღირებულების წარწერები. ავტორმა, ნ. ბერძენიშვილის შემდეგ, პირველმა სპეციალური კვლევის საგნად აქცია ხელის გამოსახულებიანი სტელები საქართველოში, რომელთაც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმა ეპიგრაფიკული აქტები უწოდა. საგულისხმოა, რომ ეს არ იყო „კორპუსის“ ტიპის გამოცემა, რადგან მასში წარწერათა ტექსტების კრიტიკული დადგენისა და დაზუსტების გარდა, შესწავლილია წარწერების, როგორც საისტორიო წყაროს ღირებულებაც.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ამ დროს დაიგეგმა ქართული წარწერების კორპუსის ტომეულების გამოცემა, რასაც მოჰყვა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სამხრეთ საქართველოში. ჯავახეთის რეგიონი სამხრეთ საქართველოს 1977 წლის ექსპედიციის კვლევის არეალში მოჰყვა. ექსპედიციის ანგარიში გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ (სილოგავა, 1980:264-288), თუმცა,

კონკრეტულად, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ცალკე შესწავლა ამ დროს ვერ მოხერხდა.

ვალერი სილოგავას ეკუთვნის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ეპიგრაფიკული ძეგლების პუბლიკაცია, რომელშიც ავტორმა ასევე გამოაქვეყნა მუზეუმის ექსპოზიციაში ფოტოსურათებითა და მულაჟებით წარმოდგენილი ქართული წარწერებიც. წარწერებს თან ახლავს არქეოგრაფიული აღწერილობა, ძეგლის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია, კომენტარები და წარწერების კრიტიკულად დადგენილი ტექსტები ფოტოსურათებით (სილოგავა, 2000).

ჯავახეთის სიძველეთა შესწავლა კიდევ ერთი საინტერესო მკვლევრის გიორგი ბოჭორიძის სახელთან არის დაკავშირებული, რომლის ნაშრომი „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“ მხოლოდ 1992 წელს გამოქვეყნდა და იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენია სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. გიორგი ბოჭორიძემ 1932-1933 წლებში იმოგზაურა ჯავახეთში, შეისწავლა მისი სიძველეები და ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა მოძიებას ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ეწეოდა. ნაშრომს თან ახლავს ახალციხის და ახალქალაქის ისტორიული ძეგლების სია, რომელიც ავტორმა მოინახულა და აღწერა. გ. ბოჭორიძის ნაშრომში მოხვდა ყველა სიძველე და ნივთი, რომელიც ავტორმა ამ მოგზაურობის დროს ნახა. საგულისხმოა, რომ გიორგი ბოჭორიძე აღწერს არა მარტო ისტორიულ ძეგლებს, არამედ მის ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას, მათ ეროვნებას, სარწმუნოებას, რაოდენობასა და გვარებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის მნიშვნელობასა და ღირებულებას.

ნაშრომი ძალზე მდიდარ მასალას იძლევა ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. ნაშრომში აღწერილია ყველა ხუროთმოძღვრულ ძეგლსა და ნივთზე არსებული ძველი ქართული წარწერა, მოცემულია მათი ასომთავრული, ან ნუსხა-ხუცური ტექსტი, შესაბამისი მხედრული წაკითხვით. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიგრაფიკული ძეგლების ერთი ნაწილი

დღეს დაკარგულია და ინფორმაცია მათ შესახებ მხოლოდ გიორგი ბოჭორიძის ნაშრომში არის დაცული.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის III პერიოდი მოიცავს პოსტსაბჭოთა ეპოქას - 1991 წლიდან დღემდე. ამ ეტაპზე ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის ისტორიაში *მნიშვნელოვანია დ. ბერძენიშვილის, ვ. სილოგავას, გ. ჯაყახიშვილისა* და სხვათა შრომები (იხ. ბერძენიშვილი და სხვები..). სომხურ ენაზე გამოქვეყნდა *პარუირ მურადიანის, ალექსანდრე ქანანიანის, სამველ კარაპეტიანის* პუბლიკაციები ჯავახეთის სომხური და ქართული წარწერების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია 150 წელზე მეტს ითვლის, მათი მოძიებისა და კვლევის საკითხი დღემდე აქტუალურია. ყველა ზემოთჩამოთვლილი ნაშრომი, ძირითადად ლაპიდარულ წარწერებს ეხება და ყურადღების მიღმა არის დარჩენილი მრავალრიცხოვანი ფრესკული წარწერები (არაფერს ვამბობთ ჭედურ წარწერებზე), თუმცა ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათის სხვადასხვა პუბლიკაციებში არსებობს ინფორმაცია მათ შესახებ. დღემდე არ არსებობს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, რომელშიც მოცემული იქნებოდა მოკლე ინფორმაცია ძეგლის ადგილმდებარეობის, არქეოგრაფიული აღწერილობისა და წარწერის ტექსტის შესახებ. რეგიონში არის ისეთი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც აღრიცხულიც კი არ არის და არსებობს მათი განადგურების დიდი საფრთხე. არ არსებობს ჯავახეთის რეგიონის ქართული, ბერძნული, სომხური და ოსმალური ეპიგრაფიკული ძეგლების ერთიანი კატალოგი, არ ჩატარებულა მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და სხვა. ასევე არ ჩატარებულა ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი ანალიზი, მისი კავშირი ადგილობრივ ონომასტიკასთან კერძოდ, ტოპონიმიკასთან და ეთნონიმებთან და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საკითხში აუცილებელია იმ პრობლემების გადაჭრა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას:

1. ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების (ქართული, სომხური, ბერძნული, ოსმალური) სრული კატალოგის შექმნა;

2. ძეგლების შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიის მოძიება და დაზუსტება;

3. ლაპიდარული წარწერების მოძიება, შეკრება, დასურათება, ტექსტების კრიტიკული დადგენა, არქეოგრაფიული აღწერილობა და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი;

4. ფრესკული წარწერების მოძიება, დასურათება, ტექსტების კრიტიკული დადგენა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი;

5. ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი;

ყველა ეს პრობლემა დღეს მწვავედ დგას ქართული ისტორიოგრაფიისა, და ზოგადად, ქართველოლოგიის წინაშე და იგი სასწრაფოდ მოითხოვს გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, 1964 – ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1. თბ., 1964.

ვახუშტი, 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იხ.: ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

მიქაძე, 1966 - გ. მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი რუსთველოლოგიური ლიტერატურისათვის, თბ., 1966.

ოთხმეზური, 1981 - გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

სილოგავა, 1980 – ვ. სილოგავა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში, მრავალთავი, 7, 1980;

სილოგავა, 2000 – ვ. სილოგავა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. კატალოგი–გზამკვლევი, თბ., 2000.

შოშიაშვილი, 1980 – ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), ტ. I, თბ., 1980.

ცისკარიშვილი, 1959 - ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

Lia Akhaladze

TO THE STUDY ISSUE OF JAVAKHETI'S EPIGRAPHIC MONUMENTS

Summary

The paper discusses history of study of epigraphic monuments of one of the historical region Javakheti and the present situation. History of studying of inscriptions is divided into three stages:

I stage – from the middle of the XIX century - including the 10-ies of the XX century;

II stage – The Soviet Epoch, from the 20-ies including the 80-ies of the XX century.

III stage – The Post-Soviet Epoch, from the 90-ies of the XX century to the present day;

Study aims, methods and means of these monuments were different in all three stages; Study of monuments of written culture of this region has an especially meaning because Javakheti occupies a distinguished place in the development history of Georgian statehood and Georgian culture.

All the issues are stressed in the article which face historiography regarding the study issue of epigraphic monuments of Javakheti.

1. To create a full catalog of epigraphic monuments of Javakheti (Georgian, Armenian, Greek, Ottoman);

2. To search and clarify existing bibliography about the monuments;

3. To search, collect and take pictures of the lapidary inscriptions, critical determination of the texts, archeological description and their historical-source study analyze.

4. To search, take pictures of fresco inscriptions, critical determination of the texts and historical-source study analyze.

5. Language and historical-comparative analyze of epigraphic monuments;

Nowadays all these problems face acutely Georgian historiography and in general, Georgian study (Kartvelology) and it urgently requires its resolving.

ჯავახეთის სოფელი აზმანა

სოფელ აზმანის ისტორია ჯერჯერობით მე-16 საუკუნიდან შეგვიძლია დავიწყოთ. იგი ოსმალებმა აღწერეს და დაუწესეს გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სელის თესლზე, იონჯაზე, თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე. აზმანელები საქორწინო გადასახადსაც კი იხდიდნენ. ეს გადასახადები მოეხსნებოდათ, თუ ისინი რწმენას შეიცვლიდნენ და ქრისტიანობას დათმობდნენ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა, სოფელი მტკიცედ იდგა თავისი წინაპრების გზაზე. 1595 წელს აზმანაში 12 ოჯახი ცხოვრობდა (ჯიქია, 1941:228). ეს საშუალო სიდიდის სოფელია. მაშინდელ საქართველოში და შემდეგაც. თითოეულ ოჯახში სამოცდან ას სულამდე ცხოვრობდა. ხშირად სამი ძმის შთამომავლები ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, რომ გადასახადი ერთი ჰქონოდათ, ოჯახი ძლიერი ყოფილიყო და გვარი და სარწმუნოება შეენარჩუნებინათ. ჩვენამდე მოაღწია თორმეტივე ოჯახის უფროსის სახელმა. ოსმალური აღწერის სისტემა განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამ პრობლემასთან იყო დაკავშირებული გვარის საკითხიც. ქართული გვარის სისტემა განსხვავდებოდა და განსხვავდება ოსმალურისაგან. ქართული გვარი გადადიოდა შთამომავლობით პაპიდან შვილზე, შვილიშვილზე და ასე შემდეგ, მაშინ, როდესაც ოსმალური გვარი მხოლოდ ერთ თაობას ჰქონდა. თუ მამას ერქვა **მუჰამედი,** მისი შვილი **ალი** იყო **მუჰამედოღლი,** ხოლო **ალის** შვილი იქნებოდა **ალიოღლი.** გვარის მიხედვით ვერ გაიგებდი, ერთი და იმავე შთამომავლობისა, ჯიშისა, თუნდაც ოჯახის შვილები იყვნენ თუ არა მამა და შვილი, პაპა და შვილიშვილი. გვარის ამ სისტემასთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესული იყო და არის ქართული გვარი, რომელიც გადადის შთამომავლობით. ფაქტობრივად თურქებს (ოსმალებს) გვარი არ ჰქონდათ ბოლო დრომდე და მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობს დღესაც. გვარის შემოღებას

თურქეთში 1934 წელს დასჭირდა მუსტაფა ქემალის სპეციალური დეკრეტი. დღესაც ნებისმიერ თურქს შეუძლია აიღოს ნებისმიერი სიტყვა გვარად, ოღონდ ეს სიტყვა გინება არ უნდა იყოს. აი, ასეთი ინტელექტისა და ტრადიციის დამპყრობი მოდის მე-16 საუკუნის საქართველოში და აღწერს მესხეთს, აქცევს მას გურჯისტანის ვილაიეთად, აწერს გადასახადებს. კიდევ ერთ საკითხს შეიძლება შევეხოთ გვართან და სარწმუნოებასთან დაკავშირებით. ხდებოდა ხოლმე, რომ სამი ძმიდან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც შეენახათ ქრისტიანად და მას გადასახადების გადახდაში მიხმარებოდნენ. ამ ფონზე გასაგები უნდა იყოს, რატომ არიან მაშინდელი აზმანელი ოჯახის უფროსები სახელით და მამის სახელით მოხსენიებული.

რა სახელები ერქვათ მაშინდელ ქართველებს? საქართველოში ყოველთვის დიდი თავისუფლება იყო სახელის დარქმევისა. ტრადიციული ქართული და კანონიკური ქრისტიანული სახელების გვერდით შემოსულა აღმოსავლური სახელებიც. ჩვენ ხომ ყოველთვის ისტორიის გზაჯვარედინზე ვცხოვრობდით. საკუთარი სახელები ზოგი სრული სახით არის წარმოდგენილი, ზოგიც კნინობითის ფორმით. გიორგის კნინობითი ფორმაა **გოგი**, ხოლო გოგისთვის მოფერებით **გოგიჩა** დაერქმევიათ. თორმეტკომლიან სოფელში ორი **გოგიჩა** იყო ოჯახის უფროსი, ერთის მამას ერქვა **მახარებელი**, ხოლო მეორისას – **ონანა. მახარებელი** ქართული სახელია, ხარებიდან მოდის, ამავე ფუძისაა **ხარება, მახარა, მახარე**. შესაბამისად გვაქვს ქართული გვარები: **მახარებლიძე, მახარობლიძე, გამახარია, ხარებავა, ხარებაშვილი, მახარაშვილი** და სხვა. რაც შეეხება მეორე მამის სახელს **ონანას,** იგი ძველი ებრაულიდან არის შემოსული ძველ ქართულში, რაც ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს აქვს დადასტურებული (ჭუმბურიძე, 2003:191). როგორც მივუთითეთ, ორი მახარებელი უფროსი თაობის წარმომადგენელია – მამები არიან. ერთი მახარებელი შვილებშიც არის, იგი **გულაბისძეა**. კომპოზიტური ქართული სახელიდან **გულაბერიდან** (ჭუმბურიძე, 2003:144) არის მიღებული

მახარებლის მამის სახელი **გულაბი.** ჯავახეთში გავრცელებული იყო ქართული სახელი ნათენა. ამ სახელს ბევრ სოფელში არქმევდნენ. მისგან ნაწარმოები გვარი **ნათენაძე** ყველაზე მეტად გვხვდება ჭაჭკარსა და გოგაშენში. **ნათენა** ნათელთან არის დაკავშირებული, მისი მონათესავე საკუთარი სახელია ნათელა. ნათენაში მოხდა ასიმილაცია, **ნ**არმა დაიმსგავსა **ლ**. ნათელა დღეს ჰქვიათ ქალებს, მაგრამ წინათ კაცის სახელადაც გვხვდებოდა (ჭუმბურიძე, 2003:246). საფიქრებელია, რომ ასევე ერქვათ კაცებს **ნათენა**, რასაც გვიდასტურებს აზმანაში მცხოვრები ნათენაც მე-16 საუკუნეში. ნათენას მამას ძველებრაული ბიბლიური სახელი **ელიაზარი** ერქვა. მისი მნიშვნელობა არის: „ღვთის წყალობა", „ღვთის შემწეობა" (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთია შემწე" (ჭუმბურიძე, 2003:150). **ელიაზარი** კიდევ ერთი ოჯახის უფროსის სახელია, ოღონდ მისი მამის სახელი ამოუკითხავია. დღეისათვის ამ ფორმით ეს სიტყვა ნაკლებად გვხვდება ქართულ სახელებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიულად ბევრს ერქვა მესხეთში. აზმანის გარდა, სხვა სოფლებშიც გვხვდებიან ამ სახელის ქართველები. ამ სახელთან არის **ზაზაძეთა** ერთ-ერთი შტოგვარის სათავის დამდებიც. მათ **ელლაზაანთ** ეძახიან. ელიაზარისაგან არის მიღებული ისეთი პოპულარული სახელი საქართველოში, როგორიცაა **ლაზარე** (ჭუმბურიძე, 2003:151) და მისგან მიღებული ქართული გვარები: **ლაზარიშვილი, ლაზარაშვილი, ლაზარია.** ბერძნული სახელები ოდითგანვე შემოდიოდა ქართულ ანთროპონიმიკაში. ზოგი მათგანი იმდენად შეისისხლხორცა ენამ, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია მისი არაქართულობა. ერთი მათგანია **ალექსი,** რომელიც ნიშნავდა „მცველს", მისგან არის მიღებული ქართული გვარები: **ალექსიშვილი, ალექსაშვილი, ალექსიძე** (ჭუმბურიძე, 2003:123). ძველ აზმანაში ამ სახელით ორი ოჯახის უფროსია, ოღონდ „დაეკნინებიათ" მათი სახელები და **ალექსა** უწოდებიათ. ერთი მათგანის მამას **აბა** ჰქვია, ხოლო მეორისას – **ანდრია.** აზმანის სახელებში ჩვენი ისტორიის უძველესი შრეების გამოძახილი ისმის. როდესაც ესა თუ ის სახელი შემოდის ამა თუ იმ რეგიონში,

ეს აუცილებლად ნიშნავს სერიოზულ კონტაქტებს იმ ენებთან თუ კულტურებთან, საიდანაც ეს სიტყვები ან სახელები შემოდის. ამ მხრივ სამაგალითოა მესხეთი, რომლის ისტორიული კუთხეები: ტაო, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი კოლა, აჭარა და სხვა ხალხთა მიგრაციების, კულტურათა შეხვედრების, რელიგიათა კონტაქტების ეპიცენტრში იყო ყოველთვის. ალექსას მამის სახელი **აბა** უძველესი სემიტური სიტყვაა. მის შესახებ ზ, ჭუმბურიძე წერს: „**აბა** (სემიტ.) – „მამა", „სულიერი მოძღვარი", „ხალხის მამამთავარი", მოგვიანებით პატივისცემის გამომხატველ ეპითეტად იქცა. ქართულში შემოსულია ბერძნულის გზით (აბბა → ამბა →ანბა//აბა), წმინდა მამის, მონასტრის წინამძღვრის მნიშვნელობით. დასტურდება უკვე VI საუკუნეში პალესტინის წარწერაში: „შეიწყალენ ანტონი **აბაჲ** და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ" აბა (//აბაი)-საგან ნაწარმოებია გვარები: **აბაძე, აბაიაძე, აბაშვილი. აბაიძე, აბაიშვილი**" (ჭუმბურიძე, 2003:120). რაც შეეხება მეორე **ალექსას** მამას **ანდრიას,** მისი სახელი კიდევ უფრო ახლობელია ქართველთათვის. **ანდრია პირველწოდებულმა** ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაამსხვრია ზადენის, აპოლონისა და აფროდიტას კერპები სამცხეში, მოაქცია აჭარა და მესხეთი. მის სახელთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი უძველესი სოფლის **ანდრიაწმინდის** სახელი და წმიდა ანდრიას სახელობის ეკლესია ამ სოფელში.

ერთი ძალიან საინტერესო სახელი დასტურდება მე-16 საუკუნის აზმანელებში. ეს არის **ღონენა**. აშკარაა, რომ –**ენ**-ა მაწარმოებელია ამ სიტყვაში. ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა და თევზეულთა სახელები ხშირად დომინირებს ადამიანთა ჯერ მეტსახელების ან სახელების შერქმევაში და ამის საფუძველზე შემდეგ გვარების ჩამოყალიბებაში, ამ დროს გარკვეულ როლს თამაშობს ტოტემი, ადამიანისა და ბუნების ნათესაობის ეს საინტერესო ფორმა. **ღონენაში** გამოიყოფა **ღონ-** ფუძე. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „**ღონა** (თევზ.) – ღორჯო ჰქვიან" ე. ი. ღორჯოს სხვაგვარად ღონა ჰქვია, ხოლო **ღონა** არის **ღვანას** ფონეტიკური ვარიანტი. **ღვანა//**

ღონა//ღორჯო პატარა, თავმსხვილი შავი თევზია. მთის წყალში არ იცის. ბინადრობს ძირითადად მტკვრის ნაპირებში ლამიან ადგილზე. ერთადერთი ფორმა **ღვანა** იცის მესხურმა (სამცხურმა და ჯავახურმა). „ღორჯო" შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერლებმა. საბოლოოდ ღორჯომ განდევნა კიდეც ღვანა და ამ თევზის სახელად მხოლოდ ამ სიტყვას ხმარობენ ღღეს. უფროსი თაობის ადამიანებში ერქვათ მეტსახელად **ღვანა,** ხოლო შედარებით ახალგაზრდებში შეარქმევენ ხოლმე **ღორჯოს** ისეთ ადამიანს, ვისაც შავი ფერი და დიდი თავი აქვს. ეტყობა **ღონენაც** ამ ნიშნებით გამოირჩეოდა. შეიძლება –ელ სუფიქსი გამოვყოთ ღონენას მამის სახელში – მისელა, ოღონდ ფუძის მნიშვნელობა უცნობია. ორი ბერიკაცი – მაცაცა და მამუკა იმდენად ცნობილი ადამიანები ყოფილან, რომ მათი შვილიშვილები ოსმალო მოხელეს პაპების სახელების მიხედვით დაუფიქსირებია – **მაცაცას** შვილიშვილი, **მამუკას** შვილიშვილი. მაცაცა//მაცაცო დღეისათვის მეტსახელად გვხვდება, ოღონდ ქალებში. მამუკა ღღესაც პოპულარულია ქართულ სახელებში. მისგან არის მიღებული ქართული გვარი მამუკაშვილი, რომელიც გვხვდება მესხეთში. აზმანის მცხოვრებლებში არის ერთი გაურკვეველი წარმომავლობის მქონე სახელი – **ბაისონღუნი,** რომელსაც ჰყავს შვილი **ბადურა**. გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს აქვს კნინობითობის მაწარმოებელი ნიშანი –ა, რომელიც მხოლოდ ქართული სახელებისათვის არის დამახასიათებელი, საკმაოდ პოპულარული იყო მაშინდელ ქართველებში. **ბადური** მიღებულია **ბაადურისაგან** და მონღოლური წარმოშობის სიტყვაა, (ჭუმბურიძე, 2003:129). მისგან არის მიღებული ქართული გვარები: **ბადურაშვილი, ბალათურია, ბალათრიშვილი** (ჭუმბურიძე, 2003:130). საბოლოოდ ჩამოვთვალი იმ 12 კომლის უფროსებს იმ სახით, როგორც აღწერეს ოსმალო მოხელეებმა:

მახარებელ გულაბისძე
ნათენა ელიაზარისძე
გოგიჩა ონანასძე
იოსებ ალექსასძე

ალექსა აბასძე
ელიაზარ
ალექსა ანდრისძე
ღონენა მისელისძე
მაცაცას შვილიშვილი
მამუკას შვილიშვილი
ბადურა ბაისონღუნისძე
გოგიჩა მახარებლისძე

ამგვარად, შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ ოსმალოების მიერ აღწერილ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ასე მოვიდნენ ისინი მე-19 საუკუნემდე. 1829-1930 წლებში, როდესაც ჯავახეთიდან ქართველები, როგორც მაჰმადიანები, გაასახლეს და მათ ადგილზე ოსმალეთიდან, თავიანთი ისტორიული სამშობლოდან, შემოასახლეს სომხები, აზმანელები არ წავიდნენ არსად. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სარწმუნოება შეცვლილი. შემდეგისათვის მოვლენები განვითარდა რუსული სცენარით. რუსეთის იმპერიას არ სურდა ერთი რწმენისა და ეროვნების ქართველები ყოფილიყვნენ ჯავახეთში, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს ერთიანობის საფუძველიც. ამ საქმეში რუსეთისა და ოსმალეთის მიზნები ემთხვეოდა ერთმანეთს. ამან განაპირობა რუსეთის მმართველობის დროს ჯავახეთის დარჩენილი ქართული მოსახლეობის დაჩქარებული გამუსლიმება და მათთვის **თათრის** იარლიყის მიკერება. 1886 წელს რუსეთმა ჩაატარა აღწერა და სხვადასხვა კუთხის ქართველები ცალკე ეროვნებებად გამოაცხადა. კერძოდ: იმერეთში მცხოვრებ ქართველს ეროვნებად ჩაუწერეს იმერელი, გურიაში მცხოვრებს – გურული, აჭარელი, ხევსური, მთიული და სხვა. ასე გაჩნდა მუსლიმი ქართველების ეროვნებად სარწმუნოებრივი აღმსარებლობა და მათ ჩაუწერეს **თათარი**. აი, ასეთი „თათრები" ცხოვრობდნენ აზმანაში 1886 წელს. მე-16 საუკუნის 12 კომლის ნაცვლად ახლა 29 კომლი გამხდარან მათი შთამომავლები – 126 კაცი და 113 ქალი. სამწუხაროდ, კიდევ უფრო უარესად განვითარდა აზმანელთა ბედი მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში, ისინი საერთოდ გაასახლეს

საქართველოდან. ნასოფლარში მეზობელი ქართული სოფლებიდან მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი გასახლებულ აზმანელთა ნაფუძარზე, მაგრამ ვერ ეგუებიან ყოფილი მეზობლების სახლებში ცხოვრებას, სოფელიც ისევ ნასოფლარად რჩება, ვიდრე აჭარიდან 1989 წელს არ გადმოვიდა მოსახლეობა. დღევანდელ აზმანაში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს. სოფელი აღადგინეს აჭარიდან გადმოსულებმა: მელაძეებმა, შაინიძეებმა, ანანიძეებმა, კახაძეებმა და ადგილობრივი სოფლებიდან მოსულმა ნათენაძეებმა და მიქელაძეებმა (მიქელაძეები აჭარიდანაც არიან გადმოსული). 10 ოჯახიც სომხური სოფლიდან შემოუერთდა ახალმოსახლეებს.

სოფლის სახელი ზოონიმური წარმომავლობისა ჩანს. სულხან-საბა ცხვრის განმარტებისას წერს: „ცხვარსა მამალსა ეწოდების **ვერძი** და დედალსა **ნერბი**, ხოლო შვილთა მათთა **კრავი**, დიდსა კრავსა და ებიწოსა **ტარიგი**, ჩჩვილსა კრავსა **ბატკანი**, წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა **ბუნი**, წელიწადს უკან – **შიშაგი**, ორის წლისას **აზმანი**" (ორბელიანი, 1966:346). აზმანს ცალკე განმარტავს და წერს: „ორის წლის ცხვარი" (ორბელიანი, 1965:45). ცხვართან და მის მსგავსთან ბევრი სახელია დაკავშირებული ტოპონიმიაში. ჯავახეთში ნინოწმინდის რაიონში არის სოფელი **სათხე. საკრავები** საძოვრების სახელია ასპინძის რაიონის ნასოფლარ ბნელაში. **ჭედილაჭალა//ჭედილაი** ჭალას ჰქვია ასპინძის რაიონის ნასოფლარ **დადეშში**, ასევე ასპინძის რაიონში არის **ნაცხვარიები,** ცხვრის საძგომი ნასოფლარ ზედა თმოგვში. ძველსა და ჭობარეთს აქვთ ამაღლების დღესასწაულის ადგილი, რომელსაც **სატიკნე** ჰქვია, ხოლო ტიკანს თიკანს უწოდებენ ჯავახეთში. ჩამოთვლილთაგან ყველგან, გარდა ჭედილაჭალისა (//ჭედილაი), მაწარმოებლად გამოყენებულია აფიქსები: **სა–ე** (სათხე, სატიკნე), **სა–ებ-ი** (საკრავები ← საკრაველები), **ნა–ებ-ი** (ნა-ცხვარი-ებ-ი) (შდრ. ნასოფლი (ნასოფლიები), ნასაყდრი (ნასაყდრიები). მართალია, –ა სუფიქსით ნაწარმოები ცხვარი და მისთანანი არ გვაქვს ჩამოთვლილთა შორის, მაგრამ -ა სუფიქსი გვხვდება ცხოველთა სხვა სახელებთან, კერძოდ, ასპინძის რაიონის სოფელ

ნაქალაქევში გვაქვს სერის სახელად **აქლემაი** და ღელის სახელად **ფუტკარაი**, რომელთაც დაემატება ზემოთ მითითებული **ჭედილაიც**. ამგვარად, ჯავახეთის სოფლის სახელი **აზმანა** თავისი ეტიმოლოგიით დაკავშირებულია ცხვრის ასაკობრივ სახელთან. მას აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც განუყოფელია საქართველოს ისტორიიდან, ხოლო მისი დღევანდელი მოსახლეობა ქმნის ახალი აზმანის ახალ ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ორბელიანი, 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV, თბ., 1965.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, თბ., 1966.

ჭუმბურიძე, 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 2003.

ჯიქია 1941 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. I, 1941.

თვალის დაავადებათა მკურნალობის ტრადიციები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

ქართული ხალხური ტრადიციული სამედიცინო კულტურა იცნობს თვალის სხვადასხვა დაავადებებს, შესაბამისად, საუკუნეთა მანძილზე შემუშავდა მრავალფეროვანი სამკურნალო საშუალებები.

წინამდებარე სტატიაში თვალის დაავადებათა მკურნალობის ტრადიციებს განვიხილავთ რაჭა–ლეჩხუმისა და სვანეთის მაგალითზე. თვალის აგებულების, მოქმედებისა და დანიშნულების შესახებ საინტერესო შეხედულებები არსებობს. ვინაიდან სამყაროს შემეცნების პროცესში შეგრძნების სხვა ორგანოებთან შედარებით, თვალს უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, უძველესი დროიდანვე თვალის შესახებ, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ხალხში, ქართველებშიც მრავალფეროვანი რწმენა–წარმოდგენები და მაგიურ–რელიგიური რიტუალები შემუშავდა. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ადამიანის თვალი ძველ კულტურულ ხალხებს გაიგივებული ჰქონდათ მზესთან და საერთოდ მთვარესთან (ჯავახიშვილი, 1928:118–119; მარი, 1935:259). პროფ. ვ. ბარდაველიძის დაკვირვებით სვანური დაფიცების ფორმულაში თითქმის წამლილია თვალის (თერა) ძირითადი მნიშვნელობა და გაგებულია, როგორც მზის (//დღის) აღმნიშვნელი სიტყვა (ბარდაველიძე, 1941:67).

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართული საწესო სიმღერა, რომელიც ცნობილია „ლაზარობის“ სახელით და დარ–ავდრის გამომწვევ ღვთაების სახელზე სრულდებოდა:

„ახ ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბლები აჰყარე,
ალარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო მოგვეც მზის თვალი“
ან „ალარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი“.

ლექსის შინაარსი იცვლებოდა სასურველი ამინდის მოთხოვნის მიხედვით. ამ რწმენას უკავშირდება „ავი თვალის“ არსებობის რწმენაც, რომელსაც მრავალი უბედურების მოტანა შეეძლო, მათ შორის ავადმყოფობისა და სიკვდილისაც კი.

ზოგადად ქართულ ხალხურ მედიცინასა და პროფესიულ (კარაბადინების) მედიცინას შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა (დაავადებათა გამომწვევი მიზეზების, ეტიოლოგიის, სამკურნალო საშუალებების და სხვ.), გამონაკლისი არც ზემოაღნიშნული დაავადებაა.

თვალის სხვადასხვა სახის დაავადებანი (მექანიკური დაზიანება, კატარაქტა, კონიუნქტივიტი, ჯიბლიბო და სხვ.) დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით კი სვანეთში, საკმაოდ გავრცელებული იყო, რაც ნაწილობრივ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო (შუა ცეცხლის გამო კვამლიანი საცხოვრებელი) და ბუნებრივი (მზის თვალისმომჭრელი ელვარება თოვლზე) პირობებით შეიძლება აიხსნას. შესაბამისად, ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თვალის დაავადებათა სამკურნალო საშუალებებით თუ მაგიურ–რელიგიური რიტუალების სიუხვით, ზემოთ ჩამოთვლილი კუთხეებიდან სვანეთი გამოირჩევა.

თვალის სხვადასხვა სახის დაავადებების სამკურნალოდ ყველაზე გავრცელებული ნატუროპატიული სამკურნალო საშუალებებია: კვერცხი – როგორც უმი, ისე მოხარშული, ახალი, უმარილო ყველი, კურდღლის ქონი (უმარილო), ქათმის ნაწლავების ქონი, ყინვარ–შაქარი, სოჭის ფისი, ჭინჭარი, ცარდის წყალი, ქალის რძე, ჭარხლის ფოთოლი და სხვ.

ლეჩხუმში თვალის სხვადასხვა დაავადებათა „პროფესიონალი“ მკურნალებიც იყვნენ, რომელთაც საკმაოდ წარმატებული პრაქტიკა ჰქონდათ. დასტურდება შესაბამისი ხელსაწყო–იარაღების არსებობაც. ზოგიერთ ოჯახში დღესაც შეიძლება დავამოწმოთ ხელნაწერი სამედიცინო ტექსტები (კარაბადინების) არსებობა. მაგ: სოფ. გვესოში, ჩარკვიანების ოჯახი ცნობილი იყო სამკურნალო საქმიანობით, მათ შორის, განსაკუთრებით, თვალის სხვადასხვა დაავადებების მკურნალო-

ბაში. მათ ამისათვის სპეციალური ხელსაწყო–იარაღებიც ჰქონდათ. მათი ოჯახის სამედიცინო საქმიანობა სულ ცოტა ოთხ თაობას მოიცავს (სოსელია, 1985:171–174).

იმის მიხედვით, თუ რა სახის იყო თვალის დაავადება, ესა თუ ის სამკურნალო საშუალება სხვადასხვა ფორმით (უმი, მოხარშული და სხვ.) გამოიყენებოდა. ასე, მაგ: როცა თვალის ტკივილი მექანიკური დაზიანებით იყო გამოწვეული, მკურნალობა შემდეგი სახით მიმდინარეობდა: ქათმის კვერცხის გულს შეათბობდნენ ტაფაზე, ან მოხარშულ კვერცხს გაჭრიდნენ შუაზე და თვალზე თბილ–თბილს დაადებდნენ, იცოდნენ აგრეთვე ახალი, უმარილო თბილი ყველის, ან შემწვარი ხახვის გამოყენებაც.

თვალის „წვისა და სიწითლის“ (კონიუნქტივიტი – Conjunctivitis, ანთება, თვალის შემაერთებელ-ქსოვილოვანი გარსის ანთება) სამკურნალოდ კვერცხის ცილას კარგად ათქვეფდნენ, შეურევდნენ ყინვარ შაქარს და მიღებულ სითხეს თვალში ჩაუწვეთებდნენ, სამკურნალო ჩასაწვეთებელ წამლებს ამზადებდნენ სხვა ნივთიერებებიდანაც, სოჭისაგან, ვარდისაგან და სხვ. რაჭაში ვარდის წყლის ჩაწვეთებასთან ერთად მისი საფენების დაფენასაც მიმართავდნენ. სამკურნალო საშუალებად იყენებდნენ აგრეთვე კურდღლის ქონს.

მხედველობისათვის სასარგებლოდ ითვლებოდა ჭინჭრის წვენი – მას სვამდნენ კიდეც და აგრეთვე თვალებს იბანდნენ. ხალხური დაკვირვებით, კარგი იყო აგრეთვე მინერალური წყლის ანალოგიური გამოყენება.

სვანეთსა და ლეჩხუმში თვალის კატარაქტის შემთხვევაში ოპერაციულ ჩარევასაც არ ერიდებოდნენ. ცხადია, აღნიშნულ კუთხეში ამ საქმის სპეციალისტებიც არსებობდნენ. დაავადებას ასე ახასიათებდნენ: „თვალის კაკალზე პატარა, თეთრი სიმსივნის (სვანურად ბდლად) გადაკვრა“. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია დაავადების ჯგუფი, რომელიც ნახუნას სახელს ატარებს. მათი ძირითადი საერთო ნიშანი კონიუნქტივიტის დეგენერაციული ცვლილებაა. ამ დაავადებებს შორის შეიძლება გამოვყოთ ფრთისებრი აპკი (pteri-

gium), რომელიც ძველად „ფრჩხილას“ და „დანდალუკის“ სახელით იყო ცნობილი და ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ დაავადებას ბადლადს ჰგავს.

ს.-ს. ორბელიანი ამ დაავადებას ასე ახასიათებს: „ფრჩხილი თვალში რამ მცირე თეთრი შევა ტკივილითა“. „დანდალუკი თვალის მავნე ბინდი, გინა ფრჩხილი“.

უსწორო კარაბადინში აღნიშნულია, რომ ნახუნას დროს ავადმყოფს თვალზე წვრილი და თეთრი რამ გამოუვა, რომელიც ტკივილს ნაკლებად იწვევს. თუ იგი ფერად გარსზე იქნებოდა, წითელი ფერის უნდა ყოფილიყო, ხოლო სკლერზე – მოშავო. „სხუა თვალის ტკივილი რომე ნახუნა ჰქვიან. ისი ნიშანი თვალშიგან წვრილი და თეთრი რამე გამოესხას, ამისი ტკივილი უფრო ცოტა იყოს“ (ქანანელი, 1940:204). ამ დაავადების ოპერაცია საქართველოში ძველი დროიდანვე კეთდებოდა - „თუ ისი სენი ძველი იყოს და სხვილი მისი აქიმი დასტაქარი იყოს“ (ქანანელი, 1940:204).

სვანეთში ასეთი დაავადების დროს ოპერაციას მეტად ორიგინალური მეთოდით ატარებდნენ. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მკურნალი დანაყავდა ლოკოკინას ნიჟარიანად ძალიან წმინდად, ამ მასას ჩაუდებდა თვალში და შეუხვევდა. როგორც გადმოგვცემენ „ნიჟარების ნაფხვენები სიმსივნეს სჭრიდა და თვალს არჩენდა“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეჩხუმში თვალის სხვადასხვა დაავადების ხალხური მკურნალობის მეტად საინტერესო მასალა აქვს დამოწმებული ლ. სოსელიას, რომელმაც მიაკვლია და იმუშავა ამ კუთხეში ცნობილი სახალხო მკურნალის ეკატერინე გელოვანი–ჩარკვიანის შთამომავლებთან (ქალიშვილთან და რძალთან), რომელთაც კარგად ახსოვთ და თავადაც ერკვევიან ხალხურ წამალთა მომზადების ტექნოლოგიაში. მათ ოჯახში ინახება ე.წ. „წამლების ყუთი“ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებითა და იარაღებით, აგრეთვე სამკურნალო რეცეპტების ხელნაწერი ორი რვეული (სოსელიას მიხედვით, აღნიშნული ხელნაწერის შედგენისას უხელმძღვანილიათ კარაბადინით, ამის თქმის საშუალებას მკვ-

ლევარს თავად ტექსტი აძლევს), ოჯახური ტრადიციით ერთის შედგენა უკავშირდება XIX ს–ის დასაწყისს და სოსა ბებიას (ბერიძე), ხოლო მეორე – ეკატერინე გელოვანი-ჩარკვიანისას (მცირე ზომის), რომელიც განსაკუთრებით თვალის სნეულებათა მკურნალობით ყოფილა განთქმული. იგი არჩენდა თვალის ყოველგვარ ანთებებს (ჩირქოვანს, სიწითლეს) და „ღურბელს“ პირველ ხელნაწერში აღწერილი თვალის დაავადებათა მკურნალობა ასეთია: „თვალი რომ კაცს ეტკინება და ნალათ აუგორდება შიგნით გორვას დაუწყებს ის ბრჩხილი არის, რადგან წარბშისცით ტეხდეს იმას ფრჩხილს აუჭრიდე კაი პირიანი კაეით თვალის უპეს ზედათ გადააბრუნებდე და იმ უპეზე ორ ტყუბათ ჩამსივნებული იქნება და იმ ზედა უპეზე აუსერე და სისხლი გამოაშობიე და ბრჩხილის აჭრაც იქნება და ახალს ანაჭერზე კვერცხის ცილაში შავბალახა მოატფქულე და შემოადევი თუმც ხამთარი იქნეს და ვერ იშოვნო ვარდის ყვავილი წყალში მოხარჩე და შემოადევი შესცხებ კვერცხის ცილაში გალესილი წითელი სანდალი, ლილა წითელი.... მუნდასაკი ესენი გალესილი გარეგან სცხე.. სხომი ღრუბელი თუ ექნეს ეს არის ქალის ძუძუში (რძე) შაქრის ყინული, ჭიისფერი და შაბი ესენი ქალის ძუძუში ჩაულესე, ნამეტანი შაბი არ იქნეს ასე და შიგნით თვალში ღურბლის დასაკარგავად ეს ასხი და ღურბელს დაუკარგავს“ (სოსელია, 1985:174–175).

მეორე ხელნაწერში, რომელიც ეკატერინეს მიერ ყოფილა შედგენილი, წერია: „თვალი რომ წითელი ქონდეს, ბიდი ებურებოდეს.... ბროწეულის ყვავილი, ჭიისფერი ქალის რძეში გალესე თვალში ჩაეშვი დღეში ორჯერ, სამჯერ მირჩება..“ (სოსელია, 1985:175). ეკატერინეს ქალიშვილის გადმოცემით, დედამისი ავადმყოფს გასინჯავდა და თუ თვალში ცრემლი ჰქონდა მოსარჩენად მიიჩნევდა, წინაალმდეგ შემთხვევაში ეტყოდა „სინათლის სვეტი გადამწვარი გაქვსო“ (სოსელია, 1985:175). ჩირქოვანი ანთების შემთხვევაში ეკატერინე ოპერაციულ ჩარევას ამჯობინებდა. ავადმყოფს მტკივანი თვალის ქუთუთოს გადაუბრუნებდა, კაეისაგან თხლად ანატკეჩი ბასრი ფირფიტით

დასერავდა, საიდანაც ჩირქნარევი სისხლი გამოვიდოდა, ამის შემდეგ ვარდის წყლის აბაზანით და საფენებით აგრძელებდა მკურნალობას.

თვალის სხვადასხვა დაავადებების დროს რაჭასა და ლეჩხუმში ფართო გამოყენება ჰქონდა ვარდის წყალს, რომელსაც საოჯახო პირობებში თავად ხდიდნენ. რაც შეეხება ოპერაციულ მკურნალობას, კერძოდ სისხლის გამოშვებას, ამას უძველესი დროიდან მიმართავდა სხვადასხვა ხალხი (ლიპსკი, 1893: 800).

ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებებიდან ძველ საქართველოში კვერცხის ცილა და გული სხვადასხვა სახის თვალის ტკივილის დროს გამოიყენებოდა, რაც სათანადოდ ასახულია კარაბადინებში. რაც შეეხება მცენარეულ სამკურნალო საშუალებებს (სოჭი, ჭინჭარი, ხახვი და სხვ.) ისინი მდიდარია ფიტონციდებით, რაც მათ სამკურნალო ეფექტურობას განაპირობებდა. „ჭინჭრის ნაყენი საოცარი ზემოქმედებისაა, იგი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ჭინჭარი მთელი ორგანიზმის მკურნალია, თვალებისთვის ძალიან კარგია“, – გადმოგვცემენ მთხრობელები. კურდღლის და ქათმის ქონი ამცირებს ხახუნს თვალის ხამხამის დროს და, ამდენად, ტკივილდამაყუჩებელი თვისება მიეწერება, ხოლო ქალის რძე, რომელსაც უწვეთებდნენ თვალში, შეიცავს გლობულინს და A და B ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც მხედველობის დაქვეითების დროს დადებითად მოქმედებს. ქალის რძის გამოყენებას თვალის სხვადასხვა დაავადების დროს ქართულ ტრადიციულ მედიცინაში ხშირად ვხვდებით, მაგ: „თვალშიგა თუ რამე ჩაუვარდეს, დიაცისა რძე, რომე ქალი სწოვდეს, თეთრი საკმელი გაადგინოთ და თვალშიგა ჩაუშვან, განმრთელდების“ (ქანანელი, 1940:212).

თვალის დაავადებებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მაგიური თუ რელიგიური რიტუალები საქართველოში ყველგან ტარდება, მაგრამ მათი სიმრავლით მაინც სვანეთი გამოირჩევა. აღნიშნული რიტუალები სრულდებოდა (და დღესაც

სრულდება) ოჯახებშიც და სალოცავებშიც სხვადასხვა დღეობების დროს.

სვანეთში თებერვალში, თვალების სისაღისათვის ოჯახებში ლოცულობდნენ დღეობა „მეცხარაბ ლადეღს“. ოჯახის თითოეულ წევრზე ერთიმეორეზე გადაბმულ პატარა ზომის კვერებს აცხობდნენ, ჩააწყობდნენ საცერში და ლოცულობდნენ სალოცავ ფანჯარასთან. ამ დღეს თვალების სისაღისათვის ლოცულობდნენ და უქმობდნენ ლეჩხუმშიც. ეს დღე „ალებაში მოდის, უფრო შაბათს. პატარა, ჩიტის კვერცხისტოლა კვარკვალიტას გამოვაცხობდით, რამდენი ადამიანიც იყო ოჯახში იმდენ ორ ცალს. კვერცხს ამოვისმევდით თვალებზე და ვიტყოდით – რავარც ეს არის მთელი ისე სუფთად მიმყოფე თვალებიო; იმ კვარკვალეტებს თავზე შემოვივლებდით და ძაღლს შევაჭმევდით. „თუ რამე ავადმყოფობა ექნება თვალებს მას ძაღლი შეჭამსო“. ამ დღეს ქალები უქმობდნენ, საღამოს კი (ზოგან დილით) სალოცავი რიტუალი სრულდებოდა, ღმერთს თვალების სისაღეს ევედრებოდნენ, მაგრამ სალოცავ ტექსტში მაგიური ფორმულაც ჩანს, ასე, მაგ: „ღმერთო დაიფარე ჩემი თვალები, ჩემი თვალის ტკივილი კატასა და ძაღლსო“.

ქვემო სვანეთში თვალების სალოცავად 15 ივლისი (ძვ. სტილით) იყო განკუთვნილი. სალოცავი რიტუალი სრულდებოდა როგორც ოჯახებში, ისე ეკლესიაშიც. როგორც წესი, თვალებით დაავადებულს მამალს შემოავლებდნენ თავზე და ეკლესიის ეზოში გაუშვებდნენ.

სვანეთში თვალების სისაღისათვის განკუთვნილი ძირითადი რიტუალები მაინც წმ. ბარბარეს ეკლესიებში ტარდებოდა. პროფ. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, ქვემო სვანეთში „თვალის ტკივილის ღმერთად და მკურნალად ბარბარე მიაჩნდათ და ვედრებითაც მიმართავდნენ ხოლმე“ (ბარდაველიძე, 1941:54). სვანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მკვლევარს მიაჩნდა, რომ წმ. ბარბარეს სხვა მრავალ დაავადებასთან ერთად თვალების დაცვის ფუნქციაც ჰქონდა. სალოცავი რიტუალები სვანეთში მეტ–ნაკლები გან-

სხვავებით ტარდებოდა. ასე, მაგ: ბარბარეს ლენტეხში ერთიმეორეზე გადაბმულ, ხოლო ლაშხეთში ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ორ მრგვალ კვერს სწირავდნენ, რიტუალს სახლში, სალოცავ ფანჯარასთან („მზის მხარეს“), ოჯახის უფროსი მანდილოსანი ასრულებდა (ბარდაველიძე, 1941:2).

შაბათი დღე სვანეთში ქრისტეს დღედ იყო აღიარებული და ამ დღეს მას ევედრებოდნენ დაავადებისაგან დაცვას. ეკლესიებშიც („უფლიშის კვირას“) შეთქმის შესაბამისად მლოცველს შესაწირი მიჰქონდა ეკლესიაში და იქ თავშეყრილ ხალხს ალოცვინებდა თვალების სისაღეზე (დავითიანი, 1940:18).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ზემო სვანეთში, გარდა ბარბარეს ეკლესიებისა, რომელიც ბალსზემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელში მდგარა, თვალის სისაღისათვის ლოცულობდნენ აგრეთვე: ჯანის ეკლესიაში (ლატალი), უფლიშის ეკლესიაში (უშგული) და აგრეთვე სალოცავ ხეებთან.

რამდენიმე სოფელში სალოცავი ხეებთან აღნიშნული რიტუალები უახლოეს წარსულში კიდევ სრულდებოდა (დღევანდელ მდგომარეობაზე ვერაფერს ვიტყვით). იფარის თემში, სოფ. ზეგანის აღმოსავლეთით მდგარა დიდი ნაძვის ხე, სადაც მთელი სოფელი მიდიოდა და ლოცულობდა. იქვე ნაძვის ძირში აცხობდნენ სალოცავ პურებს. როგორც გაგმოგვცემენ, იმ ადგილს „სიმონი“ ჰქვია; ყოველი მლოცველი, განსაკუთრებით კი პირველად მისული, ნაძვზე არყის წვრილი ტოტისაგან გაკეთებულ წრეს ჰკიდებდა. ლოცვა სიმონ მთავარანგელოზის სახელზე ტარდებოდა, შესთხოვდნენ თვალისა და გულის სისაღეს.

ცხუმარშიც, სოფ. ღვებალდის განაპირას, დგას არყის ხე, სადაც მაისის თვეში, შაბათ დღეს ახლაც ლოცულობენ აღნიშნული ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად. ლოცვა ჯანის სახელზე ტარდება.

წმინდა ხეებთან სალოცავი რიტუალების ჩატარება საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო ცნობილი, აგრეთვე მთელ კავკასიაში (მინკევიჩი, 1895. №13).

უშგულში, უფლიშის ეკლესიაში, ლამპრობის დღესასწაულის დროს (ძვ. სტ. 2 თებერვალს), ტარდებოდა შემდეგი რიტუალი: გამოაცხობდნენ ექვს ან ცხრა სალოცავ პურს, აქედან ერთი იყო – უშდბალი – მას ექვსი ნიშანი ჰქონდა, სამი ქიმი ნაპირზე და სამი თითის ანაბეჭდი შუაში, იგი პირველი უნდა გამომცხვარიყო. დანარჩენი სალოცავი პურები სამქიმიანი იყო. სალოცავ პურებს ზემოდან დაადებდნენ უშდბალს და სანთელთან, ზედაშე არაყთან და შესაწირ ცხვართან ერთად ეკლესიაში მიჰქონდათ. ლოცვის ტექსტი ასეთი იყო: „დიდება გქონდეს უფალს, უშველე ჩვენს თვალებს, თვალები მოგვირჩინეო“. ლამპრობის გარდა, უფლიშის ეკლესიაში თვალების სისალისათვის ქალების დღეობის – ჰდლშა ობიშის – დროსაც ლოცულობდნენ, უფალს შესაწირ ცხვარს და სხვადასხვა ძვირფასეულობას სწირავდნენ. დღეობა ივნისში მოდის, პარასკევ დღეს.

ლატალში თვალების საჯანმრთელო ლოცვებს დანის ეკლესიაში (ძვ. სტ. 9 დეკემბერს) ატარებდნენ. სალოცავი დღე მარხვას ემთხვევა, ამიტომ საკლავს არ კლავენ. დან, ანუ იოანე, ისევე როგორც ბარბარე, თვალების მკურნალად ითვლება სვანეთში. თვალებით დაავადებული აღნიშნულ დღეს მარხულობდა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. სალოცავ პურებს ოჯახის უფროსი ქალი სალოცავში აცხობდა, ავადმყოფის სახელზე სამ–სამ ცალს, დანარჩენებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. „სალოცავი პურებითა და ანთებული სანთლით ხელში დანს ევედრებოდა აეშორებინა მისი ოჯახისათვის თვალების ტკივილი და ავადმყოფი მოერჩინა“ (ბარდაველიძე, 1939:22–23). თვალებისათვის განკუთვნილ სალოცავ დღეებს – იგი სამი დღე გრძელდებოდა – „იენშიერს“ ეძახდნენ, ფეტვისაგან გამომცხვარ სალოცავ კვერებსაც „იენშიერ“ ერქვა. სალოცავ რიტუალს ქალები ასრულებდნენ.

ბალს ზემო სვანეთში თითქმის ყველგან თვალების სისაღეს დანს შესთხოვდნენ. ლენჯერში ის ოჯახი, „ვისაც თვალებით დაავადებული ჰყავდა, 9 დეკემბერს ფეტვის ფქვილისაგან ლემზირებს გამოაცხობდა და ავადმყოფი მას დანს

შესწირავდა“. იგივე ხდებოდა მესტიაშიც. ლოცვა ლატალის დანის სახელზე ტარდებოდა: „დიდება მოგასვლოდეს დანს ლატალისას, დანო ლატალისაო, შენ გაგეძრებით შენს გვიზს, ჩვენს ოჯახში მყოფ ადამიანს ააცილე შენგან გამოშვებული ჭირი, გააქრე ჩვენს სახლში მყოფი ადამიანების თვალთა ტკივილი, ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ ქარს, დიდება მოგასვლოდეს დანს ლატალისას“ (ბარდაველიძე, 1939:24–25). მესტიაში, ლამპრობის დღეობაზე ერთ ლამპარს დან ნათლისმცემლის სახელზე ანთებდნენ და თვალების ჯანმრთელობას შესთხოვდნენ. საინტერესოა, რომ წყევლის დროსაც ასე ეტყოდნენ მოწინააღმდეგეს – „იონამ თვალები დაგიყენოსო“.

სვანეთში თვალების სისაღეს ეგედრებიან აგრეთვე „სიმონ დეცეშს“–„ზეციურ სიმონს“. ეს დღე (ძვ. სტ. 1 თებერვალს) ყველა სოფელში აღინიშნება. სოფლის ეკლესიაში მიდის ყველა მოსახლე ანთებული ლამპრით, ზედიზედ სამი დღის განმავლობაში. ოჯახის ყველა წევრზე ცხვება სალოცავი ლემზირი (პური), დილით ადრე ოჯახის უფროსი ეზოში „სიმონ დეცეშს“ ეგედრება მათი თვალების სიჯანსაღეს.

ბალსზემო და ქვემო სვანეთში თითქმის ყველა სოფელშია წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიები, სადაც თვალების საჯანმრთელო რიტუალები სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა სხვა სახის დაავადების დროს, აღნიშნული ავადმყოფობის დროსაც მკითხავთან მიდიოდნენ რჩევის საკითხავად, თუ რომელი წმინდანის სახელზე უნდა ჩაეტარებინათ სალოცავი რიტუალი. უმეტესად ისინი თვალების ტკივილს წმ. ბარბარეს მიერ გამოწვეულ დაავადებად თვლიდნენ, შესაბამისად, მისთვის უნდა შეეწირათ სამსხვერპლო – თიკანი ან ხბო. სალოცავი რიტუალები, ძირითადად, ბარბარობას – 4 დეკემბერს (ძვ. სტ.) ტარდებოდა, აცხობდნენ აგრეთვე პატარა, მრგვალი ფორმის სალოცავ კვერებს. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, წმ. ბარბარეს ექიმს ეძახდნენ. „...ბარბალ ექიმს ვეძახდით და თვალის სინათლის მომცემს. ავადმყოფს შველოდა, თუ მისი მიზეზით იყო. დავილოცებოდით დიდება

მოგსვლოდეს ბარბარ, შენ უშველე ამ ავადმყოფსო", – გადმოგვცემენ მთხრობელები.

როგორც პროფ. ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, დღეობა ბარბლაშის ძირითადი დანიშნულება „მაინც და მაინც დაავადებული თვალების განკურნება, თვალთა შუქის მინიჭება და ავი ჭირისაგან (ხოლა მაზიგ) დაცვა იყო" (ბარდაველიძე,54).

სვანეთში თვით თვალის ტკივილის ხასიათის მიხედვით განაწილებული ჩანს მისი სალოცავი დღეებიც. მაგ: თუ საერთოდ თვალების ტკივილის დროს ლოცულობდნენ ბარბარეს, დანს,„სიმონ დეცე'შს",თვალებ'ზე ლიბრის გადაკვრისას აბდრჰამ დეცეშს ევედრებოდნენ ლიბრის გაქრობას და სხვ.

თვალის სისადისათვის დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, გარდა დღეობებისა, რიტუალები ტარდებოდა შეწირულ, აღთქმულ დღეებშიც და ამ დღეებს უქმედ ინახავდნენ. როგორც აღინიშნა, ყველაზე მრავალფეროვანი სალოცავი რიტუალები სვანეთმა შემოინახა. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ ეს დაავადება სვანეთ'ში ბოლო დრომდე ძალიან გავრცელებული იყო, ან სვანეთმა უკეთ შემოინახა თვალის ზებუნებრივ ძალაზე არსებული ძველი შეხედულებები, რომლის მიხედვითაც თვალს ხალხი მზესა და მთვარეს (მთვარის ფაზებს) უკავშირებდა (ჯავახიშვილი, მარი, ბარდაველიძე).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე, 1941 – ბარდაველიძე ვ., „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი" I. ახალწლის ციკლი, ტფილისი, 1939.

ბარდაველიძე, 1941 – ბარდაველიძე ვ., „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ–ბაბარ)", თბ., 1941.

ბურდული, 1990 – ბურდული მ., „ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველო'ში (სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)", საკანდიდატო დისერტაცია, 1990.

გაბლიანი, 1925 – გაბლიანი ეგნ., „ძველი და ახალი სვანეთი", თბ., 1925.

დავითიანი, 1940 – დავითიანი, ა., ღმერთები სვანთა რწმენით. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. 1940. M[1] 35.

Липский, 1893.

სოსელია,1985– სოსელია ლ. „მკურნალობის ხალხური წესები სვანეთში“,კრბ. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1985.

ქანანელი, 1940 – ქანანელი, „უსწორო კარაბადინი“, თბ., 1940.

მინკევიჩი, 1895 – Минкевич И.И. Растения, как медицинские средства и как предмет обожжения на Кавказе. ПЗИКМО. 1895. №13.

ჯავახიშვილი, 1928 – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. I. თბ., 1928.

მარი, 1935 – Марр Н., Яфетические зоры на украинском хуторе. Избр. Работы. IV. 1935.)

ბაკურ გელაშვილი

თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის

დღევანდელი **ბორჯომის** ტერიტორია ძველთაგანვე მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა. ამ კულტურის ნივთიერი ნაშთები დღესაც გვხვდება ამ კუთხეში, გაცილებით მეტი ხუროთმოძღვრული ძეგლია დარჩენილი ხეობათა სიღრმეში – მთებში, ტყეებში, სადაც ოდესღაც მნიშვნელოვანი სამონასტრო თუ თავდაცვითი ნაგებობები იყო.

ისტორიულ თორის ხეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ქვეყნის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნაში, ხეობა ყოველთვის სტრატეგიულ ადგილს იკავებდა ქართლის უსაფრთხოების დაცვაში.

სიმაგრეები ერთმანეთისაგან ეპოქების მიხედვით განსხვავდება. ყოველ ეპოქას თავისებურებები ახასიათებს. ციხეებს ძირითადად სამი დანიშნულება ჰქონდათ: პირველი – დაცვა, მეორე – საგუშაგოს ფუნქცია და მესამე – მშვიდობიანი მოსახლეობის შეფარება (ჯავახიშვილი, 1946: 42). რადგან ციხე თავდაცვას ემსახურებოდა, ამიტომ მის ფორმასა და დეტალებს იარაღი განსაზღვრავდა.

საერთოდ, ქვეყნის მესვეურნი ციხისთვის სტრატეგიულად გამაგრებულ ადგილს არჩევდნენ. ციხის აგებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი სიმაგრის შერჩევას, მის მიუდგომლობას, თუმცა, ეს წესი მოგვიანო პერიოდში თანდათან იცვლება. პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მთებიდან დაბლა ჩამოდიან, რაც განპირობებული იყო სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის სისუსტით. ადრე თუ ციხის ადგილს მიუდგომლობა განსაზღვრავდა, XVII-XVIII საუკუნეებში, პირიქით, იგი ადვილი მისადგომი უნდა ყოფილიყო. ერთიანობას მოკლებულ ქვეყანაში, მოშლილი იყო სასიგნალო და დაცვის ერთიანი სისტემა, რამაც საჭირო გახადა ციხის აგება სოფლებში

ან სოფლებს შორის ადვილად მისადგომ ადგილას, სადაც მთელი სოფლის მოსახლეობა მტრის შემოსევისას შეძლებდა თავის შეფარებას, ასეთი პერიოდი კი ჩვენი ხეობის ისტორიაში ისევე, როგორც საქართველოს ისტორიაში, XVII-XVIII საუკუნეებიდან იწყება (ზაქარაია, 1998:28).

ისტორიული ხეობის ერთ-ერთი უძველესი ციხეა დემოთი, რომლის ნანგრევები დღესაც დაცულია სოფ. ქვაბისხევის ჩრდილოეთით მე-8 კილომეტრზე, მდ. ქვაბისხევურას მარცხენა ნაპირას (აბულაძე, 1983:18). დემოთის ციხის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „ხოლო ამ მტკვარს, ჭობისჴევს ზეით მოერთვის ჩრდილოდამ **ქუაბის-ჴევი**, გამომდინარე **ფერსათის მთისა**. ამ ჴევის დასავლეთით, მტკვრის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შტნი მაგარი, ვგონებ ამას **დემოთის ციხედ**, რომელი აღაშენა სუმბატ ბიცრიტინმან“ (ვახუშტი, 1973:62). დემოთის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ასეთი ცნობაა დაცული: „აღაშენა ციხე ქუეყანასა ომრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა რომელსაც ჰქვია **დემოთი,** მოკიდებულად მთასა ღადოსა“ (ლეონტი მროველი, 2008:61). ივ. ჯავახიშვილის აზრითაც, „სადღაც ღადოს მთაზე უნდა ყოფილიყო **დემოთი**“ (ჯავახიშვილი, 1983:57). აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ისტორიული დემოთის არსებობას ბორჯომის ხეობაში, სოფელ ქვაბისხევთან ვარაუდობს. სწორედ სოფ. ქვაბისხევთან არსებული ციხის ნანგრევები, რომელსაც ხალხი „**დემოთის ციხეს**“ უწოდებს, სარწმუნოს ხდის აქ ისტორიული დემოთის არსებობას (ბერძენიშვილი, 1964:225).

ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთგზის იხსენიება სამცხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი დემოთი (ლეონტი მროველი, 1955:50). მას თავიდანვე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია ქართლის (იბერიის) სამეფოსათვის და, რა თქმა უნდა, თვით ომრხეს ცხოვრებაშიც. ლეონტი მროველი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ასახვისას (I საუკუნის 70-80-იან წლები) მოგვითხრობს, რომ დიდი ბრძოლების შემდეგ იბერები და სომხები დაზავებულან, რის შემდეგაც სომხებს ქართლისათვის დაუბრუნებიათ „ქალაქი **წუნდა** და

დემოთის ციხე, ჯავახეთი და **არტაანი**“ (ლეონტი მროველი, 1955:49). წუნდელი და დემოთელნი ლეონტისთან სხვაგანაც იხსენიებიან წყვილად: „და იყო ოძრჴეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი, და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელნი. ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერომანეთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს. და უფროსი ბრძოლა მათი იყვის მდინარესა ზედა, რომელსა ჰქჳან ნოსტე“ (ლეონტი მროველი, 1955:47:48).

მემატიანის ამ ცნობით, ქალაქი წუნდა, რომელიც ისტორიულ ჯავახეთში შედიოდა, I საუკუნის მეორე ნახევარში ებრძვის ოძრხეს, ისევე როგორც დემოთი. ამ ბრძოლაში დემოთი წუნდის, ე. ი. ჯავახეთის მხარეზეა: ოძრხის ერისთავის წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში დემოთელნი წუნდელთ ეხმარებიან.

დემოთის ციხე ლეონტისთან წუნდელთა და ოძრჴეველთა სხვა კონფლიქტშიც იხსენიება. როდესაც ისტორიკოსი არმაზელისა და ახორკის შეფობას შეეხება და დაწვრილებით აღწერს მათ ბრძოლას სუმბატ ბივრიტიანთან (I საუკუნის 70-იანი წლები) (ნარკვევები, 1970:521), იგი წერს: მაშინ სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელ პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა ჰბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსვლისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქჳან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მაბრძოლად ოძრჴეველთა და წარვიდა“ (ლეონტი მროველი, 1955:47). ცნობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია: პირველი იმით, რომ ისტორიკოსი პირდაპირ ასახელებს **დემოთის ციხის** მაშენებელს („აღაშენა ციხე, ...რომელსა ჰქჳან დემოთი”), მეორე იმით, რომ შეიძლება ციხის აგების ვიწრო ქრონოლოგიის განსაზღვრა, დაახლოებით I საუკუნის 40-იანი წლებიდან II საუკუნის დასაწყისამდე. ბუნებრივია, დემოთის ციხის თავდაპირველ სახეს ჩვენამდე არ

მოულწევია, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ ციხეს მოგვიანო პერიოდშიც თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს და იგი მნიშვნელოვან როლს კვლავ ასრულებდა.

დემოთის ციხის ხსენებას წყაროებში შემდგომ უფრო მოგვიანო პერიოდში XIV საუკუნის ისტორიკოსთან ჯამთააღმწერელთან ვხვდებით, როდესაც მემატიანე მოგვითხრობს ილხანთა ტახტის მემკვიდრის თეგუდარის სარდლების მიერ მონღოლთა ტერიტორიების თავდასხმებზე „და ამათსა შესაყარსა **დემოთისასა** დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების **ლომისთავი,** და მიერ არბევდეს ჯავახეთსა, ვიდრე ფარავნამდე“ (ჯამთააღმწერელი, 2008:606). დემოთის ციხის სტრატეგიული მდებარეობა აქედანაც ჩანს, დასავლეთ საქართველოში თავშეფარებული ილხანთა ტახტის მემკვიდრე თეგუდარი და მისი ლაშქარი დასავლეთ საქართველოდან სამცხესა და ჯავახეთში **ლომისმთით, დემოთით** და, მაშასადამე, **ქვაბისხევის** გზით გადმოდიოდა (მელითაური, ხანთაძე, 1955:21, ზაქარაია, 1977:30). მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დემოთი ერთგვარი გამშვები პუნქტის როლსაც ასრულებდა დასავლეთსა და სამცხეს, სამცხესა და ქართლს შორის.

დემოთის ციხე XVI საუკუნეშიც მოქმედი ჩანს და ის ათაბაგების ხელშია (თაყაიშვილი, 1890:114). ეს ციხე ავალიშვილების საკუთრება ყოფილა და იგი სამცხის თავად ელია დიასამიძეს, რომელიც თურქებს მიემხრო, ავალიშვილებისთვის წაურთმევია. ამის შესახებ ახალი „ქართლის ცხოვრება“ შემდეგს მოგვითხრობს: „დიასამიძემან ელიამ დემოთიას ციხეს საავალიშვილოს სალალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წაართუმს და ბევრი საქონელი და სალარო დაუჭირეს“ (ეგნატაშვილი, 1959: 531, შარაშიძე, 1961:55). 1516 წლისთვის **სლესადემოთის** ტერიტორიების მფლობელები ჩანან, ხოსიმე კუმურდოელის წიგნი, რომელიც 1516 წლით თარიღდება, შემდეგს მოგვითხრობს: „ქუელისძე მისით სასაფლაოთა და მონასტრითა სლესარსა და ავალისშვილს აქუს“ (შარაშიძე, 1961:33, აბულაძე, 1964:119). და ეს მომხდარა დაახლოებით 1588 წლის

წინა ხანებში, ამით ნათელი ხდება დემოთის ციხის როლი და მისი დანიშნულება. როგორც ოძრხეს (სამცხის), ისე იბერიის (ქართლის) პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ **დემოთის ციხე** თავის დროზე მხარის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა. ჩვენამდე მოღწეული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად დადგინდეს, თუ როდემდე ასრულებდა **დემოთის ციხე** თავის ფუნქციას, იგი უკვე აღარ იხსენიება არც გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, არც პაპუნა ორბელიანთან და არც გიულდენშტედტის მოგზაურობაში, რომელსაც აღწერილი აქვს ხეობის ეს ტერიტორიები. რაც შეეხება ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალ გზას, სამცხიდან დასავლეთ საქართველოსკენ და პირიქით, ჩანს 1785 წლისთვისაც, ალბათ, არა თავდაპირველი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც მოქმედებაშია, სწორედ ამ გზით უნდა ჩამოსულიყო, სამცხიდან ვახანში ომარ ხანი 1785 წელს, როდესაც მან ვახანის ციხე აიღო და თავად აბაშიძის ცოლშვილი ტყვედ წამოიყვანა (ბერძენიშვილი, 2000:44).

დემოთის ციხე დღეს ჩვენამდე თითქმის საძირკვლის სახითაა მოღწეული, ციხეს კედლებზე გადავლილი აქვს მიწა და ქვა-ღორღი, რაც კიდევ უფრო აძნელებს მისი თავდაპირველი სახით წარმოდგენას.

ხეობის მნიშვნელოვან, სტრატეგიულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს **ახალდაბის** ციხე. რომელსაც, ადგილობრივი მოსახლეობა „თამარის ციხეს“ უწოდებს, ხოლო სერგი მაკალათია თავის ნაშრომში „ბორჯომის ხეობა“ მას „ციხის გვერდის“ სახელით მოიხსენიებს (მაკალათია, 1957:53). ცხადია, ერთერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი უნდა ყოფილიყო **ახალდაბა**, რომლის ციხეც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დგას. ვახუშტი **ახალდაბას „მცირე ქალაქად“** მოიხსენიებს და აღნიშნავს: „არს ახალდაბა მცირე ქალაქი“ (ვახუშტი, 1973:380). როგორც უკვე ცნობილია, **ახალდაბა** „მიკრო ქვეყანადაც“ მოიხსენიება, და ბუნებრივია, „ქვეყნის“ ცენტრალური ციხე, დიდი საცხოვრებელი ფართობითა და სამეურნეო ნაგებობებით, ხაროები-

თა და წყლის აუზით ხეობისა და მასზე მიმავალი სავაჭრო გზის დაცვას განახორციელებდა (ბერძენიშვილი, 1985:18). **ახალდაბის ციხე** აგებულია მაღალი მთის წვერზე და ამაყად გადმოსცქერის ამ „მიკრო ქვეყანას“, მასზე გამავალ სტრატეგიულ გზებს. ვახუშტი ბატონიშვილი კი შემდეგნაირად აღწერს **ახალდაბის ციხეს**: „ახალდაბის სამჴრით არს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი“ (ვახუშტი, 1973:380). სამწუხაროდ, ამ ციხის მშენებლობის სავარაუდო პერიოდის დასადგენად წყაროებში საუბარი არ არის, თუმცა სერგი მაკალათია ამ ციხის სავარაუდო ქრონოლოგიურ ჩარჩოს გვთავაზობს და აღნიშნავს: „**ახალდაბის ციხე** თავისი გეგმითა და ნაგებობის ტექნიკის მხრივ ემსგავსება ტაძრისის ე. წ. „გუჯრისხევის ციხეს“ და უნდა იყოს აგებული მე-8-9 საუკუნეებში“ (მაკალათია, 1957:54). მეცნიერი სხვა დამატებით განმარტებებს არ აკეთებს საკითხის ირგვლივ და მხოლოდ ზოგადი დახასიათებით შემოიფარგლება, მაშინ როდესაც, მის მიერვე ჩატარებული ციხის აღწერისას მისი არქიტექტურული სტილი ჯამთასვლისა და ბრძოლების შედეგად უკვე ჩამოქცეული იყო. ასევე არსებობს ძეგლის ოფიციალური პასპორტი, რომელიც 2008 წლის 10 ოქტომბრით თარიღდება, სადაც ციხის აგების თარიღად ბარათის შემდგენელი ციცინო ჩაჩხუნაშვილი IX-X საუკუნეებს დებს, მაგრამ არც ამ ბარათში ჩანს, თუ რაზე დაყრდნობით კეთდება მისი დათარიღება თუნდაც საუკუნეებით. ალბათ, არც ჩვენ ვიქნებით მართებული, თუ მის მიერვე დადებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს უარვყოფთ, უბრალოდ ახალდაბის ციხის დაარსების თარიღი, სამწუხაროდ, წყაროებში არ ჩანს, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ **ახალდაბა** ოფიციალურ წერილობით წყაროებში „მცირე ქალაქად“ სახელდება, ასევე, ცნობილია, რომ ამ მცირე ქალაქში დიდი კულტურული და სასულიერო საქმიანობა მიმდინარეობდა IX-X საუკუნეების მიჯნაზე (ინგოროყვა, 1954:349-350), შესაძლოა ამ მიკროქვეყნის დაცვის მიზნით ციხის შენება, ან შესაძლოა, არსებულის განახლება ამ პერიოდშიც მომხდარიყო. სავარაუდოა თორელთა ზეობის პერიოდზე XI-XIV საუკუნე-

ბზე მოდიოდეს **ახალდაბის** გაქალაქება, ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ მიკრო ერთეულში დაახლოებით თექვსმეტი მატერიალური კულტურის ძეგლის არსებობა, ასევე არქეოლოგიური მასალები, რომელიც აქაა მიკვლეული (XIII საუკუნის ჰულაგოიდური მონეტები 31 ც.) (დუნდუა, ჯალადანია, 2009:18).

ნეძვურასა და მტკვრის შესაყარში აგებული ეს ციხე, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ნეძვის ხევის ცენტრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მნიშვნელობა, ბუნებრივია, მას უფრო დიდი ერთეულის ცენტრად აქცევდა. სწორედ ამის გამო ვარაუდობს დევი ბერძენიშვილი ახალდაბის საციხისთაოში სარმანიშვილის ხევსაც და საფანელის ხევსაც (ბერძენიშვილი, 1985:18). მას ისტორიულ წარსულში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა თავისი სტრატეგიული მდებარეობით, ვინაიდან იგი ქართლისა და სამცხის შესაყარზე იყო განლაგებული, უპირველეს ყოვლისა, ქართლიდან შემოჭრილ მტრისათვის პირველი ბრძოლა ახალდაბელებს უნდა გაემართა, ხოლო სამცხიდან მომავალი მტრისათვის, ხეობის ციხეების თავის დაღწევის შემდეგ **ახალდაბის ციხე** უნდა გადაღობოდა და შეეკავებინა მტერი და არ მიეცა საშუალება ქართლში შეჭრისა. ბუნებრივია ციხის კომპეტენციას განეკუთვნებოდა „დიდებული ლავრის“ **ნეძვის** მონასტრის დაცვაც, რომელშიც დიდი კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების ხელმძღვანელობით, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი სასულიერო პირები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ეფრემ მცირე, თეოდორე ხანცთელი და სხვ. (მეფისაშვილი, 1964:233).

ახალდაბის ციხის სახელი, ქართულ ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა მოვლენების დროს იკვეთება. 1260 წელს, როცა დავით ულუ აუჯანყდა მონღოლებს და სამცხეს წავიდა, მონღოლებმა დამსჯელი რაზმი გამოგზავნეს, რომელიც დადგა სურამს: „ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი და დადგა სურამს, და წარმოავლინნა წინამბრძოლნი მჭედარნი ექუსი ათასი. და არღუნ დადგა შინდარას და წინამბრძოლნი მივიდეს ტასისკარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა“

(ჯამთააღმწერელი, 2008:584). ამასობაში სამცხის მთავარი სარგის ჯაყელისა და მეფის ერთგული მხედრობა „წარემართნეს და განვლეს ჴიდი ახალდაბისა“ (ჯამთააღმწერელი, 2008: 584). ხეობის ვიწრობის გავლის შემდეგ **ტაშისკართან** დაამარცხეს მონღოლები. ჯავახეთის ერისთავი კახა თორელი, ამ დროს მონღოლთა სამსახურში იდგა, სწორედ მისი და სხვა ქართველების დახმარებით მონღოლებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგეს და სარგისის ჯარს „სდევნეს **ახალდაბის ხიდამდე** გინა უმეტესცა“ (ჯამთააღმწერელი, 2008:585). ამ ცნობითაც კარგად ჩანს, **ახალდაბის** როგორც მიკროერთეულის როლი და მისი სტრატეგიული დანიშნულება. ეს ტერიტორიები, ხშირად ცილობის საგანიც ყოფილა, როგორც ქართველ მეფე-მთავრებს, ისე ქართველებსა და დამპყრობლებს შორის. **ახალდაბა** XVI-XVIII საუკუნეებშიც ინარჩუნებს „მცირე ქალაქის“ ტიტულს, რასაც მემატიანეც ადასტურებს 1526 წელს: „მისცეს ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთისწყალს გამოღმა: ალი, სურამი, ახალდაბა“ (ეგნატაშვილი, 1959: 394). **ახალდაბა** თავისი ციხითურთ იმდენად დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა, რომ ქართლის მეფეები ეროვნულების სანაცვლოდ თავადებს უწყალობებდნენ ხოლმე 1688 წელს, გიორგი XI ავალიშვილ გიორგის და მის შვილებს უბოძა თავისი სახასო სოფელი ქიმერეთი და იქვე მდებარე სახასო **ახალდაბის** მოურავობაც“ (აბულაძე, 1983:79). ამ კუთხის სტრატეგიულობაზე მეტყველებს 1609 წელს გიორგი სააკაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შესახებ, სადაც საბოლოოდ სამეფო თათბირზე გიორგი სააკაძის აზრმა გაიმარჯვა **ახალდაბა-ტაშისკრის** მიდამოებში მტერთან გენერალური ბრძოლის გამართვის შესახებ (ჯამბურია, 1973:257). ბუნებრივია, გიორგი სააკაძისნაირი მხედართმთავარი მტერთან შესაბმელად, ქართველთათვის არახელსაყრელ ადგილს არ შეარჩევდა, აქედანაც იკვეთება ახალდაბის სტრატეგიული მდებარეობა ოფიციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. **ახალდაბა** ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად სახელდება, სადაც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები,

რამაც, ბუნებრივია, დიდად შეუწყო ხელი მის გაქალაქებას და დაწინაურებას (ჯამბურია, 1973:182-541). ხოლო, რაც შეეხება **ტაშისკრის** ცნობილ ბრძოლას, **ახალდაბის ციხემ** ქართველთა წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ბრძოლის წინა დღეს გიორგი სააკაძე ქართველ ჯართან ერთად, ახალდაბას დაბანაკდა, ამით მან მტერს მტკვრის ხეობით გასაქცევი გზა ჩაუკეტა, რასაკვირველია, ციხე ამ დროს სააკაძის განკარგულებაში იქნებოდა. **ახალდაბის ციხე** შემდგომი პერიოდის მოვლენების დროსაც იხსენიება წერილობით წყაროებში, 1744 წელს სპარსელებს გივი ამილახვარი აუჯანყდა. ამ მიზნით მან **სურამისა და სადგერის ციხეები** გაამაგრა, რათა ოსმალეთთან კავშირი დაემყარებინა, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნადირ-შაჰის არაერთი მცდელობის მიუხედავად, გივი ამილახვარი მაინც არ ურიგდებოდა არსებულ რეალობას და ის განაგრძობდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. ნადირ-შაჰმა კი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა თეიმურაზს II-ს დაავალა, ხოლო ამილახვარმა ოსმალეთი დაიხმარა, ამ ორ ბანაკს შორის გააფთრებული ბრძოლების შედეგად ქვეყანა ოხრდებოდა და ნადგურდებოდა. თეიმურაზმაც სცადა ამილახვრის შემორიგება, მაგრამ ამაოდ, საქმე ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, მეფემ კი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხის თავადებს სთხოვა დახმარება და „წყალობა უწყო და შეცოდების პატიება აღუთქვა.“ მან აგრეთვე „გაგზავნა ყაფლან ორბელიანი ამილახვრის შვილთან დიმიტრისთან, რომელიც იყო **ახალდაბის ციხეში** გამაგრებული“, თეიმურაზმა გადმოიბირა გივი ამილახვრის შვილი დიმიტრი, რომელმაც მეფეს **ახალდაბის** ციხე გადმოსცა (გვრიტიშვილი, 1955:431). ჩანს, გივი ამილახვარს სათანადოდ ჰქონია გამაგრებული **ახალდაბის ციხე**, რადგან ვერც ნადირ-შაჰმა და ვერც თეიმურაზ მეფემ პირდაპირ ბრძოლა ვერ გაბედეს და მათ შემორიგების პოლიტიკას მიმართეს. გივი ამილახვრის ბრძოლების შესახებ, გარდა იმისა, რომ უხვად შემოუნახავს ცნობები ქართულ ნარატიულ წყაროებს, ერთობ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თვით გივი ამილახვრის წერილი, რომელიც

მას რუსეთს გაუგზავნია ბარძიმ და ლუარსაბ ამილახვრის'შვილებისათვის 1743 წელს: „ჩვენ დიდ მარხვაში ზემო ქართლს წავედით, ლაზარობა დღეს სურამს მივედით,თიბათვის ოცდახუთს ვიყავით. ამიტომ ზემო ქართლში ჯარის ფიქრი იყო. ყიზილბაშს იქით არა წაეხდინა რა..... ციხეებიცა გვქონდა საკეთებელი: **სურამი და ახალდაბა**“ (გვრიტიშვილი, 1955:417). როგორც ამ წერილის შინაარსიდან ჩანს ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე გივი ამილახვარს დაუწყია ციხის სათანადოდ გამაგრება, მაგრამ მისი შვილის მიერ თეიმურაზ მეფისთვის **ახალდაბის ციხის** გადაცემით და მასზე მის მიერ კონტროლის დაკარგვით, აჯანყებული ამილახვარი იზოლირებული აღმოჩნდა. **ახალდაბის ციხე** 1747 წელსაც მოქმედი ჩანს, რომელიც თეიმურაზ მეფეს სარდალ ქაიხოსრო ორბელიანისთვის მიუცია, რომელსაც გაუმაგრებია და თავისი ცოლშვილიც იქ დაუყენებია ნადირშაჰის მოლოდინში“ (ორბელიანი, 1981: 97). როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, **ახალდაბა** ციხითურთ თითქმის XVIII საუკუნის 60-ანი წლების ჩათვლით მოქმედია და ბოლომდე ასრულებდა თავის ფუნქციას, ერთადერთი ცნობა, სადაც **ახალდაბის ციხე** დაცარიელებულია და იგი მტრის მოძალეობის შედეგად დახიანებულია, ესაა გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ჩანაწერი, რომელსაც 1772 წელს უნახავს ბორჯომის ხეობა და თავის ცნობილ „მოგზაურობაში“ აღნიშნული აქვს „**სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) არის ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნებვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი, ყველა ეს სოფლები განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის**“ (გიულდენშტედტი, 1962:219). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ხეობის აქ ჩამოთვლილი ციხე-სოფლები იმ დროისათვის განადგურებული და გაუკაცრიელებული ყოფილა. **ახალდაბის ციხე** მნიშვნელოვნად დაზიანა 1920 წელს მომხდარმა მიწისძვრამ და დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებიღაა შემორჩენილი, ხოლო 1801 წლისთვის ახალდაბა უკვე სოფლად

ქცეულია და იგი ეკუთვნოდა დარეჯან დედოფალს, რომელსაც რამდენიმე კომლი მოსახლე ჰყოლია და წელიწადში 6 ლიტრა სანთელს ახდევინებდა (თაყაიშვილი, 1910:297).

ბანისხევ-რველის გაერთიანებაში შემავალ სოფლებთან, ერთიანდება სოფ. **ყვიბისიც**, რომლის შესახებაც წერილობით წყაროებში ცნობები XIV-XVI საუკუნეებში ჩნდება (ჯიქია, 1958:477, ჟორდანია, 1897: 255). თავისი ციხეც ჰქონია, სამწუხაროდ, წყაროებში არსადაა **ყვიბისის ციხის** შესახებ საუბარი და მას არც ვახუშტი იხსენიებს, მას მხოლოდ მოგვიანო პერიოდში პაპუნა ორბელიანი ახსენებს „ამბავნი ქართლისაში“. 1757 წელს, წერს პაპუნა ორბელიანი,– „მოვიდა ათასი ლეკი ქვეითი ავალიშვილების მამულში, ხეობაში აიღეს **ყვიბისის ციხე**“ (ორბელიანი, 1981: 245).

ჩანს, სოფ. **ყვიბისს** საკუთარი ციხეც ჰქონია, და 1757 წელს ლეკთა შემოსევის დროს სოფლის მოსახლეობას მისთვის შეუფარებია თავი, მაგრამ ციხე იმდენად გაუმაგრებელი, მისი დამცველები კი ისეთი მცირერიცხოვანნი ყოფილან, რომ ათასი ლეკისათვის წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ, ციხის აღების შემდეგ, ცხადია, ცოცხლად გადარჩენილ ციხეში მყოფთ ლეკები ტყვედ წაიყვანდნენ.

დღეს სოფელში ზუსტად არავინ იცის, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო **ყვიბისის** ციხე განლაგებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ციხე სოფლის განაპირას, ახლანდელი წმ. ელიას სალოცავის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ვინაიდან აღნიშნულ ადგილზე უამრავი ნანგრევია, სადაც აშკარად იკითხება ძველი მშენებლობის კვალი, მეორე, ციხის განლაგების სავარაუდო ადგილი შემაღლებულია და იქიდან კარგად ჩანს ქალაქი **ბორჯომი, რველი-ზანავის** მიდამოები, რაც, ალბათ, ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ციხე-სიმაგრეებს მტრის შემოსევის დროს ერთმანეთთან აკავშირებდა. მესამე, ამ ადგილს ჩამოუდის მდინარე, რასაც ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მეციხოვნეთათვის. ხოლო ამ ადგილს თუ საიდან შემორჩა წმ. ელიას სალოცავის სახელი, დღემდე უცნობია ჩვენთვის, არც ისაა გამორიცხული, რომ სათავადოე-

ბისათვის დამახასიათებელი ნიშანი სალოცავი თავადებს „ციხის“ ტერიტორიაზეც ჰქონოდათ. ალბათ, ყოველივე ამ შეხედულებას არქეოლოგიური კვლევა-ძიება თუ მოჰფენს ნათელს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ სოფელ **ყვიბისში,** სადაც იყო ისეთი ცნობილი სამონასტრო კომპლექსი, როგორიცაა ბერისაყდრების მონასტერი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მთავარანგელოზის სახელობის დიდი ბაზილიკური ეკლესია და ციხე, უნდა ვიფიქროთ, სოფელი სათანადოდ დაწინაურებული იყო და მისი ისტორია ბევრად შორეულ წარსულში იღებს სათავეს, ვიდრე მისი სახელის XIV-XVI საუკუნეების წერილობით წყაროებში ხსენება, ამაზე მეტყველებს თუნდაც ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების (დაახლოებით 40 ც) ერთ ადგილზე პოვნა, რომელიც 1280-იანი წლებით თარიღდება (გელაშვილი, 2007:8). ბუნებრივია, **ყვიბისის ციხეც** თავის ფუნქციას შეასრულებდა მტრის შემოსევის დროს, მას, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ეროგვარი სასიგნალო როლიც უნდა კისრებოდა, რადგან **ყვიბისის** მიდამოებიდან კარგად ჩანს **ქ. ბორჯომის (სალისა და გოგიას ციხეები) და ზანავრველის (რველის, სამის ციხეები)** მიდამოები.

მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს განეკუთვნებოდა თავის დროზე **სლესის ციხე,** მას ხან **მოქცევის ციხესაც** უწოდებენ, ეს მეორე სახელი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნასოფლარ მოქცევთან. იგი **ქვაბისხევთანაა** ახლოს და, ბუნებრივია, **სლესის** ციხე სამცხიდან ხეობისკენ მომავალი გზის გაკონტროლებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა მის გარშემო მდებარე სოფლების დაცვის საქმეში. იგი XVI საუკუნემდე არ იხსენიება, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში აღნიშნულია სოფ. **სლესა** (ჯიქია, 1941:107-108). ხოლო სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიაში აღნიშნულია, რომ ციხეს ფლობდა სამცხე-საათაბაგოს თავადთა ერთ-ერთი გვარი „სლესარნი“: „ბუმბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ავალიშვილთა და სლესართა აქუს“ (შარაშიძე, 1961:33).

დარეჯან კლდიაშვილის აზრით, XIV საუკუნეში ამ მხარეში

ბუმბულისძენი და მათი მემკვიდრენი სლესერები და ავალიშვილები არიან, ხოლო სლესართა გვარს **სლესის ციხის** მფლობელისგან ნაწარმოებად მიიჩნევს (კლდიაშვილი, 1975:17).

შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ავალიშვილთა საქონებელი დაახლოებით **ქვაბისხევთან** უნდა დაწყებულიყო **თორის** სახლვარზე და შემდეგ მტკვრის დაყოლებით.

ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხეს განეკუთვნება **პეტრეს ციხე**, იგი ქვერბილის სახელითაცაა ცნობილი წყაროებში (ჯიქია, 1941:486). „არს, მტკურის კიდესა ზედა, სამჴრით, **პეტრეს-ციხე**, ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან", – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი, 1973:381). ციხე მტკვრის სანაპიროს მაღალ კლდეზეა წამომდგარი. მას უჭირავს კლდოვანი ბორცვის თხემი, იგი განვითარებულ ფეოდალურ ხანაშია აგებული და **თორის** მხარის ერთ-ერთ ძლიერ ციხეს წარმოადგენდა. **პეტრეს ციხე** XVI ს. ცნობებშიც არის მოხსენიებული, როდესაც ოსმალებმა სამცხე მიიტაცეს, მაშინ მათ ჯარები შეუსიეს მტკვრის ხეობას, **პეტრეს ციხე** დაიმორჩილეს, შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენეს და ციხის რაბათი ხეობის ცენტრად აღიარეს (გელაშვილი, 2007:8). დღემდე შემორჩენილი ციხის ნაშთების კონსტრუქცია იმაზე მიუთითებს, რომ მას XVI-XVII სს. განახლება-გადაკეთება განუცდია (მაკალათია, 1957:49).

ავალიშვილების ფეოდალური საგვარეულოს ბურჯი **პეტრეს ციხე** ყოფილა. ნახევრად დაშლილი ციხის კონტურებში ჯერ კიდევ მოჩანს წარსული ნაკვალევი: დარბაზის კედლები, ორნამენტიანი ქვები, მარცვლეულის სარო, ქვევრები, კერამიკის ნაშთები და სხვა.

არც ერთ წერილობით წყაროში არაა ცნობილი თუ რატომ ჰქვია **პეტრეს ციხე**, შესაძლოა ამ ციხის მშენებლობა ვინმე ისტორიულ პირთანაა დაკავშირებული. ციხე შუა საუკუნეების ნაგებობას განეკუთვნება და მისი თავდაპირველი სახელი **ყვერბილი** უნდა ყოფილიყო, რომლის სახელობის დასახლებაც ყოფილა XI-XII საუკუნეებში ციხის დაბლა (ქსე, 1984:46). მოგვიანო პერიოდში იგი ავალიშვილთა ძირითადი დასაყრდენი

გამხდარა ხეობის დაცვაში, პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1742 წელს დროებით გივი ამილახვარს ეჭირა, რომელსაც **სურამისა და ახალდაბის ციხეების** პარალელურად დაჭერილი ჰქონდა პეტრეს ციხე, საიდანაც უშუალოდ თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ოსმალებთან მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ზაალ ავალიშვილი იმამ-ყული-ხანის დავალებით და წყალობათა დაპირებებით შევიდა ხეობაში და გატეხა **პეტრეს ციხე**, გამოიყვანა გივი ამილახვრის ჯარი და შიგ თავისი ჩააყენა. ამის შესახებ პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „გაისტუმრა ხანმა ავალისშვილი ზაალ, ძე როსტომისა პეტრეს ციხის ასაღებად, აღუთქვა მისაცემელი, მოვიდა შეაპარნა კაცნი, აიღო ციხე და გამოსხა კაცნი ამილახორისანი“ (ორბელიანი, 1981:56). ხოლო, 1739 წელს უსუფ ფაშა თურქებისა და ლეკების გაერთიანებული ჯარით ქართლიდან ახალციხეს მიდგომია. ავალიშვილებს **პეტრეს ციხესთან** გადაუკეტავთ გზა, დაუმარცხებიათ მტერი, წაურთმევიათ საბრძოლო იარაღი. სურსათი და ნაალაფარი ციხეში აუზიდიათ. დამარცხებას ისე უმოქმედია უსუფ ფაშაზე, რომ დაავადებულა და მალე გარდაცვლილა. „შეიპყრნა სენმა ჯავრისამან უსუფ-ფაშა და მოკუდა“ (ორბელიანი, 1981:80). 1744-1745 წლებში **პეტრეს ციხე** თეიმურაზ მეორეს ქაიხოსრო ავალიშვილისა და მისი შვილი პეტრესათვის დაუმტკიცებია, რის შემდეგაც ამ ციხეზე ხელი ავალიშვილებს მიუწვდებოდათ (აბულაძე, 1983:86).

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ხეობა და შესაბამისად **პეტრეს ციხე** ერეკლე II-ის განკარგულებაშია (მელითაური, ხანთაძე, 1955:13, ზაქარაია, 1977:35). ამის შესახებ ერეკლე II-ის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: „ჩვენი ბრძანება არის ბატონო ამილახვარო რევაზ: როგორც ამ დავთარით შეგვეწეროს ეს კაცნი ასე გამოიყვანე ეროი თვის ნუზლით, თუ რუსები გადმოვიდნენ, მაგათაც დავიბარებთ და თუ დააგვიანეს, ამ ერთ თვეს პეტრეს ციხეში უნდა იყვნენ. თუ მოსარევი მტერი იყოს, პასუხს მისცემენ, თუ დიდი ჯარი იყოს, სოფლებს შეატყობინონ“ (აბულაძე, 1983:86, მელითაური, ხანთაძე, 1955:13). **პეტრეს ციხე** შემდგომ კვლავ ოსმალებს დაუკავებიათ და შიგ

დაქირავებული ლეკთა ჯარი ჩაუყენებიათ, 1812 წელს პეტრეს ციხეში **ახალციხეს** მიმავალი ერეკლე მეორის შვილიშვილი, ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი ლეონი ლეკებს ვერაგულად მოუკლავთ (ზაქარაია, 1977:35).

XVI საუკუნის დასაწყისიდან ავალიშვილები მტკვრის ხეობაში ძლიერ ფეოდალებად ჩანან და, რასაკვირველია, **პეტრეს ციხეც** მათ მფლობელობაში იქნებოდა. რაც შეეხება გადმოცემას, რომ თითქოს **პეტრეს ციხე**, პეტრე ავალიშვილმა ააშენა, ეს, ალბათ, ამ ციხის ავალიშვილთა მფლობელობაში არსებულ პერიოდს ასახავს და არა ციხის მშენებლობის პერიოდს, რადგან ციხის მშენებლობის დროს ხეობას ავალიშვილები არ ფლობენ და ციხე მანამდე უთუოდ არსებობდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ყვერბილის** სახელით.

გიულდენშტედტის მოგზაურობისას, 1772 წელს, ციხეს ფუნქცია დაკარგული აქვს და მისი მიმდებარე სოფლები ოსმალთა შემოსევის შედეგად დაცარიელებულია (გიულდენშტედტი, 1962:217).

პეტრეს ციხეზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ადგილი უჭირავს, ქალაქ ბორჯომის ცენტრში აგებულ **გოგიას ციხეს**, მისი მშენებლობის კონსტრუქციით და ციხეში აღმოჩენილი საგნების მიხედვით, განვითარებული ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების გვერდით უნდა დადგეს. ციხეს აქვს კვადრატული კოშკი. სპეციალისტების აზრით, ასეთი კოშკები ციხეებს XIV ს. შემდეგ აღარ უკეთდებოდა (ხუჯაძე, 1969:15). ციხის არქიტექტურა ცხადყოფს, რომ ნაგებობა X-XIV ს-მდე უნდა იყოს აშენებული. ყოველ შემთხვევაში, XIV ს. შემდეგ საქართველოში ასეთი ტიპის ციხესიმაგრე აღარ შენდებოდა. **გოგიას ციხეც** ავალიშვილთა საგვარეულოს კუთვნილება იყო (გელაშვილი, 2011:39). ამ ციხესთან დაკავშირებულია ლეგენდა: „ორი ძმა დანასისხლად ყოფილა ერთმანეთის გადაკიდებული. მტრობა იქამდე მისულა, ან ერთი უნდა დარჩენილიყო ცოცხალი, ან მეორე. ნათესავებს მოსისხლეთა შერიგება გადაუწყვეტიათ და საგანგებო ნადიმი გაუმართავთ **გოგიას ციხეზე**. გაჩაღებულა მამაპაპური ლხინი,

შერიგებაც შემდგარა, მაგრამ ღვინოს თავისი გაუტანია, ძმები წაკინკლავებულან, გაუწევიათ ერთმანეთზე, ამტყდარა ჩხუბი, ათეულობით ადამიანი დალუპულა ორივე მხრიდან, ძმებს კი ერთმანეთი დაუხოცავთ“ (ალხაზიშვილი, 1877:2-3).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ციხეში თურქების ნაცვლად კაზაკები ჩამომდგარან, მათ შორის ყოფილა ორმოცდაათამდე ქართველი გუშაგი ვინმე ვეხირიშვილის მეთაურობით, ხოლო გოგიას ციხე რუსეთ-თურქეთის 1828 წლის ომის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რადგან ციხე ქართლისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა მისი ხელში ჩაგდება ოსმალებს უცდიათ, თუმცა, ორმოცკაციანი ქართული მილიციის დანაყოფს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია და ოსმალთათვის ციხე არ ჩაუბარებიათ (მაკალათია, 1957:53).

სამცხიდან ხეობაში მომავალი გზების გაკონტროლებაში და ზოგადად ხეობის თავდაცვით საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლს თამაშობდნენ ჭობისხევის ციხე-კოშკები.

ჭობისხევის ციხე-კოშკები მდებარეობს, სოფლის აღმოსავლეთით, ჭობისხევ-დაბა ძველის გზაზე მდინარის მარჯვენა მხარეს. ციხე საშუალო ზომისაა, 25X15, მეტრი და წაგრძელებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მისი დასავლეთის და სამხრეთის მხარე დიდი ქარაფებით ბუნებრივად არის დაცული.

ჭობისხევის ციხის შესახებ წერილობითი ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ, მას გარკვეული როლი უნდა დაკისრებოდა თავის დროზე საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის **თორისა და სამცხიდან** მტკვრის ხეობით ქართლში მიმავალი გზების დასაცავად. **ჭობისხევის ხეობიდან დაბაძველ-ციხისჯვარზე** გავლით გზა **თორში** მიდის და გამორიცხული არ არის, რომ თორის პროვინციის ამ სამიმოსვლო გზაზე ციხე მნიშვნელოვან თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. **ჭობისხევის ციხესთან** დაკავშირებით, პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისაში“, იქ, სადაც საუბარია **ყვიბისის ციხეზე**, ლეკთა შეტევაზე 1757 წელს, გაკვრით

არის აღნიშნული: „მერე მიადგნენ **ჭობისხევის ციხესახლს**“ (ორბელიანი, 1981:245).

ჭობისხევის საციხისთაო ცნობილია, საკუთრივ ციხის გარდა, კოშკებით. ჭობისხევის ციხის ჩრდილოეთით არის ერთ-ერთი კოშკი, რომლის სიმაღლე 5 მეტრამდეა, კოშკის კონსტრუქცია მეტად საინტერესოა, მისი ცოკოლი ოთხკუთხედია, მაღლა კი მრგვალია. შიგნიდან კი ნახევარწრის ფორმა აქვს, კოშკის კედლების სისქე 1,60 მეტრია. კოშკს სათოფურები არ აქვს. კოშკი ნაშენია ფლეთილი, ადგილობრივი ჯიშის დიდი ხომის ქვებით. კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა ნაგებობის ნაშთია, რომლის ფუნქცია გაუთხრელად არ იკითხება.

ნასოფლარის ზევით, დაახლოებით 3-3,5 კმ-ზე, **დაბაძველისკენ** მიმავალი გზის დასავლეთ მხარეს მესამე კოშკია, ისიც ზურგიანი, ციხე-კოშკის ნანგრევები მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. იგი სათვალთვალო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რადგან კოშკის მდებარეობის ადგილიდან თვალსაწიერი დიდია. ბუნებრივია, **ჭობისხევის** გამაგრებათა ასეთი სისტემა მეტყველებს ჭობისხეველთა ზრუნვაზე, როგორც **თორისკენ**, ისე ხეობაზე გავლით ქართლისკენ მიმავალი გზების დაცვაზე.

კოშკი ნაგებობათა დამოუკიდებელი სახეა, მაგრამ ამავე დროს აუცილებელი ნაწილია ყოველი სიმაგრისა. როცა ივანე ჯავახიშვილი განიხილავს მშენებლობის საკითხებს, წყაროებზე დაყრდნობით განსაზღრული აქვს ტერმინი კოშკი: „ციხეში საგუშაგო იყო, ე. ი. ადგილი, სადაც გუშაგები იდგნენ, რა ეწოდება იმ მაღალ ნაგებობას, საითგანაც გზები ჩანდა და დამკვირვებელს ადვილად შეეძლო დაენახა და შეეტყო, თუ საითგან მოელოდა ქალაქს განსაცდელი? შემდეგში ამას კოშკი ეწოდებოდა, მაგრამ ძველად, ...მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საუკუნეების ძეგლები ავიღოთ ვერსად კოშკს ვერ ვიპოვით. კოშკის მაგიერ ჩვენ აქ გოდოლი გვაქვს, ხოლო მეცხრე საუკუნის ძეგლში უკვე კოშკი მოგვეპოვება“ (ჯავახიშვილი, 1946: 43-47). ტერმინი „კოშკი“ შემოსული ყოფილა სპარსეთიდან და არაბეთიდან.

მნიშვნელოვან თავდაცვით სიმაგრეს ეკუთვნოდა **დვირის ციხეც**, იგი მდებარეობს სოფელ დვირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის წვერზე. ციხე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზეა განლაგებული და თავს დასცქერის სამცხე-საათაბაგოდან ქართლისაკენ მიმავალ გზას. ციხე ქართლ-სამცხის სასაზღვრო ზოლზეა აგებული, რომლის დაცვა-გამაგრება მისი მოვალეობა იქნებოდა, ციხე ასევე თავს დასცქერის **კვირიკეწმინდის მონასტერს** და, ბუნებრივია, ციხის ფუნქციებში მონასტრის უსაფრთხოებაც შევიდოდა. **დვირის ციხე** ქართლისა და სამცხის სასაზღვრო ზოლში მდებარეობს, მის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „და არს დვირამდე ქართლისაო“ (ვახუშტი, 1973:381). ციხე შედგება სამი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთს ტერასულად ემიჯნებიან. ციხის ზედა უმაღლესი წერტილი 30-ოდე მეტრით მაღალია ქვედა ტერასაზე, ციტადელის სამხრეთ მხარეს ციცაბო კლდეზე ამოყვანილი მძლავრი გალავანი იცავს, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გალავნები მორღვეულია. დასავლეთით ორი მეტრის სიმაღლის კლდის მასაზე აშენებულია გალავანი, რომლის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ციტადელის ქვემოთ არის „შუა ციხე“, რომელიც 8-9 მეტრი სიგანისაა და „ქვედა ციხისაგან“ კლდის კედლითაა გამოყოფილი. ქვედა ციხეს ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს: აღმოსავლეთით კლდის ბრტყელი კედელი ესაზღვრება, დანარჩენ სამ მხარეს - გალავნები. გალავნის ცენტრში გაჭრილია 230 სმ. სიმაღლის და 130 სმ. სიგანის კარები. ციხე აშენებულია მონაცრისფრო, ფლეთილი, სხვადასხვა ზომის ქვებით და დუღაბის სქელი ხსნარით.

სამწუხაროდ, წერილობითი წყაროები არაფერს ამბობენ **დვირის ციხის** შესახებ და ჩვენთვის უცნობია მისი, როგორც თავდაცვითი ნაგებობის, განვლილი ცხოვრების მთელი რიგი დეტალები, მაგრამ ფაქტია, რომ თავის დროზე **დვირის ციხე** მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა **ქვაბისხევისა** და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის საქმეში.

ხეობის მნიშვნელოვან თავდაცვით ნაგებობას მიეკუთვნებოდა **საკირის ციხეც**, რომელსაც „გუჯრისციხეს“ უწოდებენ (მაკალათია, 1957:39). **საკირის**, ანუ **გუჯრისციხე**, ტიპიური ციხე-რეზიდენცია ყოფილა ქვეყნის უფლისა, რომელიც ამ ეროვნული ცენტრში მჯდარა და აკონტროლებდა აქ გამავალ გზა-ბილიკებს. ციხეს თავისი ეკლესიაც ჰქონია და, როგორც დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „შიდა ციხეში მყოფი ბრტყელ აფსიდიანი ეკლესია, ადრეული ხანისა უნდა იყოს“ (ბერძენიშვილი, 2000:25). **საკირის ციხის** ნანგრევები მაღალი, კლდოვანი მთის წვერზე მდებარეობს. სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5-2 კილომეტრზე. ციხის კედლები ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ისინი კლდის რელიეფის სხვადასხვა დონეზე მდებარეობენ და პირვანდელ სახეზე ძალიან ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნიან დღეს. სამშენებლო მასალად კლდოვანი, ნამსხვრევი ქვაა გამოყენებული. ციხე-რეზიდენციას მოხერხებული სტრატეგიული მნიშვნელობა და მდებარეობა გააჩნია. მისი განლაგების ადგილიდან კარგად იშლება სოფელი **საკირე** და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

საკირის ციხის მშენებლობის პერიოდად სერგი მაკალათია მის არქიტექტურულ მონაცემებზე დაყრდნობით VIII-IX საუკუნეებს დებს (მაკალათია, 1957:40).

საკირის ციხის ისტორიული მნიშვნელობა უმთავრესად იმით უნდა განისაზღვროს, რომ ის მდებარეობს ისტორიული **თორისა** და **ციხისჯვრიდან** სამცხე-საათაბაგოს გზაზე და სწორედ ამ ციხეს საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეკრა ეს გზა. ამ ციხის შესახებ პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „ახალციხის საფაშოს დასარბევად წასული ქართველი ჯარი კი გადავიდა ხეობაში და ოსმალთა ხელში საკირის ციხე დაიკავეს“ (ორბელიანი, 1981:95). ამ ამბით შეწუხებული ოსმალები მიადგნენ **საკირის ციხეს**, მაგრამ, მტერმა მაინც ვერ სძლია მეციხოვნენი. ეს მოვლენები ხეობაში 1745 წელს მომხდარა და ქართველთა მეფე თეიმურაზს მტერი დაუმარცხებია, მაგრამ 1747 წელს ციხე ლეკებს აუღიათ: „გამოვიდნენ ბე-

ლადები ლეკისა ათასის კაცით, შემოიარეს ქართლი, მოვიდნენ, აიღეს საკირის ციხე“ (ორბელიანი, 1981:133).

საკირე-დვირის საციხისთაოებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევდა თავის დროზე **„მოლოზანას“ ციხე**, რომელიც **ქვაბისხევის ხეობაში** მდინარის მარჯვენა მხარეს ძნელად მისასვლელ მაღალ კლდეზეა განლაგებული, ციხის განლაგების ადგილს „მოლოზანას“ უწოდებენ და ციხემაც ადგილის მიხედვით მიიღო სახელწოდება „მოლოზანი“, იგი მიუდგომელ ადგილზეა გაშენებული და მასთან მისასვლელად ორკილომეტრიანი მთა უნდა აიარო და მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან და ისიც ძნელად ასასვლელი საცალფეხო ბილიკით. ციხეს კოშკი დასავლეთით აქვს, აგრეთვე, მას ემჩნევა ქონგურები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებში. უნდა ითქვას, რომ **ბორჯომის ხეობაში** დაცულ ციხე-სიმაგრეებიდან ეს ციხე ყველაზე მიუვალად უნდა ჩაითვალოს (ხუჯაძე, 1969: 60). **„მოლოზანას ციხე“** დარაჯობს ქვაბისხევის ხეობასა და სამცხე-საათაბაგოსაკენ მიმავალ გზას. ამ ციხიდან კარგად მოჩანს **ჭობისხევის ციხე-კოშკები, დვირისა და დემოთის ციხეები.**

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ხეობა ან გზა, სადაც წინაპართაგან გარკვეული კანონზომიერებით არ ყოფილიყო აგებული ციხე ან სასიგნალო კოშკი. ამ მხრივ ერთერთი გამორჩეული ადგილი საქართველოს ისტორიაში ისტორიული თორის ხეობას უკავია.

ხეობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ადგილს განეკუთვნებოდა სოფელი **ციხისჯვარი**. ციხისჯვრის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობები XI საუკუნიდან ჩნდება, მას ახსენებს „მატიანე ქართლისაჲ“, სადაც საუბარია განმდგარ კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის მიერ დედოფლისგან ერისთავის ანისით გაყვანაზე: „გაიყვანა ანისით დედოფლისაგან აბუსერ, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა“ (მატიანე ქართლისაჲ, 2008:284). ამავე წყაროში **ციხისჯუარი** სხვაგანაც იხსენიება; როდესაც ბაგრატ IV-ს სულა კალმახელმა ლიპარიტ ბაღვაში მოჰგვარა, ბაგრატმა ლიპარიტს ერთგულების ნიშნად ციხისჯუარი უბოძა: „და

ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან (ბაგრატ IV-ბ. გ.) უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი... და სხუაცა მრავალი საქონელი“ (მატიანე ქართლისაჲ, 2008:288). აქედან ეყრება ციხისჯუარელთა ფეოდალურ სახლს საფუძველი (კლდიაშვილი, 1979:90). **ციხისჯვარი** იყო მნიშვნელოვანი გზათა გასაყარი, საიდანაც შეიძლებოდა სამცხესა და ჯავახეთში გადასვლა. მის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხის-ჯუარი, და ციხე მისი შავს-წყალსა ზედა“ (ვახუშტი, 1973:381).

წერილობითი ცნობებით, მტკვრის ხეობაში XIII საუკუნიდან **ციხისჯვარს** სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია და მის სახელთან დაკავშირებულია დიდი ფეოდალების ჯაყელ-ციხისჯვარელების საქმიანობა, რომელთაც **ციხისჯვარი** თავიანთ რეზიდენციად აქციეს.

ბუნებრივია, ისეთ ცნობილ ფეოდალთა სახლს, როგორიც ჯაყელ-ციხისჯვარელები იყვნენ თავიანთი ციხე-სიმაგრე ჰქონდათ, რომელიც **ციხისჯვრის ციხის** სახელითაა ცნობილი. ციხისჯვარელებისა და ციხისჯვრის სახელი განსაკუთრებით აქტიურად იკვეთება მონღოლთა ბატონობის დროს. 1261 წელს, როგორც უკვე ცნობილია, სამცხეს არღუნი შემოესია მონღოლთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრით, რასაც ქართველებში არსებული უთანხმოებაც ხელ დაერთო და დამპყრობელი ოცი დღის განმავლობაში აოხრებდა სამცხის ტერიტორიას, მაგრამ, მიუხედავად ქართველებში არსებული განხეთქილებისა, არღუნმა ჯაყელთა მთავარი საჯდომისა და ბურჯის, **ციხისჯუარის** აღება მაინც ვერ შეძლეს. უამთააღმწერელი ამის შესახებ აღნიშნავს: „არღუნ... მოადგა ციხისჯუარსა, დაუწყო ბრძოლა ძლიერად, რაჲთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს და მრავალი კაცი მოკლეს, და დიდად ავნებდეს გარეთ მყოფთა, ღღისით და ღამით განვიდიან და ადგილადგილად მოსწყჳდიან. და ვითარ იხილა სიმტკიცე ციხისჯუარისა,.. აიყარა და წავიდა“ (უამთააღმწერელი, 2008:586). წყაროში კარგად ჩანს, რამდენად ძლიერი და გამაგრებული

ციხე ყოფილა **ციხისჯუარი**. წერილობით წყაროებში შემდგომ პერიოდშიც აღწერილია, მონღოლების გახშირებული თავდასხმების შესახებ, თუ როგორ ახორციელებდნენ სარგის ციხისჯვარელის და მისი სამკვიდრო მამულის, სარეზიდენციო-სამმართველო ტერიტორია **ციხისჯვრის ციხეზე** თავდასხმებს (ვახუშტი, 1973:218).

ციხისჯვრის ციხე მონღოლთა ბატონობის მომდევნო პერიოდშიც ფუნქციონირებს, იგი გოგორიშვილების მფლობელობაში ყოფილა, ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „გოგორიშვილმა ბეჟან ციხისჯუარი უკუ იჭირა და მოსცა ფაშასა“ (ეგნატაშვილი, 1959:531, შარაშიძე, 1961:56). ჩანს, ჯაყელ-ციხისჯვარელების დამცრობის შემდეგაც მოქმედია **ციხისჯვრის ციხე**, ოღონდ ის უკვე მოღალატე თავადების ხელშია. XVI საუკუნეში საქართველოში იქმნება სამხედრო-ტერიტორიული ერთეულები „სადროშოები“ (გვრიტიშვილი, 1950:53). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, საქართველო გაყოფილ იქნა ოთხ სადროშოდ და აღნიშნავს: „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშედ განყოფილნი, რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი და მიმყოლნი მათი სრულიად მესხნი“ (ვახუშტი, 1973:30). **ციხისჯვარი** და ციხისჯვარელები რომ საკმაოდ მებრძოლი საგვარეულოა, ეს ზემოთ მოყვანილი არაერთი ცნობიდანაც ჩანს, ბუნებრივია, **ციხისჯვრის ციხე** თავის დროზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა თორელთა და თორის ცხოვრებაში. გურჯისტანის ვილაიეთის დავთრით, ციხისჯუარში სულ რაღაც 10 კომლია დარჩენილი და 500 ახჩა აქვთ შეწერილი (ჯიქია, 1958:478). საფიქრებელია, ოსმალთა მოძალეობისას ციხისჯუარი თანდათან დაიმცრო და დაკარგა ძველი დიდება და სახელი. დღეს **ციხისჯვრის ციხის** მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი სოფლის ცენტრში და შეუძლებელია წარმოსახვის გარეშე წარმოიდგინო ესოდენ დიდი ისტორიის მქონე ციხის სრულყოფილი სახე.

ხეობის წარსულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა **სადგერის ხეობას**, იგი XV საუკუნიდან ავალიშვილთა

სათავადოს ადმინისტრაციული ცენტრიც იყო (გელაშვილი, 2011:39). მას მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული შუა საუკუნეების ხეობის ცხოვრებაში, იგი ცნობილია, როგორც უდიდესი სავაჭრო ადგილი (მელითაური, ხანთაძე, 1955:12). **სადგერს,** როგორც ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ადგილს, გააჩნდა თავისი ციხე, რომლის შესახებაც წერილობითი წყაროები მწირ, მაგრამ მაინც გვაწვდიან ცნობებს. **სადგერის** შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „სადგერი არს მაგარი და შეუვალიო“ (ვახუშტი, 1973:381). ვახუშტი სხვა რაიმე დამატებით ცნობას **სადგერის** შეუვალობის შესახებ არ იძლევა, იგი მხოლოდ სადგერის წმ. გიორგის ასახელებს, ბუნებრივია, რომ სადგერი თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან და, მით უფრო, სათავადოს ცენტრად ქცევიდან მოყოლებული საკმაოდ გამაგრებული ციხე-სიმაგრე იქნებოდა, წერილობითი წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ **სადგერის ციხის** მშენებლობის პერიოდი, თუმცა შეიძლება მისი მშენებლობა საავალიშვილოს ცენტრის სადგერში გადატანას უკავშირდებოდეს, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ არსებობდა **სადგერში ციხე**. სადგერის ხეობას რომ მშვიდობიანი თანაცხოვრება არ ჰქონია და ისიც თანაზიარია ხეობის სხვა ციხეებისა მტერთან ბრძოლისას, ამაზე მეტყველებს თვით **სადგერში** შეთხზული ოდა წმ. გიორგისადმი მიძღვნილი, რომელიც დღეს **სადგერ-ჩხარის** ჯვრის სახელითაა ცნობილი, თავდაპირველად ეს ჯვარი **სადგერში** შეიქმნა შოთაშვილების მიერ და იგი სადგერის მნიშვნელოვან სიწმინდედ ითვლებოდა, ხოლო 1578 წელს ლალა ფაშას ლაშქრობისას, რომელსაც **სადგერი** დაუპყრია, სადგერის ეს ჯვარი დასავლეთ საქართველოში ჩხარში გადაუმალავთ, რის შემდეგაც მას **სადგერ-ჩხარის** ჯვრის სახელით იცნობენ. იგი 1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს ჩხარის მონასტერში (გელაშვილი, 11:8). „მესხური მატიანე“ ლალა ფაშას ამ ლაშქრობის შესახებ გვამცნობს: „ლალა ფაშას ლაშქარი და მირძალი გამოეგზავნა პატრონს მანუჩართანა, ქართლს გაეძახა. ქართლს ვერ ჩაუვიდეს, **სადგერს** დადგეს და ამოსწ-

ყუიდეს სადგერი“ (შარაშიძე, 1961:51, ვახუშტი, 1973:722, ჩხეიძე: 1854:165). ჩანს, რომ **სადგერის ხეობა** ოსმალურ დამპყრობლებს გაუნადგურებიათ და სადგერი, შესაბამისად მისი ციხე, ოსმალთა ხელში გადავიდოდა. სადგერის ხეობა 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის“ დიდ დავთარშიც იხსენიება, დავთრის დროინდელ სადგერში სულ რაღაც ოთხი კომლი ცხოვრობს, რომელსაც 30 ათასი ახჩა აქვს დადებული (ჯიქია, 1958:489). მიუხედავად იმისა, რომ სადგერი 1595 წლისთვის დასუსტებულია, შემდგომ პერიოდ'ში ის გაძლიერებული ჩანს და სათანადოდაც იბრძვის მტრის წინააღმდეგ. ს. ჩხეიძის ცნობით, 1732 წელს „შემოადგა ლეკი ქვი'შხეთს... შეიპყრეს ხეობა, მოუხდნენ დვირს, წაახდინეს ასპინძა, ო'შორა, სხვა ბევრი სოფლები, გადმოიარეს ციხისჯუარი, და მიადგნენ სადგერს, ზეით თედიაშვილების ციხესა, თერთმეტი დღე იდგნენ, ამა შეჭირებასა შინა... აქედამ ავალიშვილები მოადგნენ... ამოსწყვიტნეს ლეკნი“ (ჩხეიძე, 1854:95). როგორც ჩანს, კარგად გამაგრებული ყოფილა **სადგერის ციხე**, რომ ამდენი დასახლებული ადგილების დარბევა შეძლეს ლეკებმა და თერთმეტი დღის ალყამაც ვერ გატეხა სადგერლები. 1770 წელს, აწყურის ციხეზე გალაშქრების წინ, ერეკლე მეორე და ტოტლებენი **სადგერის ციხეში** დაბანაკებულან, სადაც ტოტლებენს 400 კაცი და 6 ზარბაზანი სადგერს დაუტოვია (აბულაძე, 1983:57). დღეისათვის, სადგერის ციხე დანგრეულია და ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორი არქიტექტურული აგებულების იყო იგი, მაგრამ ზემოთ ნახსენები მცირე ცნობებით ჩანს, რომ სადგერის ციხე ხეობაში ერთ-ერთი მნი'შვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა იქნებოდა.

ისევე როგორც **სადგერს** მთლიანად ხეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ლეკებმა. როგორც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, მათ არაერთი ციხე-სიმაგრე აიღეს და დაარბიეს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ღონისძიებას ატარებდა ერეკლე მეორე, ლეკიანობა მაინც მძიმე სენად რჩებოდა ქვეყნისათვის, ნიკო ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „ყველაზედ უმძიმესი ძნელბედობა ეს ლეკთა თარეში იყო... არ

დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, ლეკებს რომ არ აეოხრებინათ“ (ბერძენიშვილი, 1944:178). ამ სენის მოსპობას ისახავდა მიზნად ერეკლე II მიერ ზემო ქართლის სადროშოში 1772 წლის 28 აგვისტოს გაგზავნილი ინსტრუქცია, სადაც ვკითხულობთ: „ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ; თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდნენ და ისე მივიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ. ესეც იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურშვილებმაც, გლეხკაცმაც, ამის უკეთეს ვერცა რას ღმერთს აამებთ, ვერცა რას ჩუენ გვაამებთ, და ვერცა რას ქუეყანასა შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქუენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ“ (გვრიტიშვილი, 1950:62-63). ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტიდან კარგად ჩანს ხეობის მდგომარეობაც და ზოგადად ამ სენით გამოწვეული პრობლემები. ლეკებმა თითქმის არ დატოვეს ხეობის არც ერთი სოფელი, სადაც არ ელაშქროთ და გაენადგურებინოთ, სწორედ ამ ბრძოლების ქარცეცხლში იყო ჩართული ხეობის ყველა თავდაცვითი ნაგებობა. ამ მძიმე მდგომარეობას კარგად ასახავს ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის ცნობა, რომელიც ბორჯომის ხეობის შესახებ წერს: „უსვერიდან (აწყურიდან-ბ.გ.) ორ ეჯზე გადასასვლელია მთა, რომელიც ყოფს აქ სპარსეთ-ოსმალეთისგან, გადავიარეთ ეს მთა და მერე სიგრძეზე ჩავუქვიეთ, მთაზე ბევრი სოფელია გაშენებული, ძირს მომდინარეობს მტკვარი, რამდენსამე ადგილსა მოჩანს კოშკების, ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევები. ეს არის ნაშთი საქართველოს დიდებისა და ოსმალ-სპარსეთის მძვინვარებისა, გავიარეთ ათი ეჯი და ღამე დავდექით ერთ პატარა ქალაქში“ (შარდენი, 1935:57).

ზემოთ განხილული, წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ **ბორჯომის ხეობა** თავისი თავდაცვითი ნაგებობებით ერთ-ერთი გამაგრებული ყოფილა, ხეობის ამ ნაგებობებს განსაკუთრებული ზიანი ოსმალთა და ლეკთა მარბიელმა ძალებმა მიაყენეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1964 - ვ. აბულაძე, საავალიშვილოს ისტორიდან, თსუ შრომები, 107, თბ., 1964.

აბულაძე, 1983 - ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბ., 1983.

ალხაზიშვილი, 1877 - ი. ალხაზიშვილი, „ორიოდე დღე ბორჯომში“, გაზეთი „დროება“, 1877, №9.

ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ, 1964.

ბერძენიშვილი, 2000 - დ. ბერძენიშვილი, სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, 2000.

ბერძენიშვილი, 1944 - ნ. ბერძენიშვილი, VIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I; თბ, 1944.

ბერძენიშვილი, 1985-დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (თორი-ჯავახეთი), თბ., 1985.

გვრიტიშვილი, 1955 - დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

გვრიტიშვილი, 1950 - დ. გვრიტიშვილი, ზემო ქართლის სადრო'შო, თსუ შრომები, ტ.X I, 1950.

გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.

გელაშვილი, 2007 - ბ. გელაშვილი, ჩვენდა სისხლათ და შეცოდებად ვიკითხავთ იცოდეთ“, გაზეთ „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2007 წელი, 13 მარტი, №34.

გელაშვილი, 2007 - ბ. გელაშვილი, ცოტა რამ ყვიბისის წარსულიდან, გაზეთ „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2007წ. 18 სექტემბერი, №53.

გელაშვილი, 2007 - ბ. გელაშვილი, „ფრიად მაგარნი და შეუვალნი“, გაზეთ „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2007 წელი, 28 სექტემბერი, №54.

გელაშვილი, 2011 - ბ. გელაშვილი, ავალიშვილთა სათავადოს წარმოქმნა და მათი მამულები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2011.

დუნდუა, ჯალაღანია, 2009 - გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია, ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ, 2009.

ეგნატაშვილი, 1959 - ბ. ეგნატაშვილი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დაადგინა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმა, II, თბ., 1959.

ვახუშტი, 1973 - ვ. ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დაადგინა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმა. IV. თბ., 1973.

ზაქარაია, 1977 - პ. ზაქარაია, ბორჯომი-ვარძია (ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი), თბ., 1977.

ზაქარაია, 1988 - პ. ზაქარაია, საქართველოს ციხე-სიმაგრეები, თსუ შრომები, ტ. 326, თბ. 1998.

თაყაიშვილი, 1890 - ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, თბ., 1890.

თაყაიშვილი, 1910 - ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბილისი, 1910წ.

ინგოროყვა, 1954 - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

კლდიაშვილი, 1975 - დ. კლდიაშვილი, XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს თავადთა სია, როგორც საისტორიო წყარო (სადიპლომო ნაშრომი), თბ., 1975.

კლდიაშვილი, 1979 - დ. კლდიაშვილი, ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1979, №3.

ლეონტი,2008 - ლეონტი მროველი,ქართლის ცხოვრება,რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008.

ლეონტი მროველი, 1955 - ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დაადგინა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმა, I, თბ., 1955.

მელითაური, ხანთაძე, 1955 - კ. მელითაური, ნ.შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955.

მატიანე ქართლისა, 2008 - მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008.

მაკალათია, 1957 - ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბ., 1957.

მეფისაშვილი, 1964 - რ. მეფისაშვილი, „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში“, საქ. მეცნიერებათა მოამბე, თბ., 1964, №4.

ნარკვევები, 1970 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

ორბელიანი, 1981 - ს. ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა,შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

პრივალოვა, 1987 - გუჯარეთი, რედაქტორი ეკატერინე პრივალოვა, თბ., 1987.

ჟორდანია, 1897 - თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგ. II, თბ., 1897.

ჟამთააღმწერელი, 2008 - ჟამთაამღწერელი, „ქართლის ცხოვრება“, რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008.

ქსე, 1984 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 8, თბ., 1984.

შარდენი, 1935 - ჟან-შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ. 1935.

შარაშიძე, 1961 - სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI სს. ტექსტს პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი დაურთო ქრ. შარაშიძემ, თბ., 1961.

ჩხეიძე, 1854- ს. ჩხეიძე, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, გამოცემული მ. ჩუბინოვისგან პეტერბურგს, 1854.

ხუჯაძე, 1969- გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა (მეგზური), თბ., 1969.

ჯავახიშვილი, 1946 - ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946.

ჯავახიშვილი, 1983 - ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, II, თბ., 1983.

ჯამბურია, 1973 - გ. ჯამბურია, ტაშისკრის ბრძოლა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.

ჯიქია, 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. II, თბ., 1941.

ჯიქია, 1958 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. III, თბ., 1958.

BAKUR GELASHVILI

FOR THE HISTORY OF SELF- DEFENSE BUILDINGS IN TORI GORGE

Summary

The territory of Borjomi was an important cultural center from the ancient times. The remains of past culture are still found in the region. A lot of architectural monuments are preserved in the mountains and forests of the gorge where there were important monasteries and other defense buildings.

Tori gorge had one of the important roles in the Middle Ages in the creation of the united defense system of the country. The gorge always had a strategic role in defending the security of Kartli.

One can find quite a large number of defense buildings belonging to the Middle Ages in today's Borjomi. The oldest one among them is Demote Castle. It is mentioned in the written sources in the 70s of the I c. Uznariani Castle, Petre Castle, Gogia Castle, Alhaldaba Castle, Dviri Castle, Moktcevi Castle, Samis Castle are the most distinguished ones that are preserved till today.

After having studied the sources and literature discussed in the article, we can say that Borjomi gorge was historically important and strong administrative unit.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის შიდა საგარეულო ომები ახალციხეში

1791 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა სულეიმან ფაშა ჯაყელი (1770-1791). საფაშოს ტახტისთვის ატყდა ბრძოლა, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ტახტისთვის იბრძოდნენ ისაყ-ფაშა, შერიფ-ფაშა, უსუფ-ფაშა, საბუდ-ფაშა, სელიმ-ფაშა და სხვ. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა შერიფ და საბუდ ფაშებს შორის ბრძოლა პირველობისათვის.

თავდაპირველად ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო ორმა რეალურმა პრეტენდენტმა. ორივენი ჯაყელების საგვარეულოდან იყვნენ: სულეიმან ფაშას შვილი შერიფი და ჰასან ფაშას შვილი ისაყ II. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საბოლოოდ გაიმარჯვა შერიფმა და 1795 წლის 3 ივნისს მას ფაშობა მოუვიდა სტამბულიდან.

1797 წლიდან შერიფს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა, თავისივე ბიძაშვილი და ისაყ II-ის ძმა საბუდ მეჰმედ ფაშა. 1797 წლის 20 აპრილს საბუდი დიდი ზარზეიმით შევიდა ახალციხეში (ლომსაძე, 1979: 32). მას მხარს უჭერდნენ აჭარის სანჯაყ ბეგი ალა ხიმშიაშვილი, სელიმ ალა ყიფიანი და სხვები. თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, საბუდ ფაშა იმ დროის საბუთებში დახასიათებულია, როგორც გონიერი და ღირსეული მმართველი, ზომიერი პოლიტიკოსი, მაგრამ სამხედრო საქმეში შედარებით სუსტი პიროვნება (აქტები, 1902: 112).

1798 წლის მაისში საბუდ ფაშამ კონსტანტინეპოლიდან ახალი წყალობა მიიღო. ახალციხის გარდა სულთანმა მას მიანიჭა აგრეთვე „ფარშისა და ბათუმის ფაშობაც", ხოლო ამას შემდეგ დაემატა ტიტული არზრუმის სერასკირისა (ლომსაძე, 1979:37). ახალციხიდან გაძევებული შერიფ მეჰამედ ფაშა არ ისვენებდა და ყოველნაირად ცდილობდა სულთნის კარის გულის მოგებას. 1799 წლის ზაფხულის ბოლოს საიდუმლო

ხმები დაირხა, რომ სულთანი ახალციხეში საბუდ ფაშას მაგივრად შერიფ ფაშას გამოგზავნას აპირებსო (აქტები, 1902:150).

საფაშოს ტახტზე მჯდომმა საბუდმა დახმარებისათვის თბილისელი მელიქ-აბოვის საშუალებით საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, მაგრამ რეალური დახმარება ვერ მიიღო. 1800 წლის სექტემბერში შერიფ-ფაშამ დაამარცხა საბუდ ფაშა, რომელიც აწყურში გაიქცა და აქედან სცადა ლეკებთან მოლაპარაკება დახმარების თაობაზე. მან სათანადო წერილით აღჭურვილი კაციც კი აფრინა დაღესტანში, მაგრამ ვერც აქედან მიიღო დახმარება (აქტები, 1902:631).

შერიფ ფაშასთან ორჯერ დამარცხების შემდეგ საბუდ ფაშა არდაგანის ოლქში გაიქცა. აქედან ის დაუკავშირდა ანატოლიის სერასქირს ბატალი-ფაშას და დახმარება სთხოვა. ბატალი ფაშამ საბუდ ფაშას ჯარი მისცა შერიფ ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ შერიფ ფაშას ერევნის ხანის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაინც დამარცხდა საბუდ ფაშასთან და ახალციხე დატოვა (აქტები, 1902:678).

მალე შერიფ ფაშამ კვლავ შეკრიბა 1500 კაცი, გაილაშქრა საბუდ ფაშას წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და 1801 წლის მარტში ახალციხე კვლავ დაიკავა. საბუდ ფაშა არზრუმში გაიქცა. ამის შემდეგ საბუდმა დახმარება თბილისს სთხოვა. ამის შესახებ 1801 წლის 23 ივნისს გენერალი კნორინგი ლაზარევს ატყობინებდა: „მიღებული მაქვს მითითება, რომ საბუდ ფაშას არ დავეხმაროთ, არც რუსეთისა და არც ქართველთა ჯარით, რადგან ჩვენსა და პორტას შორის არის მეგობრული ხელშეკრულება" (აქტები. 1902:698). საბუდ ფაშას უარი ეთქვა დახმარებაზე რუსეთის მხრიდან.

არზრუმიდან შერიფ ფაშას დასასჯელად დაიძრა საბუდ ფაშა, მაგრამ კვლავ დამარცხდა და თავი იმერეთს შეაფარა. შერიფ ფაშამ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან, სთხოვა დახმარებოდა საბუდ ფაშას დაპატიმრებაში და საამისოდ დიდ თანხას ჰპირდებოდა.

1802 წლის თებერვალში საბუდ ფაშას სარდალი სელიმ აღა ყიფიანი, რომელიც იმერეთში არ შეუშვეს, გენერალ ლაზარევთან მივიდა დახმარების სათხოვნელად. მისი მიზანი იყო იმერეთში დატყვევებული საბუდ ფაშას განთავისუფლება. სელიმ-აღა ყიფიანი გენ. ლაზარევს მოახსენებდა, რომ შერიფ ფაშას კავშირი აქვს იმერეთის მეფე სოლომონთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან და ყოველნაირად ცდილობს საბუდ ფაშას მოკვლას. ამ მიზნით მან ამ დღეებში იმერეთის მეფესთან გაგზავნა 5 ქისა ფული და სთხოვა, რომ საბუდ ფაშა მოეკლათ. მარტო მეფეს ამ საქმისთვის ჰპირდებოდა 60 ქისა ფულს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილს - 40 ქისას. სელიმ ყიფიანი გენ. ლაზარევს სთხოვდა, რომ საბუდ ფაშა მიეჩნია მათ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ კაცად, ეთხოვა იმერეთის მეფისთვის მისი გაშვება. საბუდ ფაშა იმერეთიდან თბილისის გავლით ჩავიდოდა ყარსში, იქიდან კონსტანტინეპოლში და პორტას მოახსენებდა შერიფ ფაშას მოქმედებაზე (აქტები, 1902:700). ჩანს, რომ სელიმ ყიფიანის თხოვნამ გაჭრა, ვინაიდან 1802 წლის 1 მარტის მოხსენებით გენ. კნორინგი საიმპერატორო კარს სწერდა, რომ შერიფ ფაშა „...владееть в Ахалцихе почти самовластно и скопляя силы, свой изь Лезгинь“ (აქტები, 1902:700). ლეკთა დახმარებით არბევს ქართლის სოფლებს და სთხოვდა, რომ შერიფ ფაშას ეს ქმედებანი შეეტყობინებინა კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის რეზიდენტ ტამარასათვის, რომელიც, თავის მხრივ, სულთანს გადასცემდა. ამის შემდეგ თურქებმა დაიწყეს ჯარების თავმოყრა არზრუმში, რაც, ჩვენი აზრით, შერიფ ფაშას დასჯით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამის გამო შერიფ ფაშამ დახმარება სთხოვა ომარ-ხანს და დიდძალი საჩუქრები გაუგზავნა (აქტები, 1902:700) (როგორც ჩანს, შერიფ ფაშამ არ იცოდა, რომ ომარ-ხანი ცოცხალი აღარ იყო. იგი გარდაიცვალა 1801 წ.). ამ დროისთვის კვარას ციხეში მყოფ საბუდ ფაშას თავი მოკვეთეს და ახალციხეში მყოფ შერიფ-ფაშას გაუგზავნეს. საინტერესოა, თუ როდის უნდა მომხდარი საბუდ ფაშას დასჯა? პ. ბუტკოვის ცნობა იმის შესახებ, რომ „1802 წლის მარტში საბუდ ფაშა ჩასვეს კვარას

ციხე'ში და "შემდეგ თავი მოკვეთესო" (ბუტკოვი, 1869:522) გამორიცხ'ულია, ვინაიდან თებერვალ'ში საბუდ ფაშა უკვე კვარას ციხე'შია გამოკეტილი (აქტები, 1902:700). იოანე ხუცესის ქრონიკაში კი ვკითხ'ულობთ: „1802 წ. 5 იანვარს საბუდ ფაშის თავის მიტანა ითქვა" (ლომსაძე, 1979:192). ამ თარიღს ამაგრებს კიდევ 1802 წ. 11 მარტს ლაზარევის მიერ გენ. კნორინგისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ სოლომონის ბრძანებით საბუდს თავი მოჰკვეთეს 1802 წ. 6 იანვარს (აქტები, 1902:363). შ. ლომსაძე მხარს უჭერს ამ ბოლო თარიღს (ლომსაძე, 1979:231). გარდა ზემოხსენებული მოსაზრებებისა, არსებობს სხვა წყაროები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ არ გავიზიაროთ პროფ. შ. ლომსაძის ეს მოსაზრება. კერძოდ, არაფერი არ არის თქმული 1802 წლის 10 იანვრის გენ. ლაზარევის წერილზე კნორინგისადმი, სადაც ნათქვამია, რომ „ახალციხის ფაშამ (იგულისხმება შერიფ ფაშა – რ. გ.) ალექსანდრე ბატონიშვილს 10 ქისა ფული გაუგზავნა, რომ იგი დაეხმაროს საბუდ-ფაშას დაჭერაში (აქტები, 1902:699). დავუშვათ, რომ 10 იანვარს ლაზარევმა არაფერი იცოდა 5-6 იანვარს მომხდარი ფაქტის შესახებ. მაშინ არსებობს კიდევ მეორე მისივე წერილი კნორინგისადმი, რომელიც 1802 წლის 14 თებერვლით არის დათარიღებული. წერილიდან ჩანს, რომ ლაზარევთან მისული სელიმ ყიფიანი დახმარებას ითხოვს კვარას ციხე'ში გამოკეტილი საბუდ ფაშას განთავისუფლებაში (აქტები, 1902:700). ე. ი. 14 თებერვალს საბუდ ფაშა ცოცხალია. 1802 წ. 7 მარტის წერილში იმერეთის საზღვართან მდგარი სიმონოვიჩი გენ. ლაზარევს მოახსენებდა, რომ საბუდ ფაშას იმერეთში თავი მოჰკვეთეს და შერიფ ფაშას გაუგზავნეს ახალციხეში (აქტები, 1902:700). აქ უკვე ყველაფერი ნათელია. გამოდის, რომ 14 თებერვალს საბუდ ფაშა ცოცხალია, ხოლო 7 მარტს უკვე მკვდარი. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სიკვდილით დასაჯეს არა უადრეს 14 თებერვლისა და არა უგვიანეს 7 მარტისა.

არც ნიკო დადიანის ცნობა უნდა იყოს სარწმუნო, თითქოს შერიფ ფაშამ არ მისცა ფული მეფეს. „შემდგომად რაოდენისამე

ხანისა წარგზავნეს მეფის ვაზირთ კაცი და სთხოვეს შერიფ ფაშასა დანაპირები თეთრი მეფისადმი და მათდაცა. გარნა მან არცა ერთი ფული წარმოგზავნა და მოაცთუნა შერიფ ფაშამ მეფე და ვაზირნი მისნი და დაშთენ განბასრებულნი შერიფ ფაშასაგან“ (დადიანი, 1963:192).

გენ. კნორინგის 1802 წლის 26 მარტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ საბუდ ფაშას მოკვლის გამო იმერეთის მეფემ მიიღო 10 ქისა ფული, დედოფალმა კი „образь осыпанный драгоценный камнями”, ალექსანდრე ბატონიშვილმა კი 5 ქისა. მეფის ახლობელმა ორმა მსახურმა – 4 ქისა. გარდა ამისა, სოლომონმა შერიფ ფაშას მოსთხოვა მოლაპარაკების თანახმად 80 ქისა. აქედან ჩანს, რომ ნიკო დადიანის ცნობა „...გარნა მან არცა ერთი ფული წარმოგზავნა...“ არაზუსტია. როგორც ზემოთ დავინახეთ, შერიფ ფაშამ ნაწილი თანხა მაინც გაიღო. სხვანაირად მას არც კი შეეძლო, ვინაიდან მის წინააღმდეგ სულთანი ძალებს იკრებდა და მას მომავალში აუცილებლად ესაჭიროებოდა დახმარება და უკიდურეს შემთხვევაში კი თავშესაფარი. ამ როლის შესრულება სოლომონ II-ს შეეძლო. ქართლში შერიფ ფაშას კი დასაყრდენი არ ჰქონდა.

ამრიგად, XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ახალციხეში მიმდინარე საგვარეულო ომი ნათლად მოწმობს იმას, რომ თურქეთი ამ დროს დიდ კრიზისს განიცდიდა. სულთანი ვერ ახერხებდა განდგომილი ფაშების დასჯას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში თურქეთის სულთანი იძულებული იყო ფაშებს შორის მიმდინარე ბრძოლებში გამარჯვებული ეცნო ფაშად და ფირმანიც მისთვის გამოეგზავნა. ამას უნდა დაერთოს ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ომი საფრანგეთ-თურქეთს შორის (1798-1802 წწ.) და ბრწყინვალე პორტას ნაკლებად ეცალა ამბოხებული ფაშების დასასჯელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აქტები, 1902 - Акты. КАК. 4. 1902.
ბუტკოვი. 1869 - Бутков П., Материалы; I, 1869.
ლომსაძე, 1979 - ლომსაძე შ., ახალციხური ქრონიკები, 1979.
დადიანი, 1963 - დადიანი ნიკო, ქართველთა ცხოვრება, 1963.

ROMAN GOGOLAURI

INNER FAMILY WARS IN AKHALTSIKHE AT THE END OF THE XVII C. AND AT THE BEGINNING OF THE XIX C.

Summary

Suleiman Pasha Jakeli (1770-1791) died in 1791. The battle for the throne of Sapasho went on more than two decades.. Isak-Pasha, Usup-Pasha, Sabud-Pasha, Selim-Pasha, and others fought for the throne.

In 1797 cousins: Sherip-Pasha and Sabud-Pasha Jakeli joined the battle for the throne. The battle was won by Sherip-Pasha Jakeli with the help of Solomon, the king of Imereti and Alexandre Batonishvili

The family war in Akhaltsikhe confirmed the fact that Turkey was under a great crisis. The Sultan couldn't punish pashas who were broken down. Even more, Turkish Sultan was forced to acknowledge the winner to be a pasha and send a letter to him.

ჰერმენევტიკული „გაგების" ცნების შესახებ

ჰერმენევტიკა, როგორც ინტერპრეტაციის, გაგება-გაგებინების, ახსნა-განმარტების, თარჯიმნობისა და თარგმნის ხელოვნება, თავისი კვლევის ობიექტად იმ კატეგორიებს გამოყოფს, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ „სამყაროსეულ სურათს", ენასა და აზროვნებას შორის.

ჰერმენევტიკა სათავეს ანტიკურ ხანაში იღებს, მაგრამ მისი, როგორც ზოგადი ინტერპრეტაციის ხელოვნების განყოთარება მე-19 საუკუნეს, ანუ იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც თვალსაჩინო ხდება კლასიკური ფილოლოგიის წვლილი ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის საქმეში. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან ე. წ. „კლასიკური" და „თანამედროვე" ჰერმენევტიკის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: შლაიერმახერი, დილთაი, ჰაიდეგერი, მიში, ბოლნო, აპელი, რიკორი და გადამერი.

აღსანიშნავია, რომ ძველი „მეთოდური" ჰერმენევტიკისგან მკვეთრი შემობრუნების პროცესი მე-20 საუკუნეში დაკავშირებულია ჰანს გადამერის სახელთან, რომლის ახლებურად აზროვნების ინსპირირებაც მისი მასწავლებლის, მარტინ ჰაიდეგერის მსოფლმხედველობამ გამოიწვია. ჰაიდეგერი თავის ნაშრომში „ყოფიერება და დრო" („Sein und Zeit") ჰერმენევტიკას განიხილავს უკვე როგორც არა მეთოდს, არამედ როგორც ადამიანის სამყაროსეული გამოცდილების მომცველ ფილოსოფიას. მისი „ეგზისტენციალის" ცნება ადამიანის არსის გამომხატველ ძირითად კატეგორიად მოიაზრება, რაც, შესაბამისად, „გაგების" კატეგორიასთან არის დაკავშირებული (ლესინგი, 1999:10).

თანამედროვე ჰერმენევტიკის მამამთავარი ჰანს გეორგ გადამერი თავის 1960 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ჭეშმარიტება და მეთოდი" („Wahrheit und Methode") აყალიბებს თვალსაზრისს „გაგება-გაგებინების" ცნებების, მათი რეალიზაციის პირობების, შესაძლებლობებისა და საზღვრების შესახებ. ამ-

იერიდან „გაგების" კატეგორია ხდება სემიოტიკის ნებისმიერი სფეროს: ლიტერატურის,ისტორიის,იურისპრუდენციის,მუსიკის, მხატვრობისა და და. ა.შ. ანალიზის ძირითადი ცნება. ჰაიდეგერისთვის „გაგება" წარმოადგენს „არა შემეცნებიდან ამოზრდილ ცოდნას, არამედ დასაბამიერად ეგზისტენციალური ყოფიერების სახეობას, რომელიც შესაძლებელს ხდის შემეცნებასა და ცოდნას (ლესინგი, 1999:18). ამ მოსაზრების თანახმად, „გაგება" ხდება „ფუნდამენტური ეგზისტენციალი", ანუ მუნყოფიერების ძირითადი მოდუსი.

ამასთან იგი გვიჩვენებს, რომ ინტერპრეტაცია და „გაგება" მოიცავს „წინასწარ ჩანაფიქრს" („Vorhabe"), წინდახედულობას („Vorsicht") და „წინასწარი გადაწყვეტილების მიღებას" („Vorgriff") (ლესინგი, 1999:18). ჰაიდეგერმა მოგვცა სრულიად სწორი ფენომენოლოგიური აღწერა, როდესაც სავარაუდო „კითხვის" პროცესში „გაგების" წინარე სტრუქტურა აღმოაჩინა. იგი აღნიშნავს, რომ მეთოდური ცნობიერებით მართული „გაგება" უნდა ცდილობდეს თავისი ანტიციპაცია უბრალოდ კი არ განახორციელოს, არამედ იგი საკუთარ თავში გააცნობიეროს, რათა მისი კონტროლი მოახერხოს და ამის საშუალებით, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, სწორ გაგებას მიაღწიოს (გადამერი, 1990:274) მ. ჰაიდეგერის „ჰერმენევტიკული წრის" თანახმად, მხოლოდ მთლიანი ტექსტიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გაგება და მხოლოდ ცალკეული ნაწილების საშუალებით ხდება მთლიანი ტექსტის შემეცნება. მთელისა და ნაწილის ჰერმენევტიკულ წრეს, სრულყოფილად განხორციელებული გაგების დროს, ამ ნაწილების დაქსაქსვისკენ კი არ მივყავართ, არამედ, პირიქით, მისი გათვალისწინებით ხდება საკუთრივ საზრისის სრულყოფა (გადამერი, 1990:298).

ამრიგად, „ჰერმენევტიკული წრე" ფორმალური ხასიათის არ არის. იგი არც სუბიექტურია და არც ობიექტური, არამედ აღწერს „გაგებას", როგორც ტრადიციისა და ინტერპრეტატორის ქმედების ურთიერთთამაშს.

„ჰერმენევტიკული წრის" საზრისი საფუძვლად უდევს ყოველგვარ „გაგებას", რომელსაც ჰ. გ. გადამერი „სრულყოფილების შესახებ წინასწარ პირობას" უწოდებს (გადამერი, 1990: 299). იგი გვეუბნება, რომ მხოლოდ ის შეიძლება გახდეს გასაგები, რაც საზრისის ნამდვილ, სრულყოფილ მთლიანობას წარმოადგენს. ისე, რომ ჩვენ ყოველთვის ვეშვებით სრულყოფილების შესახებ ამგვარ წინასწარ პირობას, როდესაც ვკითხულობთ ტექსტს, და, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პირობა არასაკმარისი აღმოჩნდება და ტექსტის გაგება არ ხერხდება, ეჭვი შეგვაქვს „გაგების" სისწორეში და ვცდილობთ გამოვიცნოთ, რითი შეიძლება ეშველოს ამ საქმეს.

ტექსტის საზრისი ყოველთვის აღემატება ავტორის მიერ ჩაფიქრებულ საზრისს; აქედან გამომდინარე, ტექსტის გაგება წარმოადგენს არა მხოლოდ რეპროდუქტიულ, არამედ ასევე პროდუქტიულ ქმედებასაც.

„გაგებასთან" დაკავშირებით, გადამერი მსჯელობს „ჰორიზონტის" ცნებაზეც, როგორც იმ ადგილზე, რომელიც ზღუდავს „გაგების" შესაძლებლობებს. „ჰორიზონტი" ანუ „თვალსაწიერი" ის ფენომენია, რომელიც ყველაფერს მოიცავს, რაც კი შეიძლება დაინახოს კაცმა ერთი წერტილიდან. მოაზროვნე ცნობიერებიდან გამომდინარე, ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე „ვიწრო ჰორიზონტზე", „ჰორიზონტის შესაძლებელ გაფართოებაზე", „ახალი ჰორიზონტების ათვისებაზე" და ა.შ. ჰორიზონტის არმქონე ადამიანი შორს ვერ იყურება და ამის გამო მის ახლოს არსებულ საგნებსა და მოვლენებს გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს. „ჰორიზონტის ქონა", პირიქით, ნიშნავს, არ იზღუდებოდე ახლოს არსებული საგნებითა და მოვლენებით და მათი საზღვრების მიღმა გასვლა შეგეძლოს. „ჰორიზონტის" მქონე ადამიანს შეუძლია ყველა საგნისა და მოვლენის, როგორც ამ ჰორიზონტის მიღმა, ასევე მის შიგნით, სწორად შეფასება, მათი სიახლოვის, სიდიდისა და სიმცირის შესაბამისად (გადამერი, 1990:307:308).

„გაგების" თეორიის კულმინაციას წარმოადგენს დივინაციის აქტი, როდესაც ინტერპრეტატორი მთლიანად გადაერთვება

ავტორის ტექსტზე და ცდილობს ამოიცნოს ყველაფერი გაუგებარი, რაც კი რამ არის ტექსტში (გადამერი, 1991:78).

ჰერმენევტიკის ცნობილი წარმომადგენელი პოლ რიკიორი, ტექსტის პარადიგმის კვლევისას გვთავაზობს „დისკურსის კონცეპტს", რომელიც მას, ენის სისტემის საპირისპიროდ, ესმის როგორც ენობრივი ქმედება ანუ ენის რეალიზაციის საშუალება. აღნიშნული კონცეპტის შემოტანით, რიკიორი ცდილობს ამ ცნების გამომიჯვნას სხვა დეფინიციებისგან, რომელთა ხმარებაც „ენისა" და „მეტყველების" ტერმინოლოგიურმა აღრევამ გამოიწვია. პ. რიკიორს დისკურსის ცნება ჰერმენევტიკაში ორი სახით შემოაქვს. ეს არის ზეპირი და წერილობითი დისკურსი. მისი აზრით, „ჰერმენევტიკული" ანალიზი იმ წესების დაცვას გულისხმობს, რომლებიც აუცილებელია სხვადასხვა კულტურის წერილობითი დისკურსების, ანუ ტექსტების ინტერპრეტაციისათვის და რომლებზედაც ვრცელდება „ჰერმენევტიკული გაგების" კატეგორია (რიკიორი, 1999: 260). ამ დროს მოქმედებაში მოდის „ჰერმევტიკული წრე", რადგან ტექსტის ვერბალური ინტენცია მოიცავს მთლიან პროცესს და არა მისი ცალკეული წინადადებების ჯამს. წერილობითი ტექსტებისათვის დამახასიათებელი „მრავალფეროვნება" ძირეულად განსხვავდება ზეპირი დისკურსის შეზღუდული საზრისისაგან, რადგან წერილობითი დისკურსი ღიაა ყოველგვარი საზრისის ინტერპრეტაციისათვის.

პ. რიკიორი ტექსტის „გაგების" პროცესს განიხილავს როგორც შუალედურ საფეხურს ხედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურების ინტერპრეტაციას შორის. წერილობითი დისკურსის სიღრმისეული სემანტიკა მის არაოსტენტატიურ მიმართებებში ვლინდება, რაც ახალი „შესაძლებელი სამყაროების" არსებობაზე მიუთითებს. ეს არის ტექსტის „სამყაროს" ახლებური ხედვის პერსპექტივა, რომელიც ამ „შესაძლებელ სამყაროში" ორიენტირების, მისი ათვისების და ჩვენი ცნობიერების გაფართოების საშუალებას გვაძლევს. რიკიორის აზრით, წერილობითი დისკურსის გაშიფვრის, გაგებისა და ათვისების ამგვარი ერთიერთკავშირი ტექსტის ჰერმენევტიკუ-

ლი ანალიზის ფუძემდებლურ წინაპირობას წარმოადგენს (რიკიორი, 1999:290).

სწორედ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის და მისი განსხვავებული „გაგების" პერსპექტივა აქვს მხედველობაში ჰ. ჰესეს, როდესაც იგი „ტრამალის მგლის" ერთ-ერთი გამოცემის ბოლოთქმაში წერს: „ჩემი ხნის მკითხველთა შორისაც არაერთგზის გამომჩენია ისეთებიც, ვისზედაც ამ წიგნს შთაბეჭდილება კი მოუხდენია, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მის საზრისს მიახლოებით თუ ჩასწვდომია. რატომღაც მგონია, ეს მკითხველები ტრამალის მგელში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ხედავენ და მას საკუთარ „მე"-სთან აიგივებენ; მის სატკივარს კი განიცდიან და აზრებსაც იზიარებენ, მაგრამ სავსებით ავიწყდებათ, რომ ამ წიგნს ჰარი ჰალერის სიძნელეებთან ერთად, სხვა საზრუნავიც გააჩნია და სათქმელი სხვაც ბევრი აქვს"... (ჰესე, 1985:347).

ტექსტის „გაგების" სიღრმისეული, სემანტიკური მეთოდი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მის მიმართებას მკითხველთან, რომელსაც თითქოსდა გზა ეხსნება ტექსტის საზრისის დეფორმაციისაკენ, მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციის აღნიშნული მოდელი ცხადყოფს, რომ „გაგებას" არაფერი აქვს საერთო უცხო გაისტური შინაარსის ემოციონალურ იდენტიფიკაციასთან. „გაგება" მთლიანად დაკავშირებულია ექსპლანატორულ (Auslegung) მეთოდთან, რომელიც წინ უძღვის, შემდეგ კი მუდამ თან ახლავს ტექსტის ინტერპრეტაციას, რაც თავისთავად გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის გადამეტებას. ამრიგად, ექსპლანატორული მეთოდი ხელს უწყობს ტექსტის პარადიგმატული ხასიათის დამკვიდრებას უკანასკნელ იმპლიკაციამდე (რიკიორი, 1999:293).

ჩვენის აზრით, ტექსტების ჰერმენევტიკული ანალიზის პროცესში ვერ იქნება მხედველობაში მიღებული ტექსტის სახეობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა მათი იდეალური მარკერების გამოვლინება, ანუ მათთვის ცალკეული მოდელის შექმნა, რაც მიზანშეწონილი იქნებოდა იმ თვალ-

საზრისით, რომ წინააღმდეგობის გარეშე მოხდებოდა „გაგების" კატეგორიის რეალიზაცია ნებისმიერი ტექსტის საზრისში.

„გაგების" ცნება განსაკუთრებულ აქტუალობას თარგმნის პროცესში იძენს, როდესაც მას შუამავლის როლის შესრულება უხდება ორი ენის სემიოტიკური სისტემის „სამყაროსეული სურათის" და აზროვნებითი კატეგორიების გადმოცემის დროს.

თარგმნის პროცესის მთელ პრობლემურობას გამოხატავს იტალიური სიტყვათთამაში: „tradutore-traditore" ანუ „მთარგმნელი მატყუარა", რაც საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს ჰერმენევტიკული „გაგების" ცნების რეალიზაციის მიზანშეწონილობას. „გაგების" კატეგორიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავს ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი ორტეგა-ი-გასეტი, რომელსაც იგი უარყოფითად აფასებს მთარგმნელობით საქმიანობას, მაგრამ მეორეს მხრივ აცხადებს: „...თარგმანზე მუშაობის შეუძლებლად გამოცხადება არ ნიშნავს მისი შესაძლებელი ბრწყინვალების უარყოფას. პირიქით, ამგვარი შეფასება მას საგანგებო კეთილშობილებას სძენს და გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ თარგმანს აზრი აქვს" (ორტეგა-ი-გასეტი, 1991:525). ყოველი ენა საგანგებო განტოლებაა აღმოჩენასა და სიჩუმეს შორის, რადგან ყველაფრის თქმა შეუძლებელია; აქედან თარგმანის უდიდესი სიძნელე: აქ ლაპარაკია იმაზე, რომ განსაზღვრულ ენაზე ითქვას ის, რის დაფარვასაც ენა ცდილობს. ამასთან ერთად, ჩვენ ნელ-ნელა ვაცნობიერებთ, რომ თარგმანი შესანიშნავად ახერხებს სხვა ხალხებისა და ეპოქების საიდუმლოებების გახსნას, რომლებსაც ისინი უმალავენ ერთმანეთს. მოკლედ, იგი მამაცურად აერთიანებს კაცობრიობას იმიტომ, რომ, როგორც გოეთე ამბობდა: „მხოლოდ ადამიანთა საყოველთაო ერთობაში ვლინდება კაცობრიობის არსებობის სრულყოფილება" (ორტეგა-ი-გასეტი, 1991:531). როდესაც ორტეგა-ი-გასეტი ამ ორ პოლარულად ურთიერთგამომრიცხავ აზრს გამოთქვამდა, მას მხედველობაში აშკარად ჰქონდა ჰერმენევტიკული „გაგების" ცნების ორმაგი ბუნება, რადგან ტექსტის გაგება და მისი თარგმნა შესაძლებელია უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების

საშუალებით, რაც განაპირობებს სხვადასხვა ენის „სამყაროსეული სურათების" გაგებას და სემიოტიკური კოდების მოდიფიკაციას, რის შედეგადაც ყოველი ეპოქისა თუ მთარგმნელისათვის იქმნება „გაგების" ახალ-ახალი მოდელები. მეორეს მხრივ, თარგმნა მართლაც შეუძლებელი ხდება, როდესაც საქმე ეხება ენის იმანენტური კატეგორიებისა და კანონების შეცვლას. საერთო ჯამში კი, სახელდობრ, ენა ატარებს თავის თავში „გაგების" ცნებას და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მსოფლორიენტაციის ერთობას.

სწორედ ენის შინაგანი კანონების, მის მიერ დანახული „სამყაროს სურათით" არის განპირობებული ის ფაქტი, რომ უთარგმნელია მაგ. ისეთი გერმანული გამონათქვამები, როგორიცაა: **„Eifersucht ist eine Leidenschaft, die mit Eifer sucht, was Leiden schafft"** ან **„Ein Mann - ein Wort, eine Frau ein Wörterbuch"**. სრულიად შეუძლებელია ისეთი სიტყვათწარმოებითი კომპოზიტის თარგმნა, როგორიცაა მაგ. **der-ihr dürft-alle-meiner-Meinung-sein-Chef"**

სამაგიეროდ, უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების ურთიერთდამთხვევის დროს, ყოველთვის შესაძლებელია ნებისმიერი სირთულის ტექსტის „გაგება", ინტერპრეტაცია და თარგმნა „ჰერმენევტიკული წრის" პრინციპით,როდესაც „გაგება" მუდმივ მოძრაობას განიცდის მთელიდან ნაწილზე და ნაწილიდან მთელზე. და, რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს ტექსტის სემანტიკური სიღრმისეული სტრუქტურა, მთლიანისა და ცალკეულის ურთიერთთანხმობა ყოველთვის იძლევა სიგნალს, რომ გაგება შედგა (გადამერი, 270-273).

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რთული ტექსტების თარგმნისას ერთი ენის სემიოტიკური კოდიდან მეორე ენის სემიოტიკურ კოდზე გადასვლა, რომელსაც გერმანელები „Es-elsbrücke"-ს („ვირის ხიდი") უწოდებენ, მართლაც იწვევს ბეწვის ხიდზე მოსიარულის ასოციაციას.

ამის მაგალითად მინდა მოვიყვანო ჰ. ჰესეს ერთწინადადებიანი ტექსტის „წინადადება კადენციაზე", რომელიც ვთარგმნე იმის ხარჯზე, რომ ენის იმანენტურმა კატეგორიებმა ამჯერად არ შემიქმნა წინააღმდეგობა, მისი ქარგის უნივერსალური

ლოგიკური კატეგორიები ქართული ენის „ჰერმენევტიკული წრეში" მომექცია. ქარგა კი ასეთია: სოლო საკრავი ცდილობს თავი დააღწიოს ორკესტრის მრავალხმიანობას, რადგან მას ამ რთულ სამყაროში ყოფნა მოსწყინდა.

ჰერმან ჰესე

მუსიკალური ჩანაწერები
წინადადება კადენციაზე

თუ ორკესტრსა და სოლო საკრავს შორის გამართული მუსიკალური დიალოგის, პაექრობისა და სამიჯნურო ვნებათა ღელვის დროს, რასაც მუსიკის პროფესიულ ენაზე, აი უკვე ორნახევარი საუკუნეა, ჩვეულებრივ „კონცერტს" უწოდებენ, ისე მოხდა, რომ ამ სოლო საკრავმა სულისმოსათქმელად თავი დააღწია მძლეთა-მძლე თანამოუბართან კამათს, უარი თქვა მორბედის უბადრუკ როლზე, რომლის შესრულებითაც ოდნავ თუ უწყობდა ხელს მუსიკალური თემის განვითარებას, მის მონაცვლეობასა და გაგრძელებას, მერე კი, თუ ეს სოლო საკრავი გამოერიდა ფუნქციების, პრეტენზიების, მიზნების, ვალდებულებებისა და ცდუნებების უაღრესად რთულ სამყაროში მიმხდარ შეხლა-შემოხლას, მრავალფეროვან, მაგრამ ერთთავად შებოჭილ, უამრავ პარტნიორთან იძულებით დაკავშირებულ ყოფას, და, საკუთარ უკიდეგანო, ინდივიდუალურ სამყაროს დაუბრუნდა, ასე გგონია, მხოლოდ მის კუთვნილ სამეფოში, უცოდველობასა და თავისუფლების წიაღში თუ საკუთრივ მისთვის განჩინებულ კანონთა სამფლობელოში დაბრუნებამ, მას სრულიად ახალი ბიძგი მისცა, ახალი სული შთაბერა, და, იმ აღმაფრენამ, რომელსაც ბოჭავდა და ზღუდავდა პარტნიორის წინაშე ანგარიშგება, ახლა თავად ისიც და მისი შესაძლებლობებიც თითქოს დამაირობელი სიხარულით აღავსო, ასე გგონია, ეს ყველაფერი კვლავ მოპოვებული თავისუფლებით დასატკბობად მხოლოდ და მხოლოდ მის კუთვნილ

სამყაროში უხმობს და ამხნევებსო, ისე, რომ აღტაცებულ საკრავს, ტყვეობიდან თავდახსნილი ფრინველის მსგავსად, ტრელთა გრძელ ნაკადში კვლავ უბრუნდება საკუთარი ძალებისადმი რწმენა, რათა შემდგომ ამისა, აღტყინებულმა და ფრთაგაშლილმა, ხან მონანავე, ხანაც საზეიმოდ ზეატყორცნილ თუ თავაშვებით მოვარდილ პასაჟებში, ვირტუოზული ექსტაზის წყალობით, დიახაც, რომ შეიგრძნოს რაღაც ხელთუქმნელი და სწორუპოვარი (ჰესე, 1981:363).

თარგმნის პროცესში აშკარა ხდება, რომ „გაგების" კატეგორია იშვიათად არის ხოლმე დაკავშირებული ტექსტის რთულ საზრისთან. ამ უკანასკნელის გაგება გართულებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გადმოცემა ხდება ძნელად გასაგები სემიოტიკური კოდებითა და კატეგორიალური აზროვნების კანონების დარღვევით.

ამრიგად, „გაგების" კატეგორია უნდა ეფუძნებოდეს არა მკითხველის/მთარგმნელის მიერ წაკითხული/სათარგმნი ტექსტის გუმანით ამოცნობას, რასაც არავითარი კავშირი აღარ აქვს ავტორის ინტენციასთან, არამედ „გაგების" კატეგორიის რეალიზაცია უნდა ხდებოდეს იმ „ჰერმენევტიკული წრის" საზღვრებში, რომლის საზრისიც იმპლიცირებულია ტექსტში განფენილ „სამყაროსეულ სურათში".

გამოყენებული ლიტერატურა:

გადამერი, 1990 – H.-G. Gadamer, Wahrheit und Methode, Tübingen, 1990.

გადამერი, 1991 – Г.-Г. Гадамер, Актуальность прекрасного, Москва, 1991.

ლესინგი, 1999 - H.-U. Lessing, Einleitung in: "Philosopische Hermeneutik", zusammengestellt von Hans-Ulrich Lessing. Bd. 7, Breisgau, München, 1999.

ორტეგა-ი-გასეტი, 1991 - Х. Ортега-и-Гассет, Дегуманизация искусства, Москва, 1991.

რიკიორი, 1991 - P. Ricoeur, Philosophische Hermeneutik, in "Philoso-

phische Hermeneutik", zusammengestellt von Hans-Ulrich Lessing, Bd. 7. Breisgau. München. 1999.

ჰესე, 1985 - ჰერმან ჰესე, „დამსჯელი", "ტრამალის მგელი", ავტორის ბიოგრაფია (თარგმანი ნანა გოგოლაშვილისა), თბილისი, "მერანი", 1985.

NANA GOGOLASHVILI

ABOUT THE CONCEPT OF HERMENEUTIC „COMPREHENSION"

Summary

Hermeneutic as an art of interpretation, comprehension, explanation and translation highlights those categories of research which play the role of a mediator between "world picture", language and thought.

Modern hermeneutic sets up a point of view about comprehension conception , the condition of their realization, about abilities and borders. According to the "hermeneutic circle" to understand separate parts of the text is possible only from the whole text and only with the help of separate parts is possible to comprehend the text. Such point of view is the base of every comprehension.

P.Ricoeur uses a "discourse concept "in the hermeneutic in the face of language activity or language realization. It is a written and an oral discourse. According to the concept a "hermeneutical" analysis means to defend the rules which are necessary for the written discourse or text interpretation of different cultures and for a "hermeneutic comprehension"

The above mentioned method supports establishing text paradigmatic character to the last implicitly. A "comprehension" concept is very actual in the process of translation when it has to play a role of a mediator to express a semiotic system of "world picture" and thought categories of two languages.

სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები

სოფელი სარო ზღვის დონიდან 1148 მეტრ სიმაღლეზე ისტორიული ჯავახეთის პლატოს ქვედა ტერასაზე, მტკვრის მარჯვენა მაღალ სანაპიროზე მდებარეობს. სოფელი დღეისათვის ადმინისტრაციულად ასპინძის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება. იგი რაიონული ცენტრიდან 17 კილომეტრითაა დაშორებული. მას დასავლეთიდან მტკვრის ხეობა, ჩრდილოეთით (2-3 კმ-ის დაშორებით) სოფელი ხიზაბავრა, აღმოსავლეთით (5-6 კილომეტრში) სოფლები თოკი და ვარგავი, ხოლო სამხრეთით (3-4 კილომეტრში) სოფელი ხერთვისი ესაზღვრება.

ჯავახეთში, ისევე, როგორც მთელ სამხრეთ ამიერკავკასიაში, მაშინდელი დასახლების (ძვ.წ.აღ.-ით II ათასწლეულის მაინც, თუ უფრო ადრე არა) გავრცელებული ტიპი უნდა ყოფილიყო გამაგრებული სამოსახლოები. მისი „დედაქალაქი“ იყო ერთგვარი ცენტრი, რომლის გარშემო ჯგუფდებოდა სუსტად გამაგრებული დასახლებანი. დ. ბერძენიშვილი აბულისა და შაორის უძველეს დასახლებასთან ერთად საროს სამოსახლოსაც ამგვარ გამაგრებულ პუნქტად მიიჩნევს (ბერძენიშვილი, 2000:198).

თავის დროზე აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „სოფელი სარო მეტად საინტერესო ადგილია ისტორიულ-არქეოლოგიურად“ (ბერძენიშვილი, 1964: 198). მკვლევარის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების სისწორის ნათელი დასტურია აქ შემორჩენილი არაერთი ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლი.

მის მიმდებარე ტერიტორიაზე უძველეს ისტორიულ ძეგლთა ნანგრევები და არქეოლოგიური მასალა თვალნათლივს ხდის იმ ფაქტს, რომ სოფელი და მისი შემოგარენი ადრეული ხანიდანვე აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული იმ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა

სამცხე-ჯავახეთში ჯერ კიდევ ძ.წ.აღ.-ით II ათასწლეულის შუა ხანებიდან მოყოლებული ელინისტური და ფეოდალური პერიოდის ჩათვლით.

I. ციხე-სიმაგრეები. ადრეული ხანიდანვე სოფელი სარო და მისი შემოგარენი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრს რომ წარმოადგენდა, სხვა მონაცემებთან ერთად, ამაზე მეტყველებს მის ტერიტორიაზე შემორჩენილი თავისი განლაგებით მეტად ორიგინალურ ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპლექსში შემავალი თითოეული ციხე-სიმაგრე რთულ, დამოუკიდებელ, გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა.

მკვლევართა ნაწილი საროს ციხეებს ერთ სიმაგრედ მიიჩნევს. მათი აზრით, „საროს ციხე სამი ნაწილისგან შედგება: „ქვეუბნის ციხე," რომელიც სოფლის ბოლოს დასავლეთითაა (ქვეუბანი), „ზედა ციხე", ანუ „საყდრის ციხე," რომელიც მთავარანგელოზის ეკლესიის სიახლოვესაა და „ახალი ციხე", ანუ „კოშკი საყდრის ციხის ჩრდილო დასავლეთით" (დამბაშიძე, 2000:139). თავისი განლაგებითა და კონსტრუქციით თითოეული ეს ციხე-სიმაგრე დამოუკიდებელ კომპლექსად შეიძლება ჩაითვალოს.

1) ქვეუბნის ციხე. ეს ნაგებობა მეგალითური ანსამბლია და დღევანდელი დასახლებული პუნქტიდან დაახლ. 800-1000 მეტრის დაშორებით დასავლეთ მხარეს მდებარეობს. ციხეს აღმოსავლეთით ესაზღვრება ბაღები, სამხრეთით – სახნავ-სათესი „ბერბუკების" სახელწოდებით, ჩრდილო დასავლეთით კი ფრიალო კლდეები. შეიძლება ითქვას, რომ ციხე ფრიალო კლდეზეა (ქარაფზე) აგებული. ნაგებობას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. კედლის წყობაში გამოყენებულია შერჩეული და დამუშავებული დიდი ზომის (დაახ. 1,0-1,5 მ სიგრძისა და 0.8-1,0 მ სიმაღლის) ბაზალტის ოლიღი ქვები. კედლის შუა ნაწილი, ქვებს შორის, ქვების წვრილი ნატეხებით, ე.წ. „ხურდითაა" შევსებული. კედლები მშრალი წყობითაა ნაგები (რაც მეგალითური კულტურისთვისაა დამახასიათებელი). განსაკუთრებით საყურადღებოა შესასვლელი კარის კონსტრუ-

ქვიები, სადაც გამოყენებულია დამუშავებული უზარმაზარი ქვის ლოდები.

როგორც ჩანს, ციხის გალავნის კედლები კლდის მასივზე საძირკვლის გარეშეა აგებული, ეს კი მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ კედლები მაინცდამაინც მაღალი სიმაღლისა არ უნდა ყოფილიყო. დღეისათვის მისი სიმაღლე 2,5-3 მეტრამდეა შემორჩენილი. „გალავნის კედლების სისქე 2,4 მეტრია. არის შემთხვევები, ფასადის მხარეს საგანგებოდ თალუარად დამუშავებული წყობის გამოყენებისა. აქ თახჩისებურ კონსტრუქციასთან უნდა გვქონდეს საქმე. რა დანიშნულება ჰქონდა მათ, ჯერჯერობით უცნობია“ (ლამბაშიძე, 2000: 138).

1991 წელს ქვეუბნის ციხის ტერიტორიაზე დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა პროფ. ო. ლამბაშიძის ხელმძღვანელობით. აღმოჩენილია საკმაოდ დიდი ფართობის 50მ.X25მ. დარბაზი, ოროთახიანი ნაგებობა, დარნები და ხაროები (ხორბლის შესანახი ორმოები), ძვ.წ.აღ.-ით XV-XIV საუკუნის ელინისტური ხანის სამაროვანი. სიმაგრის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკული მასალა ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანისაა, არის ასევე უფრო ადრეულიც და ფეოდალური ხანისაც... სიმაგრის ძველი კედლები შეიძლება ელინისტური და უფრო ადრეული ხანის ფენას დაუკავშირდეს.

ციხის სამხრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „ბერბუკების სამაროვნებში“ მოპოვებული არქეოლოგიური მასალები გვიანი ბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდს განეკუთვნება და პარალელები საქართველოს სხვა რეგიონებშიც (თრიალეთი, მაჭახეთი და ა.შ.) აღმოჩენილ მასალებთან ეძებნება. აღმოჩენილი მასალა ჯავახეთის ზეგანზე (ჯავახეთის პლატოს ქვედა ტერასა – სარო-ხიზაბავრა) მცხოვრები ხალხის სხვა რეგიონების მოსახლეობასთან ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებო უნდა იყოს (ლამბაშიძე, 2000:140).

მის სიახლოვეს, სამხრეთით, დღესაც ჩანს სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთები, რომელთა მშენებლობის ტექნიკა მეგალითურია და ხასიათდება მშრალი წყობით. აქვეა

დარანიც, რომლის შესასვლელი უხარმაზარი თლილი ქვებით იყო გაკეთებული. ქვის დამუშავების ტექნიკა ისეთივეა, როგორიც ციხის კედლების ქვებისა.

2) ზემო, ანუ საყდრის ციხეები. გ. ბოჭორიძის მითითებით „ეკლესიის დასავლეთით არის ორი ციხის ნანგრევი. იგი ნაშენია უხარმაზარი ლოდებისაგან. პირველში არის კირით გალესილი ორმო. ამ შენობებს კირი არ აქვს“ (ბოჭორიძე, 1982:225). მართლაც, ზემო ციხე ორი ციხისაგან შედგება. პირველი მდებარეობს სამხრეთ დასავლეთით, რომელიც ნაგებია დამუშავებული უხარმაზარი ქვის ლოდებით (სიგრძე 2,5-2,5 მეტრი, წონა 150-200 ტონამდე). შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთის კედელი (XX საუკუნის 60-იან წლებამდე ეს კედელი თვალნათლივ ჩანდა, 70-იანი წლებიდან მოსახლეობამ მისი ქვების ნაწილი დაჭრა და სახლის მშენებლობაში ქოშის, ანუ კუთხის ქვებად გამოიყენა). შეიძლება ითქვას, რომ ეს ციხე ციკლოპურ ნაგებობას განეკუთვნებოდა. მისი მშენებლობისა და კონსტრუქცია-არქიტექტურის დადგენა არქეოლოგიური შესწავლით უნდა მოხდეს (სამწუხაროდ, მის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება).

შეიძლება ითქვას, რომ საყდრის მეორე ციხე პირველის ტერასულ-იარუსული გაგრძელებაა, რომლის დასავლეთის კედელი ფაქტიურად პირველის აღმოსავლეთის კედელს ეჯრდნობა, ხოლო სამხრეთის და ნაწილობრივ დასავლეთის კედლები ფრიალო ქარაფის პირიდან იწყება. კედლები დიდი ზომის (1,0-1,3 მეტრი) გათლილი ქვებით მწყობრადაა ნაშენი. ციხის შიდა ფართი საკმაოდ დიდი ზომისა იყო, რომელშიც შეინიშნება ცალკე სათავსოების ნაშთები. ერთ-ერთ ასეთ სათავსოში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი იყო მარცვლეულის შესანახი კირითა და ქვით ნაგები საკმაოდ დიდი ზომის ორმო. ციხეს შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონია.

3) ციხე კოშკი. სოფლის განაპირას, დასავლეთით, სამცხის ქვაბულის სამხრეთით, წამოზრდილ გორაკზე, შემორჩენილია ციხის ნანგრევების ნაწილი, რომელსაც მოსახლეობა „კოშკის“ სახელით მოიხსენიებს. კოშკი სამი მხრიდან (ჩრდილოე-

თი, სამხრეთ-დასავლეთი) მიუვალია, მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან აქვს მისასვლელი. სოფლის ამ უბანში, კოშკის ციხის სიახლოვეს, დღესაც შემორჩენილია დიდი ხომის ქვებით მშრალად (კირხსნარის გარეშე) ნაგები უძველესი საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები.

კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით დღესაც შეიმჩნევა საკმაოდ დიდი სიგანის (დაახლოებით 2,5-3,0 მეტრი) კირხსნარით ნაგები გალავნის ნაშთები, რომელნიც აღმოსავლეთით ბუნებრივ კლდეს უერთდება. თვითონ ციხე ნაგებია კირ-ხსნარით. გ. ბოჭორიძის თქმით, მთავარანგელოზის „ეკლესიის ჩრდილოეთით არის კოშკი ქვიტკირით ნაშენი, მასზედ არის 12 ბათმანიანი ქვევრი ქვის სარქველით“ (ბოჭორიძე, 1982:225). შეიძლება ითქვას, ეს ქვევრი, ნახევარზე მიწით ამოვსებული, დღესაც ადგილზეა.

გორაკს, რომელზედაც ციხე დგას, სამხრეთით და ჩრდილოეთით ძნელად მისადგომი დიდი ხომის ბუნებრივი გამოქვაბულები (მღვიმეები) აქვს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. ბოჭორიძე აღნიშნავს: „ეს კოშკი დგას ციცაბო კლდეზე. რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხევები. მის ქვემოთ არის მრავალი მაღარო კლდეში. ზოგი ქვიტკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები“ (ბოჭორიძე, 1982:225). როგორც ჩანს, მოსახლეობა მათ საშიშროების დროს „სახიზრებად“ იყენებდა.

ციხის გარკვეული ნაწილი დიდი ხომის თლილი ლოდებით რომ უნდა ყოფილიყო ნაშენი, ამას მოწმობს იქიდან დაგორებული ასომთავრულწარწერიანი, გათლილ-გამოკვეთილი კედლის ქვა, რომელიც სოფლიდან ნიჟგორისკენ მიმავალ ბილიკთან ახლოს, მარჯვენა მხარეს, დიდი ხნის განმავლობაში იდო. მისმა წარწერამ არაერთი მკვლევარის (მ. ბროსე, ვ. ცისკარიშვილი, გ. ბოჭორიძე, დ. ბერძენიშვილი და სხვ.) ყურადღება მიიქცია.

XX საუკუნის 60-იან წლებში ეს წარწერიანი ქვა გადატანილი იქნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. წარწერის შინაარსი ასეთია: „ქრისტე ადიდე ძლიერი

და უძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეხი მამულობით გვიბოძა და მაჭის მამული. მას ჟამსა ესე ციხე ავაგეთ. მე ვაჩე დავწერე ძემან გურგენისამან“. დ. ბერძენიშვილის შეხედულებით, „წარწერა XII საუკუნისა უნდა იყოს, რეხი კი შესაძლოა სოროსთან ადგილის დამახასიათებელი სახელწოდება ყოფილიყო. რეხი ქვიანი გზაა კლდოვან კალთაზე“ (ბერძენიშვილი, 2000:87; ბერიძე, 2010:68).

4) ორმოცის ციხე ნიჯგოროს ბაღების დასასრულს, სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის სანაპიროზე, შემორჩენილია დიდი ზომის ნანგრევები, ნალისებური მოყვანილობის, რომელსაც მოსახლეობა „ორმოცის ციხეს“ უწოდებს. დ. ბერძენიშვილის აღწერით: „სამანქანო გზის დასავლეთით, გზისპირა გორაკზე, ნალისებური მოყვანილობის, ზერგიანი მოზრდილი კოშკი დგას, ბრტყელი მხარე მტკვრისკენ, მომრგვალებული – გზისკენ იყურება, ე.ი. მეტი საფრთხე აქედან იყო მოსალოდნელი. აქეთკენვე იმზირება ერთი, ვიწროდ დაყოლებული სარკმელიც. კოშკი დიდი ლოდებით კირზეა ნაგები, კედლის სისქე 3 მეტრია. მის გვერდით ეკლესიის ნანგრევებს წმ. მარინეს სახელობისად მიიჩნევენ. ...ეკლესია VIII-IX საუკუნეებისა ჩანს. ეკლესიას გალავანიც ჰქონია. ...საინტერესოა, რომ ერთ გადმოცემაში შოთა რუსთაველის შესახებ ნათქვამია, თითქოს მას, ბოლოს უკისრია ხაზინადარობა ვარძიაში და დაქორწინებულა ორმოცის ციხის ბატონის ქალიშვილზე. ეს ციხე ვარძიის სიახლოვეს ყოფილა და მისი მებატონენი 40 ძმანი ყოფილან“ (ბერძენიშვილი 2000:138). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წმ. მარინეს ეკლესიას გალავანი ჰქონდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გალავნის შიგნით ყოფილა არა მხოლოდ ეკლესია, არამედ ციხე-კოშკიც და ეს სალოცავი მისი კარის ეკლესია უნდა ყოფილიყო. ამდენად, ამ მეტად მნიშვნელოვან გამაგრებულ პუნქტს ფუნქციონირება თუ უფრო ადრე არა, VIII–IX საუკუნიდან მაინც უნდა დაეწყო. ორმოცის ციხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და სტრატეგიული დანიშნულებით, მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც ვარძია-ხერთვისისაკენ და ჯავახეთის ქვედა პლატოსაკენ

მიმავალ გზებს არა მარტო აკონტროლებდა, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, კეტავდა კიდეც.

II. საკულტო სალოცავები. დღეისათვის სოფლის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქაში აგებული რამდენიმე საკულტო სალოცავია (მთავარანგელოზის, კვირაცხოველობის, ამაღლების, წმ. გიორგისა და წმ. მარინეს) შემორჩენილი.

1) მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. აღნიშნული სალოცავებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც სოფლის სამხრეთ ნაწილში, თითქმის ციცაბო კლდის (ქარაფის) ნაპირასაა აგებული და საკმაოდ კარგადაა შემონახული. მკვლევართა აზრით, ეკლესია XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთით ამჟამად გაუქმებული ადრეული სასაფლაოა, სადაც ქვითხუროობის შესანიშნავი ნიმუშების არაერთი საფლავის ქვა და საინტერესო ეპიტაფიებია შემონახული.

მთავარანგელოზის ეკლესიის ეზო ჩრდილო-სამხრეთის მხრიდან უზარმაზარი ქვის ბუნებრივი ფილებით იყო შემოღობილი. ერთ-ერთ ფილაზე ჯვარი იყო ამოკვეთილი. XX საუკუნის 60-იან წლებში ეს ღობე მოშალეს (ფილები ტრაქტორით ამოყარეს), ჯვრიანი ქვა ისე გადააბრუნეს, რომ ჯვარი მიწის მხარეს მოექცა („პირქვე დაამხეს"). იმ წლიდან მოყოლებული ყოველ წელს სეტყვა და დელგმა უნადგურებდა მოსახლეობას მოსავალს. მთხრობელთა გადმოცემით, ეს ჯვარი მთავარანგელოზს განასახიერებდა და სოფელი მისი პირქვედამხობისთვის ისჯებოდა. ბუნებრივი კატაკლიზმები მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, როცა ეს ჯვრიანი ფილა კვლავ აღმართეს — „ფეხზე წამოაყენეს".

XX საუკუნის 30-იან წლებში ეკლესია მოინახულა გ. ბოჭორიძემ და აღნიშნა: სოფელ საროს „მთავარანგელოზის ეკლესია 12,8 X 7,2მ. ნაგებია თლილი ქვისაგან, ახურავს კრამიტი ღარისებური. კარი აქვს დასავლეთით 1, სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით სარკმელი 1 და სანათურიც 1, დასავლეთით სარკმელი 1. შიგნით და გარეთ გალესილია კირით. იატაკი თლილი ქვაა. ტრაპეზი სამია. საკურთხევლის

ტრაპეზი დაცილებულია კედელს. ეკლესია განახლებულ-გადაკეთებულია. ეკლესიის დასავლეთ მხარეს 4 სვეტზე დგას (დასავლეთ ნაწილზე) სამრეკლო“ (ბოჭორიძე, 1982:225).

დ. ბერძენიშვილი უფრო სხვა კუთხით დაწვრილებით აღწერს ამ სალოცავს და მიუთითებს: საროს „მთავარანგელოზის ეკლესია მოზრდილი ორნავიანი ტაძარია, გარედან შეთეთრებული და ინტერიერგალესილი, გვიან საკმაოდ შეკეთებულიც (გამოცვლილია კამარა). ამის მიუხედავად, იგი ძალზე შთამბეჭდავი ნაგებობაა – დაუმუშაებელი, რუხი ქვით ნაგები, თლილი კონსტრუქციული ნაწილებით. ცენტრალური ნავი დასავლეთის ერთი დიდი და სამხრეთის ორი მომცრო თაღითაა გახსნილი ორმხრივი, ვიწრო გარშემოსავლელისაკენ. ეს უკანასკნელიც სამხრეთის ფასადის შემდგომში ამოქოლილი დიდ ორთაღედით იხსნებოდა გარეთ. სამხრეთის ნავის უფასადო კიდეში ტრაპეზის ქვა და ემბაზია შემონახული, ჩრდილოეთი პასტოფორუმი კი საერთო აბრისის გარეთაა გამოტანილი. ეს დიდი ტაძარი მორთული იყო. დღემდეა დარჩენილი სამხრეთის ფასადის მორთულობა, მათგან ერთ-ერთი ყორე გალავანში უკუღმაა ჩატანებული“ (ბერძენიშვილი 2000: 86).

ამ აღწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკლესიაში არსებული სამი საკურთხეველი, რადგან სამსაკურთხევლიანი ეკლესია საქართველოში სულ რამდენიმე – თითზე ჩამოსათვლელია.

მ. ბერიძის შენიშვნით: ამ ეკლესიაში „უცნაური და მნიშვნელოვანი არის ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის საკურთხევლის მთავარი ნაწილის ტრაპეზის სიმრავლე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ლეგენდა აქვს ჩაწერილი ივ. როსტომაშვილს მე-19 საუკუნის ბოლოს. ოდესღაც სოფელში უცხოვრია სამ ძმას, ძლიერ თავადიშვილებს, რომლებსაც აუშენებიათ როგორც ციხე, ისე ეკლესია. რადგან თითოეულს ცალ-ცალკე მოძღვარი ჰყავდა, გაუკეთებიათ სამი ტრაპეზი, რომ ცალ-ცალკე შეესრულებინათ ღვთისმსახურება“ (ბერიძე, 2010:66).

ივ. როსტომაშვილის გადმოცემით: საროს „საყდარში აღსანიშნავია მაცხოვრის ერთი ძველი ხატი. იგი დახატულია კაკლის ფიცარზედ ფერადის წამლებით და სიგრძე აქვს 8 და სიგანე 6 ვერშოკი. სახის მარჯვნივ და მარცხნივ ოქროს ფერის ასოებით აწერია სიტყვები: „იესო ქრისტე," ხოლო ბოლოში ესე: „ადიდე შენ მაცხოვარო, მადიდებელი შენი აბაშიძე ლეონი, 1747, გლახაკი ივანე." ვინ არის აქ მოხსენებული ლეონ აბაშიძე ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საჭიროდ ვთვლით დავურთოთ, რომ საროდან 7-8 ვერსის მანძილზე ძევს სოფელი თოკი, სადაც დღესაც სცხოვრობენ ბეგნი აბაშიძენი, რჯულით მაჰმადიანნი, მაგრამ ქართულად ჯერაც მშვენივრად მოლაპარაკენი. ვგონებ, რომ ამ ხატის პატრონი ლეონ აბაშიძე ამათგანი უნდა იყოს და 1747 წლებში ყველანი თუ არა ზოგნი მაინც ქრისტეს მაღიარებელნი არიან" (მოგზაური, 1905:403) მიეთითოს გვარი და წელი. აღნიშნული ხატი დღეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

2) წმ. გიორგის ეკლესია სოფ. საროს ტერიტორიაზე ერთერთი უძველესი სალოცავია, წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სოფლის ბაღებში — ნიჯგორში მდებარეობს. ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. დ. ბერძენიშვილის აღწერით: „უთლელი და თლილი (კონსტუქციული ნაწილები) ქვით ნაგები ეკლესია უპილასტროა, განიერი და დამჯდარი პროპორციისა. მასალა ნალისებური სატრიუმფო თაღი, სხმული კამარა, აღმოსავლეთი სარკმლის ბრტყელი სათაური, ამ კარგად შემონახულ ეკლესიას ძველის მიმსგავსებით XIII-XIV საუკუნეებში აშენებულ ნიმუშად წარმოგვიდგენს. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა და გალავანი" (ბერძენიშვილი 2000:38).

ეკლესია გადახურულია ქვის კრამიტით (თლილი თხელი ფილებით), იატაკიც ქვის ფილებისაა. აღმოსავლეთით აქვს პატარა სარკმელი, კარი კი სამხრეთითაა. კარი იმდენად დაბალია, რომ ეკლესიაში შემსვლელი იძულებულია თავდახრილი შევიდეს. კარის ბალავარზე ბოლნური ჯვარია გამოკვეთილი. ეკლესიის „სამხრეთის შესასვლელთან სანთლისაგან გაშავე-

ბული გამოსახულებაა, ხოლო მის ქვევით პალმეტი უნდა იყოს“ (ბერძენიშვილი 2000:39).

XX საუკუნის 70-იან წლებამდე ეკლესია საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში იყო (სახურავზე ამოსულმა ხეებმა და ბუჩქებმა სახურავის ფილებს ადგილი შეუცვალა და ავდრის დროს ეკლესიაშიც ისევე წვიმდა, როგორც გარეთ). მოსახლეობა სალოცავის სახურავის გაწმენდას ერიდებოდა (ხე წმინდა სალოცავზეა ამოსული და ვაი თუ ეკლესიამ დაგვძრახოსო). ძეგლის გაწმენდის მიზნით ჩვენ მივმართეთ ძეგლთა დაცვის რაიონულ სამმართველოს უფროსს, მაგრამ პასუხად მივიღეთ: „ეკლესია სმეტაში არ მიზის, ამიტომ მისი გაწმენდა არ მევალებაო.“ საბედნიეროდ, სალოცავის გაწმენდა-დასუფთავება ისევ მოსახლეობამ (განსაკუთრებით ქალებმა იაქტიურეს) თავის თავზე აიღო.

სასოფლო რელიგიური დღეობა „გიორგობა“ ყოველწლიურად ექვს მაისს აღინიშნება. ხუთ მაისს მზის ჩასვლის შემდეგ, ეკლესია ღამისმთეველებით ივსება. ძირითადად ქალები მიდიან, მიაქვთ სანთელი და მიჰყავთ შესაწირი ფრინველი (მტრედი, ქათამი), რომელსაც ეკლესიის ეზოში ცოცხლად უშვებენ. მთელი ღამე ეკლესია სანთლებითაა გაჩირაღდნებული და ღამისმთეველთა გალობა ისმის. 6 მაისს, მზის ამოსვლის შემდეგ, ღამისმთეველები ანთებული სანთლებით ხელში და ლოცვით ეკლესიის ნიტოლიას სამჯერ შემოუვლიან. ამ პროცესში მათ სოფლიდან მოსული ხალხიც უერთდება.

ამ დღეობაზე თავს იყრის არა მხოლოდ სოფელი არაფერ, არამედ სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მოსახლეობა. ეკლესიასთან სავალდებულო რიტუალის ჩატარების შემდეგ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე იშლება სასოფლო (გიორგობის) სუფრა. დღეობაზე წამსვლელებს თან მიაქვთ სასმელ-საჭმელი. სუფრასთან ხალხი ნათესავ-ახლობლების მიხედვით სხდება და მიტანილ საჭოვაგეს თავიანთ წინ შლიან. სუფრას არჩეული თამადა უძღვება. პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, წმ. გიორგის და მის ეკლესიას

ეძღვნება. დღეობაზე მუსიკის თანხლებით ცეკვა-თამაშიც იმართება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სოფლის რამდენიმე „განათლებული" ახალგაზრდა, სამსახურში დაწინაურების მიზნით, პარტიის რაიონული კომიტეტიდან მიღებული დავალებით შეეცადა ეს საერთო სასოფლო (უფრო მართებული იქმება თუ ვიტყვით რეგიონალური) დღეობა დაეშალათ და საოჯახო დღეობად ექციათ. საბედნიეროდ, სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წყალობით, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ამ დღეობის მნიშვნელობა და ისტორიული ღირებულება, წინ აღუდგა ახალგაზრდა „ნოვატორთა" მცდელობას და დღეობა (რომელმა 70-წლიან კომუნისტურ წნეხს გაუძლო) შენარჩუნებული იქნა.

3) წმ. მარინეს ეკლესია. ნიჯგორში, ორმოცის ციხის ახლოს, ჩრდილოეთის მხარეს, წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის ნაწილია შემორჩენილი. დ. ბერძენიშვილის მითითებით: სოფელში „წმ. მარინეს ეკლესიის ბუდეა გადარჩენილა. აქაცაა გვიანი პერიოდის საფლავები, რომელთა შორის გამოირჩევა მომაღლო ქვა ჯვრად გამოკვეთილი" (ბერძენიშვილი, 2000:138).

XX საუკუნის 60-იან წლებამდე აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილი საკურთხევლის კედლის შიდა მხარეს შემორჩენილი იყო ფრესკების ნაშთები (სამწუხაროდ, ეს ფრესკები დაფიქსირებული არ იყო, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი წმინდანები იყო გამოსახული), რომელიც წვიმამ თუ თოვლმა ჩამორეცხა.

4) კვირაცხოვლობის ეკლესია. სოფლიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით, შემაღლებულ სერზე, რომელიც „ხულას" სახელითაა ცნობილი, არის მოქმედი სასაფლაო. ამ სასაფლაოდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ასიოდე მეტრის დაშორებით, ეკლესიის ნანგრევებია (ერთ ადგილას გროვად ყრია ეკლესიის ნაშალი ქვები), რომელსაც მოსახლეობა „კვირაცხოვლის" ნაეკლესიარს უწოდებს.

ამ ეკლესიის დღეობა არის აღდგომის სწორზე „კვირაცხოვლის" სახელწოდებით. საყურადღებოა ისიც, რომ სოფელ სარის

მოსახლეობა მიცვალებულთა საფლავზე არა აღდგომის მეორე დღეს (როგორც ეს საქართველოს სხვა კუთხეებში ხდებოდა და დღესაც ხდება), არამედ აღდგომის სწორზე, კვირაცხოველობის დღეს გადის. ანთებენ სანთელს, აწყობენ ამ დღისთვის საგანგებოდ მომზადებულ კერძებს (წითელი კვერცხი, მოხარშული ხორცი, ქადა, ხაჭაპური, ღვინო, ხილი), სასმელს (ღვინო თუ არაყი) და იქ მყოფებს სთხოვენ მის მიცვალებულს ერთი ჭიქით შესანდობარი უთხრან. ხანდაზმულები მიდიან ეკლესიის ნანგრევებზე, სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ. ყველა ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ სასაფლაოსთან შერჩეულ ადგილას იშლება სასოფლო სუფრა. ნადიმი ისევე მიმდინარეობს, როგორც გიორგობის დღეობის სუფრაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ არ არის მუსიკა და ცეკვა-თამაში.

4) ამაღლების ეკლესია. დასახლებული პუნქტიდან აღმოსავლეთით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, „ოდისების" სახელით ცნობილ ტერიტორიაზე ნაგებობის ნანგრევი კვალი ჩანს, რომლის დანიშნულება სოფლის მოსახლეობისთვის გარკვეულ დრომდე უცნობი იყო.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში სოროში გახშირდა ახალგაზრდების ტრაგიკული გარდაცვალების შემთხვევები. სწორედ ამ პერიოდში, სოროდან საკმაოდ დაშორებულ სოფელ ზველში, ხანში შესულმა ქალბატონმა სიზმარი ნახა, რომ სოფელს მიტოვებულ-მივიწყებული ამაღლების ეკლესია სჭირს. რა თქმა უნდა, სიზმრის ამბავმა სოროს მოსახლეობამდეც მოაღწია. სოფელმა გადაწყვიტა, რომ საზიაროდ ეყიდათ შესაწირი ხარი და იმ წელს, ამაღლების ეკლესიის ნანგრევებთან, ამაღლების დღეობა აღენიშნათ. დღეობისთვის ყველა ოჯახი მოემზადა და გაემართნენ „ოდისებში." მათ ნანგრევებზე დაანთეს სანთლები, მოილოცეს, დაკლეს შესაწირი ხარი, იქვე მოხარშეს და სასოფლო პურობა გამართეს. საღვთო ხარის მოხარშული ხორცი ყველას ჩამოურიგეს, ვისაც სახლში ავადმყოფი ჰყავდა, მისი წილიც გაატანეს. იმ დროიდან მოყოლებული, სოფელი ამაღლების დღესასწაულს ამ ეკლესიის ნანგრევებთან ზეიმობს იმ წესით და რიგით, როგორც თავდაპირველად აღნიშნეს.

5) **უცნობი ეკლესია.** გასული საუკუნის 60-70-იან წლებამდე, თაღისებრი მოყვანილობის ნანგრევები სოფლის განაპირას, ჩრდილო-სამხრეთით, კაკაბესაანთ (ლევან გიორგაძის შვილისა და შვილიშვილების) სახლის სიახლოვეს, შემორჩენილი იყო ეკლესიის ნანგრევის თაღისებური მოყვანილობის ორი კედლის ნარჩენები, რომელზედაც ფრესკების კვალი შეიმჩნეოდა. სამწუხაროდ, სოფელში არავინ არ იცოდა, ეს ნაეკლესიარი რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული.

მოტანილი მასალების ზედაპირული მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ სოფელ საროს შემოგარენში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები „დასტურია იმისა, რომ - გვიანი ბრინჯაოს საწყის პერიოდში (ძვ.წ. XV-XIV სს.) და ელინისტურ ხანაში ძვ.წ. IV-III სს.) ისტორიულ ჯავახეთში, კერძოდ, ჯავახეთის პლატოს ქვედა ტერასაზე (სარო-ხიზაბავრის მიდამოებში) ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. შეიძლება ვთქვათ, რომ აქ ცხოვრება არ ჩამქრალა სულ ცოტა ძვ.წ. III ათასწლეულიდან დღემდე. დასაშვებია სოფელი სარო ელინისტური და კიდევ უფრო ადრეული ხანის დიდი ქალაქური დასახლება იყო, რომლის ფუნქციონირების პერიოდი, სავარაუდოდ, ფეოდალურ ხანაშიც არ შეწყვეტილა. ეს დასახლებული პუნქტი „აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული იმ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამცხე-ჯავახეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით და შემდგომ ხანებშიც. როგორც ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში მდ. მტკვარზე გამავალ სავაჭრო გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ზემოალნიშნულ ურთიერთობათა გაფართოება-განმტკიცების საქმეში. სარო-ხიზაბავრის რაიონი შეიძლება ყოფილიყო ის მხარე, რომელიც ძვ.წ. V-III საუკუნეებში მოქცეული იყო კოლხური სამეფოს პოლიტიკურ გავლენის სფეროში“ (დამბაშიძე, 2000:140). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლურსმნულ წარწერებში სამხრეთ საქართველოს ტომები იხსენიებიან მათი მხარის ზოგადი სახელებით – დიაოხი, ზაბახა, ხოლო როცა ასეთი არაა, მაშინ წერია: „ამა თუ

იმ ციხე-სიმაგრის ან ქალაქის ქვეყანა" მაშასადამე, მხარე მოხსენიებულია ცენტრის სახელით. აქედან გამომდინარე, როდესაც ზაბახა ჩილდირის ტბასთან იგულისხმება, მაშინ დღევანდელი ჯავახეთი შეიძლებოდა ყოფილიყო აბულის, შაორის, საროს „ციხე-სიმაგრის ქვეყანა. სარო მიჩნეულია ქალაქურ დასახლებად, რასაც ვერ ვიტყვით შაორსა და აბულის შესახებ" (ბერძენიშვილი 2000:194).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საროს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლებისა და ნაგებობების დიდი ნაწილის შესახებ წერილობითი წყაროები ჯერჯერობით არაფერს გვეუბნება. ამიტომ მათი გამომზეურება, აღრიცხვა და დაფიქსირება (მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც) ქართული საქალაქო ცხოვრების, მშენებლობისა თუ არქიტექტურის შესწავლის საქმეში სპეციალისტებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს. საუბარს დ. ბერძენიშვილის სიტყვებით დავამთავრებთ: „ქართული საკულტო არქიტექტურის ისტორიაში ბევრია მცირე ზომის შეუმჩნეველი ძეგლი, რომელიც არ იპყრობს ყურადღებას განსაკუთრებული მხატვრულ-სივრცითი გადაწყვეტით და არც არაფერს მატებს განსაკუთრებულს ამა თუ იმ არქიტექტურული ტიპის განვითარებას. ამასთანავე, იგი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს იმ არქიტექტურული თუ ბუნებრივი გარემოსი, რომელთან კავშირი მას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას და განუმეორებლობას ანიჭებს, ხოლო დრო, უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ კეთილშობილებასა და ღირსებას სძენს" (ბერძენიშვილი 2000: 96).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, 2010 - მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბ., 2010.

ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I, თბ., 1964.

ბერძენიშვილი, 2000 - დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთი, I, თბი., 2000.

ბოჭორიძე, 1982 – გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1982.

მოგზაური, 1905 - „მოგზაური", 5, თბ., 1905.

ღამბაშიძე, 2000 - ო. ღამბაშიძე, ი. ღამბაშიძე, რ. კვირკვაია, არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფელ საროში//ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის გზაჯვარედინზე, ახალციხე, 2000.

TINA IVELASHVILI

HISTORICAL MONUMENTS ON THE TERRITORY OF THE VILLAGE SARO

Summary

Strengthened living places should have been widely spread in Javakheti like in whole South Caucasus in the II millennium of A.D.. (if not earlier). Weak strengthened settlements were grouped around the so called "capital" Saro settlement was one of such strengthened points together with the ancient Abuli and Shaori settlements.

Some historical and archaeological places that are preserved in this region are a clear confirmation of the fact that the territory of the village Saro was historically and archaeologically a very interesting place. It shows that the village and its surrounding places were actively involved in cultural and economical relationships in Samtskhe-Javakheti from the Middle Ages of the II millennium till the Hellenic and Feudal periods. We can say that the written sources of historical places and cult buildings on the territory of Saro can't tell us anything yet. That's why the research will help the specialists and interested people to study Georgian civil life, construction and architecture.

გიორგი კვინიკაძე

სამხრეთ კავკასია რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში

რატომ ხდება რეგიონული ინტეგრაცია და რა არის მისი მთავარი მიზეზი? უპირველეს ყოვლისა იგი საშუალებას იძლევა წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ გამოწვევებს. მეტ შესაძლებლობას ფლობს დაიცვას რეგიონული ინტერესები (მათ შორის ეროვნული) ხუნაციონალურ ეკონომიკურ ინსტიტუტებში. მეორეს მხრივ, იგი ქმნის რეგიონულ პრეფერენციულ უპირატესობას გლობალური კონკურენციის პირობებში; მესამე მხრივ, ამცირებს წარმოების დანახარჯებს, ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, რითაც იზრდება ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები; მეოთხეს მხრივ, ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის ზონების, საბაჟო კავშირებისა და ინტეგრაციის სხვა ფორმების განვითარებას და ერთიანი საბაზრო და სატრანსპორტო-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის შექმნას. ამ უპირატესობის რეალიზაციისათვის კი აუცილებელია, გავითავლისწინოთ ის გარემოება, რომ თანამედროვე გეოეკონომიკური რეგიონალიზმი ევოლუციონირდება რამოდენიმე საფეხურით, სადაც ყოველი მომდევნო გარკვეულად ავითარებს მის წინ მდგომს. ეს საფეხურებია: პრეფერენციული შეთანხმებები→თავისუფალი ვაჭრობის ხონის ფორმირება→ერთიანი საბაჟო ტარიფები→ეკონომიკური ბარიერების გაუქმება→ერთიანი ხერეგიონული სტრუქტურების შექმნა გლობალურ ეკონომიკაში აქტიური ინტეგრაციის მიზნით.

ამდენად, რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციის აქტორები ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სხვა მონაწილეთა და მთლიანად ორგანიზაციის ინტერესების და უარი თქვან ზოგიერთ საკუთარ სურვილზე. ამასთან, გლობალურ ეკონომიკურ ინსტიტუტებში არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა აქტორთა სახელითაც გამოვიდნენ. ე.ი. ეროვნული ეკონომიკის

პარალელურად (ზოგჯერ მის ხარჯზეც) საფუძველი ეყრება რეგიონულ ეკონომიკას. შემდეგ ეტაპზე ხდება ამ რეგიონების ეკონომიკური დაახლოება, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ გლობალურ ეკონომიკამდე, სადაც გლობალური ეკონომიკური ინტერესები გადაფარავს როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს. აღნიშნული პროცესი მოტივირებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში აშკარად გამოიკვეთა გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის კონტურები, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო განვითარებამ ფუნქციონირება დაიწყო გეოეკონომიკურ კოორდინატთა სისტემაში. დღეს პოსტინდუსტრიული სახელმწიფოები, რეგიონული გაერთიანებები და თვით პატარა ქვეყნებიც კი ამუშავებენ გეოეკონომიკურ პროექტებს, რომლებსაც უკავშირებენ მომავალ კეთილდღეობას და საკუთარი ეკონომიკურ - პოლიტიკური ინტერესების დაცვას. ამ პროექტების რეალიზაციის პროცესში კი მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფოთა კომპეტენცია.

ეს უკანასკნელი მომავალში შეიძლება დაემსგავსოს იმ მუნიციპალიტეტის,რომელსაც მხოლოდ ბიზნესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობის ფუნქცია ექნება. ამ მხრივ, განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევიან კ. ომე და ჯ. ნესბიტი. ამ მეცნიერთა აზრით, სახელმწიფო გადაიქცევა „ნოსტალგიურ ფუნქციად". იგი შეიძლება ინარჩუნებდეს პოლიტიკურ დატვირთვას, მაგრამ სრულ დევალვაციას განიცდის ეკონომიკური კუთხით, რომ დადგა დრო როცა უარი უნდა ვთქვათ, „კარტოგრაფიულ ილუზიებზე" და შევეგუოთ ეკონომიკურ საზღვრების ჩამოშლის გარდაუვალ პროცესს. იგივე კ. ომე სახელმწიფოთა ალტერნატივად განიხილავს რეგიონ-სახელმწიფოებს და სახელმწიფოს დაკნინების მთავარ ფაქტორად ტრანსნაციონალური ბიზნესის სიძლიერეს ასახელებს. აქედან გამომდინარეობს საპირისპირო, კერძოდ სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებს ტრანსნაციონალური ბიზნესის დასუსტება. კ. ომეს და კ. ნესბიტის ეს მოსაზრებები სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. (Ohmae k. : 1990; Ohmae k 1995; Naisbitt J.: 1990; Naisbitt J.: 1994). პრაქტიკუ-

ლად საქმე გვაქვს მსოფლიოს ახალ წესრიგთან, რომლის კვინტესენციაა გეოეკონომიკა და ეფუძნება მსოფლიო განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. უფრო მეტიც ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მსოფლიო სახელმწიფოები ადრე თუ გვიან იძულებული იქნებიან შეუერთდნენ პოსტინდუსტრიულ სტანდარტებს, რაც უნდა გახდეს ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების საფუძველი (Fukuyama:1989). ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო სისტემის მოძრაობა გლობალური ეკონომიკური ჰარმონიის მიღწევის გზაზე მეტად წინააღმდეგობრივია და სერიოზული სიძნელეების თანხლებით მიმდინარეობს, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება კლასიკური გეოპოლიტიკური პროექტების დაპირისპირებაში გეოეკონომიკურ პროექტებთან. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები შეეცადნენ ამ პრობლემის ახალი თეორიული საფუძვლების შექმნას (Wallensten J.: 1993; Chomsky N. 1994; Waltz K. 1993; Huntington S. 1996; Coxr: 1996; Scholte J. 2000; Luttwak E. 1998 და ა.შ.). ზემოთ აღნიშნული კონტექსტში კვლევის ძალზედ საინტერესო ობიექტია სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რომელიც ფაქტიურად გადაქცეულია იმ გეოპოლიტიკური ბლოკებისა და მსოფლიო ეკონომიკური ცენტრების სტრატეგიული დაპირისპირების არენად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რეგიონზე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის მოპოვებით.

ეკონომიკის გრამატიკა და კონფლიქტების ლოგიკა სამხრეთ კავკასიაში. თანამედროვე სამხრეთ კავკასია წარმოადგენს რეგიონს სადაც რეალიზდება ის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური პროექტები, რომელიც დაკავშირებულია რეგიონულ და რეგიონათაშორის კომუნიკაციურ, სათბობ-ენერგეტიკული არიალების ფორმირებასთან. მსოფლიო ახალი წესრიგის დოქტრინის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება გეოეკონომიკური მიდგომები. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკების ინტეგრაციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

ცნება „სამხრეთ კავკასია" გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლექსიკონში არც თუ დიდი ხანია არსებობს. სამხრეთ

კავკასიის რეგიონი წარმოადგენს დასავლეთის ჰორიზონტალური გეოეკონომიკური და ევრაზიული ვერტიკალური გეოპოლიტიკური ღერძების გადაკვეთის ადგილს. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე (Gachechiladze, 2002) და არა მთლიანად კავკასიის რეგიონზე (Эивазов, 2006) გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გასაზიარებელია პროფ. რ. გაჩეჩილაძის პოზიცია, ვინაიდან მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები ფლობენ იმ ბერკეტებს რითაც შესაძლებელია წინ აღუდგენ რეგიონში მოთამაშე მსხვილ გეოპოლიტიკურ აქტორებს. მეორეს მხრივ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე სწორედ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების გარანტირებული შესაძლებლობა და ფლობენ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ექსკლუზიურ და ლეგიტიმურ მექანიზმებს. თუმცა გეოეკონომიკურად იგი გაცილებით ფართოა და მოიცავს როგორც კავკასიის ჩრდილოეთს ასევე მის სამხრეთ ნაწილსაც. ამ არეალში იგულისხმება ასევე ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ევროკავშირი და აზიურ-წყნაროკეანური გეოეკონომიკური რეგიონიც. გეოპოლიტიკურად იგი მოიცავს რუსეთს, თურქეთს, ირანს და გაურკვეველი თავლსაზრისით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსაც. ამდენად, გეოეკო-ნომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია გაცილებით ფართო ცნებაა და მისი გეოეკონომიკურ-გეოპოლიტიკური პარამეტრები ვერ დაემთხვევა მის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებს.

იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკური კავშირები ძლიერადაა დამოკიდებული პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაზე, ეკონომიკური საზღვრების გახსნა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გააქტიურება, გლობალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად ქმნის იმის პირობებს, რომ რეგიონის ეკონომიკა ერთიანობაში დაბალი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება. იმის მიუხედავად, რომ რეგიონის ქვეყნებმა შეძლეს ინფლაციის ტემპების შემცირება და ეროვნული ვალუტის მეტნაკლები სტაბილიზაცია დასავლეთის დახმარებით და

ფინანსურ-სავალუტო პოლიტიკის გამკაცრებით, მთლიანობაში რეგიონის სამივე ქვეყანა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის. რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ კონფლიქტებით, რომელიც ინსპირებული იყო მეზობელი სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესებით. მეორეს მხრივ კი, იმ დისპროპორციებით რომლითაც ხასიათდება არა მარტო რეგიონის სახელმწიფოები, არამედ მათი შიდა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

საერთოდ შეიარაღებული კონფლიქტების ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. არ წარმოადგენენ რა „ომის ეკონომიკებს" კლასიკური გაგებით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკები კონფლიქტის მხარეების ეკონომიკის სტატუსს ატარებენ და იმავდროულად ძლიერი გეოეკონომიკური ოპონირების რეჟიმში ფუნქციონირებენ. ასეთი ვითარება კი ხელს უწყობს ე.წ. „რუხი ეკონომიკური ზონების" აღმოცენებას (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბახი ასეთ ზონებად მოიაზრებიან). ასეთი ზონებისათვის დამახასიათებელია ჩრდილოვანი და, კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ვაჭრობაში ვლინდება და რომელიც თავის მხრივ, ზრდის ინვესტირების რისკებს, ხელს უწყობს კონტრაბანდას და კორუფციას. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციის ძირითადი მიზეზი იყო კონტრაბანდა. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდგომ, სადაც რუსეთიდან შემოდიოდა კონტრაბანდული საქონელი, საქართველოს ბიუჯეტში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველომ უდიდესი ეკონომიკური დივიდენდები მიიღო აჭარაში სიტუაციის შეცვლითაც, ვინაიდან მოხერხდა კონტარბანდის შემცირება თურქეთიდან. შედეგად კი მოხერხდა პენსიებისა ხელფასების ზრდა სახელმწიფო სექტორში.

ამასთან, ეკონომიკისა და კონფლიქტის ურთიერთზემოქმედების დინამიკა სულაც არაა ერთმნიშვნელოვანი პროცესი. ამ სიტუაციას კარგად იყენებს რუსეთი, რომელმაც იგივე ერგნეთის ბაზრობის დახურვით უკმაყოფილო ადამიანები დაუპირისპირა ერთმანეთს, მოახდინა რეგიონის მილიტარიზა-

ცია და ბოლოს მოახდინა საქართველოს ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო ეკონომიკა, საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნის მისაღწევად. პრაქტიკულად იგივე მეთოდებით ცდილობს რუსეთი თავისი ევროპული და აზიური გეოპოლიტიკური მიზნის რეალიზაციასაც.

სრულად აშკარაა, რომ „ნულოვანის თამაშის" პრინციპის მოქმედების ინერცია, როცა ერთის მხრივ მოგება ავტომატურად ნიშნავს მეორის წაგებას, კვლავ აგრძელებს მოქმედებას ცენტრალურ კავკასიაში. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაში, რომ ნებისმიერ ქვეყანაში პოზიტიურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებს შეიძლება პოზიტიური შედეგები მოჰყვეს მის მეზობელ ქვეყნებში იმ შემთხვევაში, თუ ისინი საყოველთაოდ მიღებულ ეკონომიკურ თამაშის წესებს იცავენ. მაგრამ თუ ეს თამაშის წესები დარღვეულია და მეორე მხარე თამაშობს სხვა წესებით, მაშინ პრინციპი „რაც უფრო კარგადაა მეზობელი, მით უფრო კარგად ვარ მე" არ მუშაობს. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია რატომ უნდა გახდეს აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები ქართული ეკონომიკისა და ბიზნესისათვის მიმზიდველი ბაზარი, როცა ამ ტერიტორიების ინტეგრაცია მეზობელი ქვეყნის ეკონომიკაში მოხდა არა გეოეკონომიკური, არამეს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნებით. რა აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკების ინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ სტრუქტურებში მეტი სიკეთის მომტანი არ იქნება, ვიდრე რუსეთის იზოლაციისაკენ მსწრაფ ეკონომიკაში. მეორეს მხრივ, რეგიონში მოთამაშე გეოპოლიტიკური ძალები ეხმარებიან არაღიარებულ და ოკუპირებულ რეგიონებს ეკონომიკურად, რითაც ისინი თეორიულად შეიძლება მიმზიდველი გახდნენ. მსგავსი პერსპექტივა კი არ ემთხვევა სამხრეთ კავკასიის ორი მთავარი გეოეკონომიკური მოთამაშის (საქართველო, აზერბაიჯანი) გეოეკონომიკური პრიორიტეტებს. ამ ორი ქვეყნის კონცეფტუალური მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება

ოკუპირებული და არაღიარებული ტერიტორიების ეკონომიკური აღორძინებისაკენ არ პასუხობს ამ ორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს- ტერიტორიულ მთლიანობის შენარჩუნებას. მეორეს მხრივ, ასეთი დახმარების დაკანონება იმის კიდევ ერთი სტიმული გახდება, რომ ისინი არ დარჩნენ საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში. სწორედ ამიტომ, მათი ეკონომიკური სტაგნაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი გარანტი.

ეროვნული დონის რეგიონულ აქტორებთან ერთად სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო დია ხასიათს იძენს საკმაოდ სერიოზულ გეოეკონომიკურ მოთამაშეთა კონფლიქტი. ეს არის აშშ, რუსეთი, თურქეთი და ირანი. რეგიონის მდებარეობა ნავთობისა და გაზის სატრანზიტო დერეფანში მომავალში კიდევ უფრო გაამძაფრებს გეოეკონომიკურ დაპირისპირებას. მაგალითად, იგივე რუსეთი დიდი ხანია აწარმოებს გეოეკონომიკურ ომს საქართველოსა და აზებაიჯანის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მთავარი მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლის აღდგენა. როგორც ჩანს ამ ქვეყანამ მიზნად დაისახა არა მხოლოდ დაიქვემდებაროს ამ რესურსების ექსპლუატაცია საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, არამედ მაქსიმალურად შეეცადოს არ დაუშვას სამხრეთ კავკასიის ორი „ურჩი" სახელმწიფო მსოფლიო შემოსავლებისა და განაწილების პროცესში. (კვინიკაძე, 2010:7) რუსეთის სამხედრო მანქანა უშუალოდ არის დაკავშირებული ამ მიზნის შესრულებასთან. მაგალითად, 2008 წლის 1 ივნისს რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გუდაუთის რაიონში ნავთობის საძიებო სამუშაოების დაწყების შესახებ, (რაც თავისთავად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს) ხოლო ეს უკანონო ქმედება რუსეთმა „დაიკანონა" იმით, რომ მან მოახდინა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯერ ოკუპაცია და შემდგომ მათი აღიარება. რუსეთის ეს ქმედებები შეუმჩნეველად არ რჩება დასავლეთს. გეოეკონომიკური თვალსაზრისით სრულად გამართლებულად მიმაჩნია დასავ-

ლეთის მხრიდან ეკონომიკური დახმარებების პრაგმატული დიფერენციაცია რეგიონის ქვეყნებისა და მათი შიდა ტერიტორიების მიმართ. ეს დახმარება რეალიზდება პრინციპით: **"სანავთობო-ალიარებული"**, **"სატრანზიტო-ალიარებული"**, **"არალიარებული"** და **"ოკუპირებული"**. რასაც ადასტურებს რეგიონში განხორციელებული დასავლური ინვესტიციების სტრუქტურაც. თუმცა, დასავლეთის გეოეკონომიკური პროექტებს წინ ელობება მძლავრი გეოპოლიტიკური პროექტები რაც ცენტრალურ კავკასიას ფეთქებადსაშიშ რეგიონად აქცევს.

თუ არ ჩავთვლით საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობას, რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაცია კლასიკური გაგებით ძალზედ დაბალი ტემპით ვითარდება. თუმცა, არსებობს ბიზნესი, რომლის ჩარჩოებშიც ყალიბდება გარკვეული ურთიერთობები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს კონფლიქტებმა შექმნეს ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები. ამჟამად, არსებობენ სომხური ფირმები, რომლებიც ვაჭრობენ აზერბაიჯანთან საქართველოს მეშვეობით, ამასთან თურქეთს იყენებენ „სატრანზიტო საწყობად", ხოლო თურქ დისტრიბუტორებს საქონლის იაფად შესაძენად. სომხური კონიაკი იყიდება აზერბაიჯანში, ხოლო აზერბაიჯანული ხიზილალა სომხეთში. სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლის გაცვლა ხდება სასაზღვრო ბაზრობაზე. რომლებიც გარკვეულწილად „კონფლიქტის" შედეგადაა აღმოცენებული (მაგალითად სადახლოს ბაზრობა). საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სომხეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები იმ პირობებშიც კი როცა ამ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები. სხვადასხვა შეფასებებით სომხურ-თურქული ვაჭრობის მოცულობა 250-300 მლნ. დოლარს შეადგენს. სომხეთში საქმიანობენ თურქი ბიზნესმენები, ხოლო თურქეთში ფუნქციონირებს სომხურ-თურქული ერთობლივი საწარმოები. თურქი ეკონომისტების შეფასებით თურქეთის ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანში, სამხრეთ აზიის ქვეყნებს და ჩინეთში მინიმუმ სამჯერ შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში თუ აღდგება სარკინიგზო და საავტომო-

ბილო კავშირები სომხეთსა და ნახჭევანის გაყლით. იმის გამო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაიკეტა ყარსი-გიუმრის სატრანზიტო მაგისტრალი თურქეთის ყოველწლიურმა დანაკარგმა შეადგინა 500-550 მლნ. დოლარი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სომხეთ-თურქეთის და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნის შემთხვევაში სომხეთში ექსპორტი გაიზრდება 269-342 მლნ. დოლარით. ამასთან სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნა მკვეთრად გაზრდის თურქეთის საგაჭრო ბრუნვას შუა აზიის ქვეყნებთან, რითაც იგი შეამცირებს სატრანსპორტო დანახარჯებს 30-35%-ით. ვფიქრობ, ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ლოგიკა საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ერთის მხრივ, სომხეთისა და თურქეთის დაახლოებამდე, ხოლო მეორეს მხრივ, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებამდე ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მიმართ, სადაც აშკარად გამოიკვეთა რუსეთის დაპირისპირება დასავლეთთან როგორც გეოეკონომიკურ ასევე გეოპოლიტიკურ ჭრილში.

გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია თუ გეოეკონომიკის პოლიტიზაცია? ცივი ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა იმის პირობა, რომ ეს რეგიონი გადაიქცეს იმ ხიდად რომლის საშუალებითაც შეიძლება დასრულდეს გაეოპოლიტიკური კარჩაკეტილობა და რეგიონის კომუნიკაციურმა პოტენციალმა შეიძინოს გეოეკონომიკური მნიშვნელობა, არა მხოლოდ სამხრეთ აზიის და კასპიისპირეთის რეგიონში, არამედ მთელ ევრაზიის მასშტაბით. აღნიშნულზე მეტყველებს ის გეოეკონომიკურ პროექტები (**TACIS; EATKK; TRACEA; INOGATE**) და ის გეოეკონომიკური დოქტრინები („აბრეშუმის გზის სტრატეგია"- 1999; „შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობა" - 1993; ე.წ „სერაჰის ხელშეკრულება" - 1996). რომელიც რეალიზდება რეგიონში, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს 1998 წ. მესამე პან-ევროპული სატრანსპორტო კონფერენცია, სადაც **TRACECA**-ს პროგრამა აღიარებული იქნა ევროპული სატრანსპორტო სისტემის პრიორიტეტულ მიმართულებად და სადაც საქართველოს ინი-

ციატივით მიღებულ იქნა ახალი ტერმინი **DET rA. (Dan-European Transport Area)**- რომელიც აღნიშნავს შავი ზღვის გარშემო მიმდებარე არეალს. ეს არეალი თავისი პოტენციალით უთანაბრდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ევროპულ დერეფნებს.

ამავდროულად რეგიონში განხორციელდა გლობალური მნიშვნელობის რიგი კომუნიკაციური პროექტები, რომელთა შორის გამოყოფენ: ნავთობსადენს ბაქო-სუფსას; ტრანსკასპიური გაზსადენს - თურქმენეთი - აზერბაიჯანი - საქართველო - თურქეთი; გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; გარდა ამისა, პრესპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ზრდა ენერგომატარებლებზე. უპირველეს ყოვლისა კი ნავთობზე. აღნიშნული კი აქტუალურს გახდის ნავთობის გლობალურ ბაზაზე უწყვეტი მიწოდების მიზნით, წყაროთა დივერსიფიკაციის საკითხს. თუ ასეთი წყარო არ მოიძებნა საერთაშორისო ბაზარზე კონიუქტურის დინამიკის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის რეგიონზე 80%-მდე გაიზრდება (გეგეშიძე, 1997:246), რაც არ ჯდება დასავლეთის გეოეკონომიკურ ინტერესებში. დივერსიფიკაციის ვარიანტებში კი ცენტრალურ კავკასიაზე გამავალი საკომუნიკაციო სისტემის კონკურენტუნარიანობა ეჭვი არ იწვევს არც გეოეკონომიკურ და არც გეოპოლიტიკურ კონტექსტში. აღნიშნულის გეოეკონომიკური ასპექტი უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კასპიის ზღვისა და სამხრეთ აზიის ენერგეტიკული პოტენციალის არსებობას. ამ რეგიონში არსებული ნავთობის და გაზის დიდი მარაგი აქტუალურს ხდის ეფექტურ საკომუნიკაციო სისტემის შექმნას, მათი მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირებისათვის.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ დასავლეთის მიზანია თავიდან აიცილოს მონოპოლიური კონტროლი ნავთობსადენზე, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. ნავთობსადენი რომელიც გადის თურქეთზე აქტიურად იქნა მხარდაჭერილი აშშ ადმინისტრაციის, ისევე როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის მთავრობების მიერ. რაც იმითაა მოტივირებული, რომ ამ ქვეყნებისათვის

მილსადენი, რომელიც არ გადის არც ირანის და არც რუსეთის ტერიტორიებზე, წარმოადგენს დასავლეთთან კავშირის მნიშვნელოვან სეგმენტს. მეორეს მხრივ, თავიდან არის აცილებული რუსეთსა და ირანზე დამოკიდებულება. გრძელვადიან პერსპექტივაში ტრანსკასპიური კომუნიკაციები რომლებიც გადის ცენტრალურ კავკასიაზე ყველაზე უფრო მისაღები იქნება როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. ევრაზიული კომუნიკაციის სისტემა ცენტრალურ კავკასიაზე გაყვანით, რომლითაც დასავლეთის პოსტინდუსტრიული ქვეყნები უკავშირდება ცენტრალურ კავკასიასა და სამხრეთ ევრაზიის ქვეყნებს ხელსაყრელი პირობებს ქმნის თანამშრომლობისათვის არა მხოლოდ ენერგეტიკულ, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ სფეროებშიც. მხოლოდ დასავლეთი-აღმოსავლეთის საბაზო ხაზზე შექმნილი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც გადის ცენტრალურ კავკასიაზე შეუწყობს ხელს ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზაციას. ნავთობისა და გაზის ათეულობით ტრანსნაციონალური კომპანიები დიდი ინვესტიციებს დებენ რეგიონში და აფართოებენ სატრანსპორტო-კომუნიკაციურ პოტენციალს, რომლებიც მხარდაჭერილია ევროკავშირისა და აშშ-ს მხრიდან, რათა შეიქმნას სატრანსპორტო დერეფანი დასავლეთ-აღმოსავლეთი. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ ფუნქციის უნდა შევნიშნოთ, რომ გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემის კონტექსტში რეგიონი გარკვეულად განსაზღვრავს შესაბამის სიტუაციას ევრაზიაში, ხოლო მისი სატრანზიტო პოტენციალი აშკარა გამოკვეთილ გეოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

უპირველესი ინტერესი, რომელსაც ტრადიციულად იჩენდნენ დასავლეთის სახელმწიფოები (უპირველეს ყოვლისა აშშ) სახმელეთო კომუნიკაციების მიმართ. შედეგად მათ მიერ შექმნილი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა როგორც ბლოკის შიგნით, ასევე გარე სახმელეთო კომუნიკაციების კონტროლი, დასავლეთის ტრიუმფის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი გახდა „ცივი ომის" პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-


ერთი გეოპოლიტიკური შედეგი გახდა ის, რომ გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენამ გლობალური მასშტაბიდან გადაინაცვლა ევრაზიის კონტინენტზე. თუმცა ამ მასშტაბშიც დაპირისპირების გეოპოლიტიკური ხასიათი არ შეცვლილა. ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური ბლოკების შექმნა, რომლის ძირითადი ინიციატორი იყო რესეთი. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული პროექტი იყო ე.წ. „პრიმაკოვის დოქტრინა". რომლის ძირითადი მიზანი იყო წამყვანი სლავური ქვეყნის, ყველაზე უფრო აგრესიული ისლამური სახელმწიფოს და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი აზიური სახელმწიფოს გაერთიანებით მძლავრი კოალიციის შექმნა ღერძზე მოსკოვი → პეკინი → თეირანი. რაც უფრო ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვიდრე რეალური პრესპექტივა. ამ ფონზე გაცილებით რეალისტურად მოჩანდა გეოპოლიტიკური ბლოკის შექმნა რუსეთი → ირანი → სომხეთის ღერძზე. ეს ღერძი დღესაც აქტუალურად განიხილება გეოპოლიტიკურ წრეებში. ვინაიდან იგი გადის ცენტრალურ კავკასიაზე მასზე შევჩერდები. იგი უპირველეს ყოვლისა შეეხო საქართველოს რომლის ნეგატიური შედეგები უკვე სახეზეა - მოხდა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია.

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება ცენტრალურ კავკასიაში მიმდინარეობს იმ ფონზე, როცა რეგიონში არ არსებობს გამაერთიანებელი ძალა. რეგიონი მოქცეულია გარე გეოპოლიტიკური ინტერესების „ტყვეობაში". სწორედ გეოპოლიტიკური დაპირისპირება რჩება რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში გამოიყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: იდეოლოგიური და კულტურული პროპაგანდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება კონფლიქტების გააქტიურების მიზნით **„de facto"** ერთმანეთთან დაპირისპირებული ალიანსების შექმნა და ეთნიკური სეპარატიზმით მანიპულირება. თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ პროექტებს ცენტრალურ კავკასიაში, გარკვეული აზრით, შეიძლება ვუწოდოთ **გეოეკონომიკურ-ფსიქოლოგიური** პროექტი. ჩემს მიერ შემოთ-

ავაზებულ ტერმინში უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ სიტუაციას, როცა მინიმუმამდეა დაყვანილი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანებისაკენ სწრაფვა და აქტიურდება პოლიტიკური სუვერენიტეტის ფაქტორი. მეორეს მხრივ, რუსეთმა ლია ეკონომიკური ომი გააჩაღა საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ, რითაც კარგად შეფუთა თავისი გეოპოლიტიკური მიზნები. ამ ორი ფაქტორის სიმბიოზით რუსეთმა გააქტიურა წარსულის „დამცირების" და „ჩამორჩენილობის" ფსიქოლოგიური კომპლექსი, განსაკუთრებით რეგიონში არსებული ავტონომიების დონეზე, რამაც შექმნა ეკონომიკური კავშირების დასუსტების პირობები რეგიონის შიგნით. ეს სიტუაცია აისახა რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე. სომხეთი ეკონომიკურად ეხმარება ყარაბახს, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თურქეთი აზერბაიჯანს. ამ სიტუაციით რუსეთი ცდილობს ეკონომიკურ- ინტეგრაციული პროცესები რეგიონის სახელმწიფოთა დონეზე, გადაიყვანოს გეოპოლიტიკური დეზინტეგრაციის რეჟიმში. ამით იგი ცდილობს გააქტიუროს ვერტიკალური კავშირები და ხელი შეუშალოს ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას. სწორედ ამას ემსახურება რუსეთის გეოპოლიტიკური პროექტი რომელიც „ნეოევრაზიანიზმის" სახელითაა ცნობილი. ამ პროექტის ძირითადი იდეაა რუსეთის გაფართოება სამხრეთით. რაც გულისხმობს სამხრეთ კავკასიაზე კონტროლს, რითაც მათ გზა ეხსნებათ „თბილი ზღვებისკენ" და აქედან გამომდინარე რუსეთის საზღვრის უმნიშვნელო გადატანაც კი ამ მიმართულებით კონტინენტური ძალების მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა ის, რომ ცენტრალურ კავკასიას „ნეოევრაზიანელები" რუსეთის შიდა გეოპოლიტიკურ ზონად თვლიან. პროექტი ითვალისწინებს რეგიონის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რესტრუქტურიზაციას, რომელიც ეფუძნება ვერტიკალურ კავშირებს. ამ მიზნის რეალიზაციისთვის რუსეთში გამოყოფილია სამი საყრდენი გეოსტრატეგიული წერტილი: დონის-როსტოვი, ვოლგოგრადი და ასტრახანი, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. „ხაზარულ სამკუთხედს" ამ შემთხვევაში ინ-

ტეგრაციის ვექტორი რადიკალურად იცვლება. მთელი სამხრეთ კავკასია დაექვემდებარება მხოლოდ ვერტიკალურ ორიენტაციას. ამ სამკუთხედის სტრატეგიული ცენტრები კი განლაგდებიან სამხრეთით. (ნახ.)

ნახ.



ამ პროექტის მიხედვით აუცილებელია ყველა ჰორიზონტალური კავშირის აღკვეთა ღერძზე აშშ — თურქეთი — აზერბაიჯანი – სამხრეთ აზია. ჰორიზონტალური კავშირების წყვეტა ხდება ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალი ავტონომიების დონეზეც. ინგუშეთი — ჩეჩნეთი — დაღესტანის ღერძზე. ამ შემთხვევაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთით რჩება საქართველო, ამიტომ მათი გეოპოლიტიკური და გეოეკო-ნომიკური ინტერესები შეიძლება დაუკავშირდეს ჩვენს ქვეყანას.

„ნეოევრაზიანიზმი" გააფთრებით ებრძვის სამხრეთ კავკასიაში ერის-სახელმწიფოს მოდელს, და მკაცრად ფიქსირებულ ადმინისტრაციულ წარმონაქმებს მუდმივი საზღვრებითა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. კავკასიის ნეოევრაზიული პროექტით გათვალისწინებულია რეგიონის გადაყვანა ცენტრი-პერიფერიის მოდელზე, რომელშიც პერიფერიული სტრუქტურა დეტერმინირდება არა პოლიტიკურად, არამედ ეთნოკულტურულად. ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელია „კავკასიის ფედერაციის" შექმნით, რომელიც გააერთიანებს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებს და რეგიონში არსებულ ავტონომიებს. ის ფაქტი რომ, ჯერ კიდევ 1996წ. რუსეთის ქალაქებ-

ისა და ოლქების ასოციაციათა ჩამონათვლაში შეყვანილი იქნა სოხუმი და ცხინვალი. ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისათვის კიდევ ერთი არგუმენტია.

სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებული გეოპოლიტიკურ როლს ასრულებს სომხეთი, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავშირეა. ამიტომ, რუსეთი დაინტერესებულია სახმელეთო დერეფნის შექმნით, რომელიც საიმედოდ დააკავშირებს სომხეთს „ხახარული სამკუთხეთთან" და ძირითადში დააკმაყოფილებს რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს სახრეთ კავკასიაში. ამდენად ის, რომ რუსეთი ებრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სრულიად აშკარაა.

არსებობს კი ამ პროექტის შემდგომი გაგრძელების რეალური პრესპექტივა? ვფიქრობ, რუსეთს მისი რეალიზაცია ძალიან გაუჭირდება შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი: ტერიტორიების ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთი ვერ ახორციელებს კონტროლს სამხრეთ კავკასიის ორ მთავარ გეოეკონომიკურ მოთამაშეზე (საქართველო-აზერბაიჯანი).

მეორე: ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ მას უჭირს სრული კონტროლი დაამყაროს ამ რეგიონზე.

მესამე: რუსეთს არ გააჩნია სახმელეთო საზღვარი არც სომხეთთან და არც ირანთან. სომხეთსა და რუსეთს შორის სახმელეთო კომუნიკაცია გადის საქართველოზე, ხოლო რუსეთსა და ირანს შორის აზერბაიჯანზე. ერთადერთი ხელმოსაჭიდი რჩება რუსეთ-ირანის საზღვაო საზღვარი, რომლის პრესპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან ხუთი კასპიისპირა სახელმწიფო, საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით უკვე განიხილავენ კასპიის ზღვის სექტორალური დაყოფის საკითხებს. რითაც სერიოზულად შესუსტდება რუსეთისა და ირანის პოზიციები არა მარტო რეგიონში, არამედ მთელს ცენტრალურ აზიაში.

მეოთხე: საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარება, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ამ სახელმწიფოთა აქტიური მონაწილეობა გლობალურ გეოეკონომიკურ პროექტებ-

ში ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის დასავლეთს თვითონ გააკონტროლოს ეს გეოპოლიტიკური ღერძი. ამ შემთხვევაში სომხეთი პასიურ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ რჩება.

მეხუთე: რუსეთს ძალიან გაუჭირდება გაუძლოს დასავლეთის პოლიტიკურ ზეწოლას, რაც აშკარად კონფლიქტურ ხასიათს იძენს.

მეექვსე: რუსეთის ეკონომიკური რესურსები ამოუწურავი არაა. მას უკვე აღარ შესწევს უნარი ეკონომიკური ომი აწარმოოს ასევე ვთქვათ გაშლილ ფრონტზე. (მხედველობაში მაქვს ერთის მხრივ, გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტები, მეორეს მხრივ დასავლეთის ძლიერი ეკონომიკური ბლოკი).

აღნიშნულის მიუხედავად, რუსეთი ცდილობს „შემოვლითი გზებით" მოახერხოს თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. კერძოდ, იგი ცდილობდა „de jure"-დ არაკონტროლირებადი ტერიტორიები „de facto" კონტროლის მეთოდებით ჩაენაცვლებინა (ე. წ. მშვიდობისმყოფელთა სახით). ეს პროცესი რეალიზდებოდა რუსეთის გაცლენის გაძლიერებით ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი), და რუსული სამხედრო ბაზების გამოყენებით რუსეთი – საქართველო — სომხეთის ღერძზე.

ანალოგიურად აკონტროლებდა იგი ირანთან სახმელეთო კავშირებს აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენებით. სომხეთ აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანმა იგი გადაკეტა. თუმცა ამჟამად რუსეთი ცდილობს მის რეაბილიტაციას ყარაბახის კარტის გათამაშებით. რას მიიღებს რუსეთი სამხრეთ კავკასიის გაკონტროლებით, ძნელი წარმოსადგენი არაა. იგი უალტერნატივოდ გააკონტროლებს ჩრდილო-სამხრეთის სახმელეთო სივრცეს, ევრაზიის კომუნიკაციის ძირითად ხაზებს, რითაც იგი მონოპოლისტი ხდება კასპიის და ცენტრალურ აზიაში არსებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაში. მეორეს მხრივ, იგი ტრადიციულ გეოპოლიტიკურ იზოლაციაში ტოვებს ცენტრალურ აზიას, რითაც შეინარჩუნებს კონტროლს ამ რეგიონზე და შექმნის შიდა ევრაზიულ ბუფერს, რომელიც დაუპირისპირდება დასავლური ბლოკის

ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელებას ევრაზიის სიღრმეში. მესამეს მხრივ, უდიდესი ტერიტორია შავი ზღვიდან სამხრეთ კორეამდე პრაქტიკულად გაკონტროლდება რუსეთის მიერ.

ამდენად, გეოეკონომიკური რიტორიკის მიუხედავად, სამხრეთ კავკასია კვლავ რჩება გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენად კონტინენტალურ და ატლანტურ ძალებს შორის. გეოპოლიტიკური პროექტების უმეტესობა ჯერ კიდევ ეფუძნება „განაწილების" და „გავლენის სფეროების" ძველ კონცეპტუალურ ხედვებს. ამიტომ გაჩდა იმის აუცილებლობა, რომ ახლებურად იქნას გააზრებული ის პროექტები, რომელიც უკავშირდება რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ სუსტია რეგიონის ქვეყნების გლობალურ ეკონომიკა'ში ინტეგრაციის ხარისხი და, მეორეს მხრივ, რეგიონის სახელმწიფოთა შორის, კლასიკური გაგებით, იგი პრაქტიკულად არ არსებობს, სრულად რეალურად მეჩვენება მათი გააქტიურების პრესპექტივა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ტრანსკომუნიკაციურ შესაძლებლობებს, გეოეკონომიკური პროექტების სტრატიფიკაციას და მძლავრი რეგიონული ფინანსური ცენტრების შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, რომელსაც არსებული კონფრონტაციული სიტუაციის შეცვლის დიდი პოტენციალი გააჩნია. რეგიონ'ში არსებული ეკონომიკური ბა'ზრის უნიკალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო და ეკონომიკური პრაგმატიზმი შეიძლება მოვიაზროთ მომავალი ერთიანი გეოეკონომიკური სივრცის ფორმირების საწყის მოდელად. სწორად ამიტომ მნი'შვნელოვანია, რომ მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ტრანსკონტინენტურ ეკონომიკურ პროექტებთან ერთად უნდა მოხდეს ბი'ზნესის გააქტიურება, სავაჭრო - სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. ამ მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას დასავლეთ'ში კარგად აპრობირებული ტრანსასაზღვრო ვაჭრობა.

ამდენად, კვლავ ფუნქციონირებს ძველი რეგიონალიზმის პარამეტრები რეჟიმში და განიხილება როგორც პასიურ-დისოციალური, რომელიც ატარებს გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ხასიათს, ხოლო გეოეკონომიკური სტრატეგია იგება არა თანამედროვე გეოეკონომიკური რეგიონალიზმის პრინციპებზე, არამედ ჩვეულებრივ მერკანტილიზმზე.

გამოყენებული ლიტერატურა

Ohmae, 1990 - K. Ohmae. The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. N.Y. 1990

Ohmae, 1995 - K. Ohmae. Iden The end of the nation state: The Rise of Regional Economics. L. 1995

Wallensten, 1993 - J. Wallersten. The Insurmountable contradiction of liberalizm: Human Rights and people in the Geoculture of the modern World-System. N.Y. 1993

Huntington, 1996 - S. Huntington. The Clash of Civilization and the Remaking of World Order. N.Y. Simon & Shuster. 1996

Chomsky, 1994 - N. Chomsky. World Order, Old and New. L. Pluto Press, 1994

Waltz, 1993 - K. Waltr. The Emerging structure of International Politics. International Secirity. Autumn, 1993, Vol. 18 Issue 2.

Scholte J, 2000 - J. Scholte. Globalization. A Critical Introduction. N.Y. Palgave, 2000

Cox, 1996 - R. Cox. Approach to World Order, Cambridge. Cambridge University Press, 1996

Fukuyama, 1989 - F. Fukuyama. The End of History// The National Interest, Summer, 1989. № 16

Naisbitt, 1990 - J. Naisbitt. Abrudene P. Mega trends 2000: The Next Ten Years, L. 1990

Naisbitt, 1994 - J. Naisbitt. Global Paradox: The Bigger the World Economy, the More Powerful Its smaller Players. N.Y. 1994

Gachechiladze, 2002 - R. Gachechiladze. Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players//Geopolitics. summer 2002. Vol. 7 # 1

Luttwak. Turbo-Capitalism: Winners and Losers in the Global Economy, L. 1998

Д. Айвазов. www.ca-c.org/c-g/2006/journal rus/c-g-1/03

გეგეშიძე, 1997 - ა. გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. თბილისი, 1997წ.

კვინიკაძე, 2008 - გ. კვინიკაძე. გეოეკონომიკა. თბილისი, 2008წ.

კვინიკაძე, 2009 - გ. კვინიკაძე. გლობალიზაცია და კავკასიის ახალი გეოეკონომიკური რეალობა. აკად სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. გამ. „უნივერსალი" თბილისი, 2009 წ.

კვინიკაძე, 2010 - გ. კვინიკაძე. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა-საქართველოს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთადერთი გზა. ჟურნ. „დრომიკოსი" იანვარი 2010წ.

Giorgi Kvinikadze

SOUTH CAUCASUS IN REGIONAL GEOECONOMICAL INTEGRATION PROCESS

Resume

Features of Geoeconomical development of Post - Soviet central Caucasus are considered in the article on the background of existed geopolitical situation. The author tries to determine, whether a system of economical relations, existing in the region, is capable to deal with the realization of negative geopolitical projects from neighbor states and how much it is ready to become a plenipotentiary player of Global Geoeconomical space. According to the author, Central Caucasus remains as a passive - dissocial region due to the negative impact of those geopolitical projects, which are carried out towards the region by the large - scale continental players (especially Russia). Region's economical situation is assessed as a geoeconomical - fragmentary one, which means, that Economic Relation's Strategy of the actors of the region is coupled on not so liberal as far as mercantile principles.

სერგო მელიქიძე

ბორჯომის ხეობის ტოპონიმია ვახუშტი ბაბრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და რუსულენოვან რუკებზე

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფოსის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" უმნიშვნელოვანესი ძეგლია ძველი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისათვის.

„ეს შრომა, როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს, ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი. ცნობილია, რომ ვახუშტის შრომა, კერძოდ, მისი რუკები დიდი ხნის განმავლობაში ძირითად წყაროს და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიული აღწერისა და რუკების შედგენისათვის როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთ ევროპაშიც" (ლომოური, 1941).

ვახუშტის აღნიშნული შრომის შექმნის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ინტერესი მის მიმართ არ განელებულა, მით უფრო საინტერესო ჩანს ეს ნაშრომი, თუ მას შევადარებთ საბჭოთა პერიოდში დასტამბულ სამხედრო კარტოგრაფიულ რუკებს. ინტერესი კი მრავალმხრივია თანამედროვე თვალსაწიერით. ჩვენ ამჯერად წარმოვადგენთ ქართლის (თუ სამცხის!) რეგიონიდან ერთი რაიონის – ბორჯომის ხეობის აღგილის სახელებს, როგორაა წარმოდგენილი ვახუშტის შრომასა და რუსული სამხედრო მნიშვნელობის კარტოგრაფიულ რუკებზე, რომლებიც შედარებულია ჩვენ მიერ 1973-1980 წლებში ჩაწერილ მასალასთან, ვახუშტისთან და კარტოგრაფიულ რუკებზე წარმოდგენილია ძირითადად მაკროტოპონიმია (სოფლების, მდინარეების, მთების, ეკლესია-მონასტრების სახელები).

ვახუშტის მოღვაწეობის შემდეგ თითქმის სამი საუკუნე გავიდა და საინტერესოა ტოპონიმთა რა რაოდენობა მოხვდა სამხედრო რუკებზე და რა დაიკარგა, ან რა რაოდენობის ტოპონიმია წარმოიქმნა.

ცალკე წარმოვადგენთ ბორჯომის ხეობის (რაიონის) მაკროტოპონიმიას ვახუშტის შრომასთან მიმართებაში. ვახუშტის დროსაც და შემდეგაც ეს მხარე ან'უ მტკვრის ხეობად, თორის მხარედ იყო ცნობილი, სახელი „ბორჯომი" ოფიციალურად ხეობაში ჩნდება 1829 წლის შემდეგ და სამცხის შემადგენლობაში შედიოდა. ხშირად მას ქართლის რეგიონში განიხილავდნენ და ახლაც მას ზოგჯერ ქართლს მიაწერენ. ბორჯომის ხეობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნეიტრალური ზონის დანიშნულებაც ჰქონდა. სავარაუდოა, რომ თვითონ ვახუშტი არც იყოს ჩასული ამ მხარეში და შესაძლებელია ადგილობრივი კორესპონდენტები აწვდიდნენ მასალას. ამიტომაა, რომ არც თუ იშვიათია ამ დიდი მეცნიერის უნებლიე შეცდომები, ამას გვაფიქრებინებს ვახუშტის ცხოვრება და იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. ასეთი ნაშრომი წარმოაჩენს ორი-სამი საუკუნის მანძილზე ახლადწარმოქმნილ და დაკარგულ მიკროტოპონიმებს. შეცდომები, ბუნებრივია, ორივე შემთხვევაში გვაქვს, განსაკუთრებით რუსულენოვან რუკებზე (ძირითადად აღწერილობის მხრივ).

ბორჯომის ხეობა (ბორჯომის რაიონი) სამხედრო რუკაზე.

ახალდაბა, დაბა. „(ქერძნის) დასავლით არს ახალდაბა მცირე ქალაქი" (ქართლის ცხოვრება, 1973:380). არ ჩანს **ნეძვი,** მაგრამ რუკაზე არის ძველი ნეძვი. ვახუშტისთან: „ახალდაბას ქვეით მტკვარს ჩრდილოდამ (ერთვის) ჴევი ნეძვისა" (გვ. 380) შავი წყალი „**შავ წყალსა** და **თორის წყალს** უწოდებენ აწ სადგერს – ხეობას" (გვ. 381); „შავი წყალი" მოდის გუჯარეთის ხეობაში, ხოლო თორის წყალი ან სადგერის წყალი, სადგერის ხეობაში და ახლა მას ჰქვია **ბორჯომულა.** ვახუშტის დროს ბორჯომულა არ არსებობს და თუ ამ წყალს სახელი ერქვა, ეს უნდა ყოფილიყო „თორის წყალი" ან „სადგერის წყალი", ხოლო „შავი წყალი" მტკვარს ერთვის ქვედა ბორჯომში, გუჯარეთის

ხეობის დასასრულს, ამჟამინდელ **ჩარხის წყალზე** (ბორჯომის უბანი). ამდენად, „თორის წყალი" (ბორჯომულა) არ არის „შავი წყალი" (შავ წყალს - გუჯარეთულასაც ეძახიან).

ზანავი, სოფელი. ვახუშტისთან: **ზანავ-რვილის** ჴევი. „(კორტანეთს) ჩრდილოდამ მოერთვის მტკუარს ზანავ-რველის ხევი, ამასა და მთას იქით შუა მთიდამ გამომდინარე" (გვ. 381).

კორტანეთი, სოფელი „ქიმერეთის ხევს ზეით ერთვის მტკუარს, სამხრიდამ ხევი კორტანეთისა გამოსდის მასვე მთასა (გვ. 380).

ყერძნის სერი, მთა „მთა **მახვილოსა** და **ყერძენის** მთის წვერი მოავიწროებს მტკუარს კლდითა" (გვ. 380).

რველი, სოფელი. ვახუშტისთან **რვილის** ჴევი „ჩრდილოდამ მოერთვის მტკუარს **ზანავ-რვილის ბევი,** ამას და მთას იქით შუას მთიდან გამომდინარე" (გვ. 380).

ყვიბისის სერი, მთა. „იჯდა მიტროპოლიტი, მწყემსი **ყჯის-კორტანეთისა** ზეითსა, და მტკუარის ჩრდილოეთისა" (ქართლის ცხოვრება, 1973:.662).

პეტრეს ციხე – „დღვაშის ჴევს ზეით მტკუარის კიდესა ზედ, სამხრით არს პეტრეს ციხე ფრიად მაგარი" (გვ. 381). აქვე აღსანიშნავია, რომ ქალაქ-ბორჯომში არის **გოგიას ციხე.** ხოლო მის დასავლეთით 7-8 კმ-ის დაცილებით არის **ზაალის ციხე** (სალის ციხე). მოსახლეობა, გადმოცემის მიხედვით, ამ სამ პიროვნებას პეტრეს, გოგიას და ზაალს ძმებად მოიხსენიებენ ავალიშვილთა საგვარეულოდან. ბუნებრივია, ციხეები უფრო ადრინდელი ეპოქისა ჩანან, მაგრამ ხეობაში ავალიშვილების დამკვიდრების დროიდან ციხეები მათი საგვარეულო კუთვნილება ხდება. ციხეები აშკარად სტრატეგიული დანიშნულებისა იყო, მაგრამ პეტრეს ციხის გარდა, გოგიას და ზაალის ციხე არსად არ მოიხსენიება.

სადგერი, სოფელი. „არამედ **სადგერი** არს მაგარი და შეკუვალი" (გვ. 380). „(თორის წყლის შესართავის) სამჴრით არს **სადგერის ეკკლესია** წმინდა გიორგისა" (გვ. 380). **სადგერის ჴეობა**: ხოლო ეს სადგერის ჴეობა არს უვენახო" (გვ. 380).

გუჯარეთის წყალი, მდინარე (აბუჭალოს ჭევიდან) „აქედამ გარდავალს გზა **გუჯარეთს რაჭის ჭევზედ**", **აბუჭალოს** დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს", ხოლო ჭვარების დასავლით და **მძოვრეთის** სამბრით არს მდინარე და **ჭეობა თორისა,** რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამას შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერე მომგრგუალდების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკუარს სამჭრიდამ და აწ განყოფილ არს სადგერად და გუჯარეთად" (ქართლის ცხოვრება, 1973:345:346:381).

არჯევანიძის მთა, საძოვრები. ვახუშტის ტექსტში არის **ერჯევანი** „კლდე-კრის დასავლით არს მთა ერჯევანისა, მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერძოსაკენ ტყიანი" (გვ. 346).

კურა (მტკვარი) – „მტკუარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას" (გვ. 661), „კურა" რუსულ რუკაზეა. რუსულად მტკვარს „კურას" ეძახიან.

კიმოთესუბანი, სოფელი. „თორის წყლის აღმოსავლეთით არს კიმოთისმანის მონასტერი" (გვ. 346). მონასტერი ქართული აგურითაა აშენებული.

სხირმოს ქედი, ცხუირისის ჭევი, „საპონაურისა და ცხვირისის ჭევი გამოსდის თორის მთასა და მიერთვის ქციას (გვ. 320).

დვირი „ჭობისხევს ზეით... დვირამდე არს ქართლისა" (გვ. 305).

თორი, ნანგრევი, ნასოფლარი. „დასავლით არს დაბა თორი" (გვ. 333), „აღმოსავლით უდის თორის მდინარე... დასავლით შაეწყალი ბაკულიანისა და კოდიანის მთას, და მიერთვის მტკუარს სამჭრიდან გომართამდე" (380).

კოდიანი, მთა (მტკვრის ხეობას) „ჩრდილოთ აქუს **ლადოსა** და **მახულოს** წამოსული აღმოსავლეთს ჩდილოს შუა მთა ამისას და სადგერის ჭეობის შუათი" (გვ. 382).

ციხისჯვარი, (თორს) „ზეით არს ციხისჯვარი და ციხე" „კუალად მოვიდა არღუნ ივნისსა შინა, მოაოჭრა სამცხე და მოადგა ციხისჯუარს" (გვ. 218).

ნარიანი, ველი. „აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაც დგების ზაფხულს ცხოვართა და პირუტყუთა სიმრავლე, ვიდრე **ტბის-**

ყურამდე, ადგილსა ვაკეს და შუენიერისა, დის **ქცია** საშუალს ნარიანისა, კალმახით სავსე (იტყჳან ტბის-ყურისას თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინადთგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციდამ და აწ უქმი არს" (გვ. 347).

„ახალქალაქიდამ დის ქცია სამჴრით დაბის ქციისადმი" (გვ. 321).

ნარიანი (ქცია) გამოსდის შარვაშეთის მთასა, გამოიჳლის **ნარიანს, თრიალეთს, ქცის ჴრამსა** და მიეროვის **ხუნანს** მტკუარს" (გვ. 318).

ცხრაწყარო, „კუალას ცხრაწყაროს სამჴრით არს მთა" (გვ. 318).

ბაკულიანი, „ესე კოდიანის მთა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარმოვალს **ბაკულიანიდამ** და **ჭობის-ჴევიდამ** და მოვალს **კოხტის თავამდე,** მერმე დამდაბლდების და დასწყდება ნიჴგორის ზეით ჴრამზედ" (გვ. 762).

ტოპონიმთა ნაწილი, რომლებიც სამხედრო რუკებზეა მოხვედრილი, არ ჩანს ვახუშტის ნაშრომში, ეს გასაგებიცაა - ვახუშტის შრომა შეიქმნა XVIII საუკუნეში, სამხედრო რუკები XX საუკუნის მეორე ნახევარში. აღნიშნულ ტოპონიმიას (როგორც მაკრო, ისე მიკროტოპონიმიას), რომელიც არ ჩანს ვადარებთ ჩვენ მიერ 1973-80 წლებში ჩაწერილ ბორჯომის ხეობის ტოპონიმიას: თეთრა ღელე, მცირე მდინარე (რველი, ლიკანი), ჭინჭარაულის წყალი, მდინარე ნასოფლარ ბანისხევში, გამოდის რველში და ეროვის მტკვარს.

ქექიის მთა, დიდი მთაა, კორტანეთის სამხრეთით;

ლომის მთა, ქვაბისხევის დასავლეთით, ზედ გადადის იმერეთის გზა;

ბანისხევი, ნასოფლარი; მდინარე (ბანისხეულა), (რველი);

პანტნარის ველი, პანტნარი, ტყე, ველი (ზანავი, რველი);

სოჭიანის თავი, გორა, მთა (რველი, ზორეთი);

შავი სერი, მთა ტყე (ბორჯომი);

ქათქათის წყალი, მთა, მდინარე (ახალდაბა, ნეძვი);

გვირგვინის წყალი, მცირე მდინარე (ახალდაბა, ნეძვი);

წიფლარის წყალი, მცირე მდინარე (ახალდაბა, ნეძვი);

სამეცხვარიო, ასეთი ტოპონიმი ბორჯომის ხეობაში არ ჩანს.
მელრუკის გზა, გზა მიდის მთაზე (დვირი);
ვარდგინეთი, სოფელი (ბორჯომის რ-ნი);
სამოსლის კიდი თავიმთა, მთა (ბორჯომის ხეობა);
პანტნარი, ველი, მინდორი, სახნავი (ტბა, ბაკურიანი);
ბორჯომი, ქალაქი;
ყვიბისი, სოფელი (ბორჯომის რ-ნი);
ყვიბისის წყალი, მდინარე (ყვიბისი);
ფიქლის ღელე, ღელე (ზორეთი);
ფიქალა, საძოვარი, კლდე (ვარდგინეთი, ზორეთი, სადგერი, პატარა ცემი);
დათვის მთა, მთა (ტაძრისი);
ყვირილების კლდე (დვირი);
ხერგიანის მთა (ზორეთი);
დვირულების ღელე (დვირი);
ყვიბისის სერი, მთა (ყვიბისი);
კვისინეთის ღელე, ღელე (ქვაბისხევი);
ჩითახევი, სოფელი, ჰესი;
ოჭივარა, მთა (ბორჯომი, კორტანეთი);
წრუწუნის ღელე (წრუპუნას ღელე) (ზორეთი);
მშრალი ღელე, ღელე (დვირი, წაღვერი, ბორჯომი);
ქვაბისხევი, სოფელი;
დაბა, სოფელი;
ჩარხისწყლის უბანი, უბანი (ბორჯომი);
რევაზის ნახნავები თუ რეიზის ნახნავები (ბორჯომი);
ტბა, საძოვარი (წაღვერი, ტაძრისი, მზეთამზე);
პატარა ოჭივარა, მთა (კორტანეთი, ბორჯომი);
დალაქის ღელე, ღელე (ზორეთი);
პიკელას ღელე?
ზორეთის წყალი, მდინარე (ქვაბისხევი, ზორეთი);
ლარები, დასახლება, რკინიგზის ჩიხი (ჭობისხევი);
ბორჯომულა, მდინარე (ბორჯომი);
ტბა, სოფელი;
ცემი, სოფელი, სანატორიუმი;

წაღვერი, დაბა;
მზეთამზე, სოფელი;
წითელი კლდე, კლდე (დვირი);
პატარა ხევი?
ლიბანი, სოფელი, სანატორიუმები;
ნიკოლოზის სერი, მთა (ლიკანი);
წეროს ტბა, ტბა (ნასოფლარი დაბაძველი);
მისაქციელი (მისაქცევი) (თორი, ბაკურიანი);
დარბაზევი, ნასოფლარი (თორი);
საკოჭავი, ნასოფლარი (ბაკურიანი, დიდი ცემი);
კაპნის ღელე, ღელე (ზანავი);
მოქცევი, ნასოფლარი, (ზორეთი, ქვაბისხევი);
დვირის თავი, მთა (დვირი);
დგვარი, სოფელი;
კახის(ის) ტბა, ნასოფლარი, ტბა, (ჭობისხევი);
ნარუჯები, სათიბები (თორი, ჭობისხევი);
მრგვალი სერი, მრგვალტიტველიანი (კორტანეთი);
ყურუსები, ყურუმსები, ნასოფლარი (ბაკურიანი);
ტაძრისი, სოფელი;
საკირულა, მდინარე ტაძრისსა და საკირეს ჰყოფს;
კაზაჩი (კაზახები) სათიბები (ტაძრისი);
ბაკურიანის ანდეზიტი, დაბა, სამთამადნო კარიერი (ბაკურიანი),
სადგრის დროებითი ბინები?
ვოლიერი, მელიების ჯიშთაშენი (ბაკურიანი);
კიბია, მთა?
გუჯრის ხევი, ხევი (ტაძრისი);
ხრამისხევი (ხრამი ხევი), ხევი (საკირე);
სალეშიანი (სარეშიანი) ღელე (საკირე);
კუმისის წყალი?
კარტოფლული, მთა (ციხისჯვარი);
ბებერას სერი, მთა (სარმანიშვილისკარი);
ნეძვის წყალი, მდინარე (ნეძვი, ახალდაბა);
პატარა ქართა, მთა (ნეძვი, ბაკურიანი);
ქექიას წყალი, მდინარე (ბორჯომის ხეობა);

ელიობის სერი, მთა (ხანავი);
ხერგულების წყალი, მდინარე (ბორჯომის ხეობა);
ქართის წყალი (ქარტის წყალი), მდინარე (ახალდაბა, ნეძვი);
დიდი ქართა, მთა, ნასოფლარი (ჭაჭარაქი);
შუანოს მთა (შუამთა) (ვარდგინეთი);
მესხის წყალი, მდინარე, გზა (ბეშეთი);
ტყემლოვანის წყალი (ვარდევანი, მაჭარწყალი);
გვირგვინა, მთა (წალვერი);
აბუხალო, მთა (ოდეთი, გუჯარეთი);
ველი, საძოვარი (წალვერი, ტაძრისი);
წინუბანი, (სოფელი);
ბარსორდჯვარი, ამაღლებული მთა (წითელსოფელი, ოდეთი, გუჯარეთი);
პატარა მიტარბი, სოფელი;
თელოვანი (თელვანი) ნასოფლარი (კიმოთესუბანი, რველი);
მაჭარწყალი, სოფელი;
ტყემლოვანი, ნასოფლარი (ვარდევანი, მაჭარწყალი);
გვერდისუბანი, სოფელი;
ხეთიშობელი, სოფელი;
ოდეთი, სოფელი (ვახუშტისთან ედოთი);
მურუნევი, მურუნარი, ტყე (ხანავი);
კლიკისჯვარი?
კურცხალა, მთა (ვარდევანი, გვერდისუბანი, მაჭარწყალი);
ვარდევანი, სოფელი;
ღინტური, სოფელი;
წითელსოფელი, სოფელი;
ტრამპლინი, საციგურაო, სახტომი მთა;
დიდი მიტარბი, სოფელი;
დიდი თიონეთი, ნასოფლარი (ღინტური);
დიდი ტუსრები, ნასოფლარი (წითელსოფელი);
კოხტაგორა, სპორტული შეჯიბრის მთა (ბაკურიანი);
შჩირკულ, დიდი ფერდა (დიდი მიტარბი);
კენჭიყარია, მდინარე (დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი);

საბატკნევი, საბატკნე (მაჭარწყალი, კიმოთესუბანი, ვარდევანი, გვერდისუბანი, დიდი მიტარბი);

ქვაჯვარა, უღელტეხილი (თონეთი, ღინტური);

პატარა ტუსრები, ნასოფლარი (წითელი სოფელი);

საყველის მთა (ყველის მთა), მთა (ბაკურიანი);

ცხრაწყარო, უღელტეხილი (ბაკურიანი);

უდაბნო, საძოვარი (ბაკურიანი);

თავკვეთილა, მთა (ტაბაწყური);

ტაბაწყური, სოფელი, ტბა;

ვახუშტის ცალკე აქვს მოცემული ხეობის სოფლების ჩამონათვალი:

ჯეობაში:

1. სარმანიშვილისკარი
2. ახალდაბა
3. ნეძვი
4. ქიმერეთი
5. კორტანეთი
6. ზანავი
7. რვილი
8. ყვიბისი
9. სავანისხევი
10. ეშმაკოუბანი
11. ნუა
12. ნადაბური
13. თორი
14. ციხისჯვარი
15. კარნიგომი
16. შუაუბანი
17. ვარდისოფელი
18. ფაფა
19. ჭალა
20. ლიკანი
21. ყვერბილი
22. ჭობისხევი

სადგრის ჯეობა:

1. სადგერი
2. დაბა
3. თედიაანთუბანი
4. წაღვლი
5. შუღლთუბანი
6. უზნარიანი
7. კიხოთისმანი
8. გოგოს უბანი
9. ეკლობანი
10. ყერძენი
11. კეცხოველი
12. ზეამზია
13. ბაკულიანი
14. ცცემი

გუჯარეთის ჯვობა:

1. ბაგინეთი
2. გულსუნდა
3. გუჯარეთი
4. ედოთი
5. კუწათუბანი
6. ჩდილისუბანი
7. სხალნარი
8. მომწვარა
9. სარბიელა
10. გომარეთი
11. წყაროსუბანი
12. მიტარბი
13. მეკოჟური
14. რუისი
15. ლელისუბანი
16. ღინტური

აქ მოხმობილი ტოპონიმებიდან დღეს ცალკე სოფლებად აღარაა და არც რუკებზეა მოცემული: ბაგინეთი, გულსუნდა, კუწათუბანი, ჩდილისუბანი, სხალნარი, მომწვარა, სარბიელა, გომარეთი, წყაროსუბანი, მეკოჟური, რუისი, ლელისუბანი, ნექვი, ქიმერეთი, ეშმაკთუბანი, ნუა, ნადაბური, სავანისხევი, თორი, კარნიგომი, შუაუბანი, ვარდისსოფელი, ფაფა, ჭალა, ყვერბილი, თედიაანთუბანი, შულლათუბანი, უზნარიანი, კიხოთისმანი, გოგოს უბანი, ეკლობანი, ყერძენი, კეცხოელი, ხეამზირა (გვ. 34).

ამათგან: ეშმაკთუბანი, ნუა, ფაფა, ჭალა, ლიკანი – დღევანდელი ბორჯომის შემადგენლობაშია. სავანისხევი შეუერთდა ახალდაბას. კეცხოელი (დღევანდელი კეჩხობი) წაღვერის შემადგენლობაშია. ბგერობრივად შეცვლილია: ბაკურიანი – ბაკულიანი, რველი-რვილი, წაღვერი-წაღველი, მზეთამზე-ხეამზია, ცემი-ცცემი, ოდეთი-ედოთი.

ვახუშისტთან არ დასტურდება შემდეგი სოფლები: საკირე, ტაძრისი, დგვარი, ლიბანი, ტბა, ჩითახევი, ქვაბისხევი, წითელსოფელი, ვარდევანი, მაჭარწყალი.

ჩვენ მიერ ჩაწერილ ტოპონიმიაში არ ჩანს სამხედრო რუკებზე დაფიქსირებული შემდეგი ტოპონიმები:

სამეცხვარიო,

სამოსლის კიდის თავი, მთა;

წრუწუნის ღელე, შესაძლებელია, ეს არის წრუპუნის ღელე (ზორეთი);

პიკილას ღელე, ღელე, კიბია, მთა;

კუმისის წყალი, მდინარე;

სადგრის დროებითი ბინები, პატარა ხევი;

კლიკის ჯვარი, ეკლესია;
რევაზას ნახნავები.

რუკაზე ზოგი ტოპონიმი სწორად არ ჩანს აღნიშნული

მისაქციელი, უნდა იყოს მისაქცევი (თორი. ბაკურიანი);
დარბაზევი, დღეს არის დარბაზები, ნადარბაზევი (თორი);
კახისტბა, უნდა იყოს კახისის ტბა (ჭობისხევი);
ყურუსები, უნდა იყოს ყურუმსები (ბაკურიანი);
კაზაჩი, უნდა იყოს კაძახები, სათიბები (ტაძრისი);
ქართის წყალი, ახლა არის ქარტის წყალი (ახალღაბა, ნეძვი);
საბატკნევი, დღეს არის საბატკნე (დიდი მიტარბი);
საყველის მთა, დღეს არის ყველის მთა (ბაკურიანი).

გამოყენებული ლიტერატურა:

თ. ლომოური, 1941 - თ. ლომოური,ნ. ბერძენიშვილი, „ვახუშტი", თბ., 1941.

ქართლის ცხოვრება, 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

SERGO MELIKIDZE

BORJOMI GORGE TOPONYMY IN " A DESCRIPTION OF THE KINGDOM OF GEORGIA" BY VAKHUSHTI BAGRATIONI AND ON THE RUSSIAN MAPS

Summary

Vakhushti Batonishvili is the greatest scientist of the XVIIIc. His work "A Description of the Kingdom of Georgia" is the most significant one to study the peculiarities of Georgian geography and history, ethnography and the Georgian language. .It is also interesting to specify and clarify a lot of issues in the history of the people of South Caucasus.

The work also deals with the toponymy of South Georgia (Samtskhe). Great attention is paid to the toponymy of Borjomi gorge. A lot of toponyms described by Vakhushti are not met today, some are omitted It means that they were established later. The analysis of the work makes us think that maybe the author hadn't been to some places because of the situation of that period.

Some language inaccuracies are seen on Russian military maps of the XXc. Some of them are not given on the maps, others are difficult to localize and so on.

გლობალიზაცია, როგორც ინტეგრაციული უნივერსალიზმი

„ევროპის მოქალაქე, ეროვნებით
ფრანგი, წარმოშობით ბულგარელი,
მსოფლმხედველობით ამერიკელი...“
(Julia Kristeva, Diversité, C'est ma dévise, p.5)

ჟულია კრისტევას ეპიგრაფის სახით ‘ხემოთმოყვანილი ციტატა საუკეთესო მაგალითია კოსმოპოლიტიზმისა, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისში ძალიან მოდაშია. კოსმოპოლიტიზმის ცნება ნიშნავს ეროვნული თვითმყოფადობის, სუვერენიტეტის უარყოფას და „მსოფლიო სახელმწიფოს“, „მსოფლიო მოქალაქეობის“ შექმნის იდეის ქადაგებას. იგი მრავალი ცნების – გლობალიზაციის, უნივერსალიზმის, მულტიკულტურის, პლურალიზმის, იმპერიალიზმის და ა. შ. სინონიმადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ბეკი ამბობს (ბეკი, 2007:26), ყველა ეს ცნება შეიცავს ერთ საერთო ელემენტს – კოსმოპოლიტიზმის ცნებას, თუმცა მათ შორის განსხვავებაცაა. კოსმოპოლიტიზმს აქვს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც წარსულშიც არის და ამავე დროს ორიენტირებულია მომავალზე. იგი ერთდროულად პრე და პოსტნაციონალური კონცეფციაა და გამოყენებულია მონდიალიზაციის შესახებ კამათებში, როგორც სახელმწიფოების დადებითი საპირწონე ცნება საბაზრო ორგანიზაციაში.

გლობალიზაცია, რომელსაც ფრანგები მონდიალიზაციას უწოდებენ, კაცობრიობის ისტორიაში არ არის ახალი მოვლენა, უბრალოდ გამოყენებულია ახალი ტერმინი იმ პროცესების აღსანიშნავად, რაც მსოფლიოში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და რისი მაგალითიც ბევრია ისტორიაში. ადამიანი თავისი ბუნებით ცნობისმოყვარეა და სწორედ ეს აიძულებდა მას გადაელახა მისი კუთვნილი საზღვრები და ენახა, რა ხდებოდა მისი თვალსაწიერის მიღმა, გაეზიარებინა

ის საერთო, რაც მას აქვს, გადმოელო ის, რაც მოსწონს ან უარეყო ის, რაც არ მოსწონს. ამრიგად, გლობალიზაციის შექმნის საფუძვლები უნდა ვეძებოთ სამყაროს შექმნის დღიდან. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები გრძნობდნენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნით სხვადასხვა სახის გაერთიანებისა და ურთიერთობის დამყარების საჭიროებას.

დეფარეის მიხედვით (დეფარე, 1997:8–26), ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, დღევანდელ გლობალიზაციას ხელი შეუწყო სამყაროს ევროპეიზაციამ, კერძოდ კი შემდეგმა სამმა მოვლენამ: პირველ რიგში, ეს არის ისეთი რელიგიები, როგორიცაა – კონფუციანიზმი და დაოიზმი, ბუდიზმი და ჯაინიზმი (ინდური სექტა), მაზდეიზმი და ზოროასტრიზმი ირანში, ებრაელთა წინასწარმეტყველური მოძრაობა, ორფიზმი, ვაკხური კულტი და პითაგორიზმი საბერძნეთში. ეს ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად იზოლირებული ადამიანები და ხალხები ქმნიან ჯგუფებს და საზოგადოებებს, მყარდება კავშირი ჩინურ, ინდურ, სპარსულ, ხმელთაშუა ზღვის სამყაროებს შორის, იფურჩქნება უნივერსალიზმი და სწორედ ამ უნივერსალიზმიდან ყალიბდება სამი რელიგია. იუდაიზმი – ეთნიკური რელიგია, საიდანაც წარმოიშვა რელიგიური ქრისტიანობა, როგორც ერთ-ერთი სექტა; შემდეგ კი გავრცელდა რომის იმპერიაში, საბერძნეთში და ა.შ. დიდი აღმოჩენების დროს, ევროპელებს შეეძინდათ თავიანთი რელიგია აღმოჩენილ ტერიტორიებზე. დღეისათვის ქრისტიანობა დაყოფილია კათოლიკურ, პროტესტანტულ და ორთოდოქსულ რელიგიებად და გავრცელებულია დედამიწის ხუთივე კონტინენტზე.

მეორე რელიგია – ისლამი, VII საუკუნის ეთნიკური რელიგიაა და ისიც უნივერსალური რელიგიაა. XX საუკუნეში ისლამი უკვე გავრცელებულია ატლანტის ოკეანიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. მისი უნივერსალურობა მის დოგმათა სიმარტივიდან მომდინარეობს.

მეორე, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციას, არის იმპერიები. თუ მოხოთეიზმი ცდილობს გააერთიანოს კაცობრიობა ერთი ღმერთის ქვეშ, იმპერიებს სურთ ხალხის გაერთიანება ერთი ხელისუფლების ქვეშ. იმპერიულ სტრუქტურებს აერ-

თიანებს ერთი უნივერსალური ამბიცია – მრავალფეროვნებისა და გაერთფეროვნების ერთდროული თანაარსებობა. ალექსანდრე დიდი ცდილობს შექმნას უნივერსალური იმპერია, დაწყებული საბერძნეთიდან დამთავრებული ინდოეთით. რომი სამაგალითო იმპერია იყო თავისი მტკიცე წესრიგით, დაცული ლეგიონერების მიერ; რელიგიები და კულტურები ემყარებოდა ლათინურ ცივილიზაციას და ბერძნულ სინატიფეს, დასავლურ ცოდნას და აღმოსავლურ მისტიციზმს. ეს ყველაფერი თანაარსებობდა, ერეოდა და ამდიდრებდა ერთმანეთს. რომის იმპერატორის – კარაკალას 212 წ. ედიქტის თანახმად, იმპერიის ყველა მცხოვრები მიიღებდა რომის მოქალაქეობას, რაც უნივერსალურ მოქალაქეობას წინასწარმეტყველებდა. მაგრამ, გარკვეული დროის შემდეგ, იმპერიები ვეღარ ახერხებენ გაფართოებას, პირიქით, კარგავენ ტერიტორიებს და ექცევიან კონკრეტულ საზღვრებში. მაგალითისთვის საკმარისია თვით რომი და მისი საზღვრები და ჩინეთის კედელი.

მესამე, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციას, არის დიდი აღმოჩენები და პლანეტათაშორისი პირველი კავშირები. ახალი მიწის აღმოჩენა ნიშნავს, რომ აღმომჩენმა ქვეყანამ შექმნას ახალი საყოველთაო სივრცე, დაარქვას სახელი, შექმნას მისი სტრუქტურები თავისი იდეებისა და რწმენის მიხედვით. ამერიკა, აღმოჩენამდე, მოწყვეტილი იყო სხვა სამყაროს, თუმცა ჰქონდა მაიას, აცტეკების, ინკების და ა.შ. ტომების ექსტრაორდინარული კულტურა, რაც განადგურდა ევროპელებთან შეხვედრის შემდეგ. ოქროს მაძიებლებმა გაანადგურეს აცტეკებისა და ინკების იმპერიები, შეიტანეს რა გამანადგურებელი მიკრობები. მოსახლეობისაგან დაცლილი ჩრდილო ამერიკა დარჩათ ინგლისელებს, სამხრეთ ამერიკა კი ესპანეთსა და პორტუგალიას. XVIII საუკუნეში წარმოიშვა აშშ ბრიტანეთის წინააღმდეგ აჯანყების შედეგად და იგი განზე განუდგა ევროპას. XIX საუკუნის დასაწყისში კი ლათინური ამერიკის, ესპანეთისა და პორტუგალიის გავლენით განიმსჭვალა თავისუფლებისა და პროგრესის ევროპული იდეებით.

ქრისტეფორე კოლუმბმა გადალახა აბრეშუმის გზა და მიაღწია კარიბის ზღვის კუნძულებს, ჰენრი ლე ნავიგატორმა მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია და მიაღწია კეიპტაუნს, ვასკო დე გამამ კი კეთილი იმედის კონცხს, მაგელანმა პირველმა იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. მთელი XVI საუკუნის განმავლობაში მყარდება ტრანსატლანტიკური და ტრანსპასიფიკური პირველი კავშირები, ევროპელები მეტ-ნაკლებად იჭრებიან აფრიკის კონტინენტის სიღრმეში და აფრიკა იწყებს აყვავებას, რუსებმა გადაკვეთეს ციმბირი. XIX საუკუნეში იწყება ინდუსტრიულ-დემოგრაფიული რევოლუციები. დედამიწა მოიცვა იმ ახალმა დინამიკამ, რომელიც ევროპელების მიერ შექმნილი და ფორმირებული იდეების მატარებელია. და ბოლოს, კოლონიური იმპერიები, სადაც კოლონიზატორებს შეჰქონდათ თავიანთი ღირებულებები და საქმიანობა. XX საუკუნის 40-70-იან წლებში მიმდინარეობს კოლონიური იმპერიების დეკოლონიზაცია, თუმცა კოლონიამდელ სამყაროს ვერ უბრუნდებიან, რადგან სახელმწიფო მოწყობა ევროპულია. ასობით ახალი სახელმწიფო, ასობით მილიონი ადამიანი ხდება გაერთიანებული სამყაროს ისტორიის ნაწილი.

არ შეიძლება იმ დიდი წვლილის უარყოფა, რაც გაერომ, ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ შეიტანა გლობალიზაციის პროცესის დაწყებაში. მაგრამ, მანამდე თვალი გადავაყოლოთ, მთელი საუკუნეების მანძილზე საფრანგეთის მცდელობას გაერთიანებული ორგანიზაციების შესაქმნელად. ჯერ კიდევ 1310 წელს პიერ დუბუა, ფილიპე ლამაზის ლეგისტი (კანონთმცოდნე), ცდილობდა დაეარსებინა ქრისტიანთა რესპუბლიკა და სამედიატორო სასამართლო; 1693 წელს ვ. პენი აქვეყნებს ესეს „ახლანდელი და მომავალი ევროპის მშვიდობა", რომლის საფუძველიც უნდა იყოს ევროპის პარლამენტი, ხოლო ფრანგული – როგორც ევროპული ენა; 1851 წელს ვიქტორ ჰიუგო ლაპარაკობს ევროპის გაერთიანებულ შტატებზე; 1925 წელს ედუარდ ჰერიო აქვეყნებს მნიშვნელოვან წიგნს „ევროპა"; 1926 წელს გასტონ რიუ ქმნის ევროპის ეკონომიკურ და საბაჟო გაერთიანებას და აქვეყნებს პუბ-

ლიკაციას „ევროპა, ჩემი სამშობლო"; 1927 წელს ლუი ლუშერი აფუძნებს ქვანახშირის, ფოლადის, მარცვლეულის ევროპულ კარტელებს მთავრობების მხარდაჭერით; 1929 წელს არისტიდ ბრიანს წინადადება შეაქვს ერთა ლიგაში ევროპის გაერთიანებული შტატების პროექტის შესაქმნელად, იგულისხმება ფედერალური კავშირი და ეკონომიკური თანამშრომლობა. აი, ის მოკლე ჩამონათვალი, რაც ნათელს ხდის ევროპის, კერძოდ საფრანგეთის ძლიერებას და წარმოიდგინეთ ევროპის მდგომარეობა, როცა II მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი აღმოჩნდა ევროპის გარეთ, აშშ-ი. უნდა ითქვას, რომ ამერიკის დახმარებით ევროპა სწრაფად დადგა ფეხზე, მაგრამ საფრანგეთმა ვეღარ დაიბრუნა ის ძალაუფლება, რაც მას ომამდე ჰქონდა და ვეღარ გახდა ისეთი ზესახელმწიფო, როგორც აშშ-ია.

გაეროს შექმნის იდეა ეკუთვნოდა სსრკ-ის, აშშ-ის და ინგლისის მთავრობებს. მათი კონსულტაციების შედეგად მოწვეულ იქნა 50 ქვეყნის კონფერენცია და შემუშავებულ იქნა წესდება 1945 წელს, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 24 ოქტომბრიდან. გაერო არ ფლობს სუვერენიტეტს, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. მისი მიზანია დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და განავითაროს მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, დაიცვას ადამიანთა უფლება ეროვნების, ენის და სარწმუნოების მიუხედავად. მისი ძირითადი ორგანიზაციებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; გაეროს ჰყავს გენერალური მდივანი და აქვს სამდივნო. თუმცა დღეს მისი სიცოცხლისუნარიანობა დაბალია საერთაშორისო ორგანიზაციებთან შედარებით.

ევროკავშირი ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო გაერთიანებაა. იგი შედგება სამი ორგანიზაციისაგან – ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებებისაგან და ევროპის ატომური ენერგიის, ე.წ. ევრატო-

მის კომისიისაგან, რომლებიც შეიქმნა პარიზსა და რომში. 1957 წლის რომის ხელშეკრულებით შეიქმნა ევროპის გაერთიანება (მექვაბიშვილი, 2002:20), ხოლო 1991 წლის მაასტრიტის ხელშეკრულებით ევროგაერთიანება გადაიქცა ევროკავშირად, ანუ, როგორც დავითაშვილი წერს (დავითაშვილი, 2003:316), ზესახელმწიფოებრივ, სუპერნაციონალურ ორგანიზაციად.

ევროკავშირი ხასიათდება სახელმწიფოს მსგავსი თვისებებით და ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების რთული კომპლექსი. ექვემდებარება ანგარიშვალდებულების მრავალგვარ ფორმას, მაგრამ არ გააჩნია სრულყოფილი კონსტიტუციური დაწესებულება, ან მოქალაქეობის ლეგიტიმაციის უფლება. ეს კავშირი ახდენს „მართვას მთავრობის გარეშე" და ახორციელებს „სახელმწიფოებრიობას სახელმწიფოს გარეშე" (ჰერსტი, 2005:270).

ევროკავშირის ეკონომიკური მართვა დაკავშირებულია მისი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებასთან, თუმცა დგას სირთულეების წინაშე. პირველი და მთავარი ის არის, რომ იგი ისეთი ახლებური სტრუქტურაა, რომლის მსგავსი არსებულ პოლიტიკურ მოდელებში ჯერ არ ყოფილა და მისი განვითარებისათვის სამაგალითო ანალოგი არ არსებობს; მეორე – წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ სისტემებში, სოციალურ სტანდარტებსა და პოლიტიკურ ინტერესებში უზარმაზარი განსხვავება შეინიშნება. კავშირი არ არის და არც იქნება ერი–სახელმწიფო მხოლოდ მისი გაფართოების გამო. მისი განვითარება შეუძლებელია მოხდეს ცენტრალიზებული ფედერალური სახელმწიფოების სახით, როგორც აშშ-ია (ჰერსტი, 2005:267).

ევროკავშირი ერთდროულად ქვემოდან განვითარებული და ქვემოდან რთული სტრუქტურის მქონე მთავარი სავაჭრო ბლოკთაგანია. ევროკავშირის, იაპონიისა და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონის ტრიადა ამჟამად დომინირებს მსოფლიო ეკონომიკაში (ჰერსტი, 2005: 264). ევროკავშირს აქვს საკუთარი დროშა და ჰიმნი.

ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო ევროპარლამენტია. ევროპარლამენტის კომპეტენციაში შედის: ბიუჯეტის

მიღება, დადგენილებების, დირექტივებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, კონტროლი კომისიის საქმიანობაზე, პოლიტიკური ფორუმების მოწვევა.

ევროსაბჭო შეიქმნა 1945 წლის 5 მაისს ევროპის მემკვიდრეობის, იდეების, პრინციპების დასაცავად და სოციალური და ეკონომიკური სფეროების ხელშესაწყობად.

ევროსაბჭოს შექმნის იდეა ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1943 წელს წამოაყენა, ხოლო 1946 წელს მან წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა ციურიხში, რომელშიც შთააგონებდა საფრანგეთსა და გერმანიას შეექმნათ ევროპის შეერთებული შტატები.

ევროსაბჭოს მიზნებია წევრ-სახელმწიფოთა შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, მათი იდეალებისა და პრინციპების უზრუნველყოფა, ევროპის გარდაქმნა დემოკრატიულ და უშიშროების სივრცედ, პლურალისტური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა, ევროპული თვითშეგნების განვითარება ევროპული კულტურის იდენტურობის ფორმირებისათვის, ასევე თანამშრომლობა სამართლის, კულტურის, განათლების, ინფორმაციის, გარემოს დაცვის სფეროებში.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ერთიანი კულტურის, ეკონომიკის, ენისა და სახელმწიფოს ცნება ახალი არ არის და ყოველ ისტორიულ პერიოდს ახასიათებდა ისეთი იდეოლოგია, რომელიც გლობალიზაციის მიზნებს ემსახურებოდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში (დავითაშვილი, 2003:183-185) გლობალიზაციის ცნება, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში და ამ ტერმინით აღნიშნა ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ფენომენი. გლობალიზაცია ფართო მნიშვნელობით 1990 წლიდან იხმარება და იგი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გაუქმებას გულისხმობს. დღეს გლობალიზაციის ცნება გაფართოვდა და მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებსაც.

XX საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერები და სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ფაქტორებს მათი როლის დასუსტებისა და შემცირების გამო. ეროვნული საზღვრების მოშლა მიუთითებს, რომ მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი ერთიანობისკენ და ხდება გლობალიზაცია. ამიტომ ტერმინი „საერთაშორისო" იცვლება გლობალიზაციით, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის ცნება იცვლება „მსოფლიო პოლიტიკის" ცნებით, საიდანაც წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი ცნება „მსოფლიო მოქალაქე".

გლობალიზაციის მთავარი ნიშანია სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლა. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება ნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს და ამიტომ, გლობალიზაცია და ნაციონალიზმი მთავარი დაპირისპირებული ძალებია თანამედროვე ეპოქაში.

გლობალიზაცია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს მრავალი სახით იჩენს: იქნება ეს საკომუნიკაციო სისტემა, თუ სხვადასხვა კომპანიების, ასოციაციების, სააგენტოების სწრაფი ზრდა, გლობალური ეკოლოგიის პრობლემები, გლობალური საწარმოები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სამხედრო სფეროში საკონტინენტოთაშორისო ბალისტიკური რაკეტები თუ სადაზვევო სატელიტები; „გლობალიზაციური ნორმები" მართავენ ჩვენს ცხოვრებას და XXI საუკუნის ადამიანი ხდება „მსოფლიო მოქალაქე" (დავითაშვილი, 2003:195-196).

თუმცა, გლობალიზაციასაც აქვს შეზღუდვები და ჩარჩოები. იგი არც ისეთი გლობალურია, როგორც ჩანს, არც ერთნაირი ინტენსიფიკაციით არ მიმდინარეობს ყველგან, მაგ., განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. იგი ვერ შეცვლის იმ უთანასწორობას და განსხვავებას, რაც მსოფლიოს ქვეყნებს, რეგიონებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებობს. მისი გაიგივება საყოველთაო კეთილდღეობასა და დემოკრატიასთან

გადაჭარბებულია (დავითაშვილი, 2003:198-199). 90-იან წლებში დიდი პრობლემა შექმნა არშემდგარ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდამ, კვაზი-სახელმწიფოებმა, სადაც ირღვეოდა მოქალაქეთა უფლებები. ამის გამო გლობალიზაციის ეპოქაში დღის წესრიგში დადგა: ეროვნული, რელიგიური და ა.შ. უფლებების დაცვა, მსოფლიო მოქალაქეობა და ნეომედიევალიზმი, ანუ იდეალური პოლიტიკური წესრიგი. ამ მოდელის მიხედვით სახელმწიფო თავისი ძალაუფლების ნაწილს გადასცემს საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც დაკავდებიან გლობალური პრობლემებით, ხოლო ნაწილს – შიდა რეგიონებს, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები, ეთნოკულტურული თუ რელიგიური განსხვავებები. სახელმწიფო ინარჩუნებს ძალაუფლების 1/3-ს და მოქალაქეები ვალდებულნი არიან მის წინაშე და დარჩენილი ძალაუფლება კი გადანაწილდება საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ე.ი. სახელმწიფო აღარ იქნება დომინანტი ერთეული (დავითაშვილი, 2003:375).

მთელი მსოფლიოსაგან განსხვავებით ფრანგები გლობალიზაციას უწოდებენ მონდიალიზაციას, რადგან მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია ამერიკული მოვლენაა, ხოლო ამერიკა – ჰეგემონი ქვეყანა. როგორც ალბერი ამბობს (ალბერი, 2007:18), პოლიტიკურად და კულტურულად მონდიალიზაცია იყო და დარჩა ამერიკული, მაგრამ ეკონომიკურად სამყარო არ არის ამერიკაზე დამოკიდებული, რადგან სამყაროში იკვეთება ძლიერი რეგიონალური, გამძლე ეკონომიკა და სწორედ ამ ახალი ეკონომიკური სამყაროს დინამიკაა გასაანალიზებელი, რათა ევროპულმა ქვეყნებმა, და განსაკუთრებით საფრანგეთმა, იპოვონ ის ადგილი, რაც მათ უნდა დაიკავონ. მისივე აზრით, მონდიალიზაციის პროცესის საწყის პერიოდად ითვლება ცივი ომის დასასრული, ბერლინის კედლის დაცემა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება.

ვოლტონი (ვოლტონი 2005:53) მონდიალიზაციის ცნებას უკავშირებს ფრანკოფონიას და ფრანკოფონია ფრანკოფონიიდან გადაჰყავს ფრანკოსფეროში, რადგან იგი არ შემოისაზღვრება

მხოლოდ აფრიკით და აფართოებს თავის წრეს და ინტერესთა სფეროს. მონდიალიზაციის დაწყების დღიდან ფრანკოფონია გადავიდა ენიდან კულტურაზე, კულტურიდან პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე. იგი მიისწრაფვის უნივერსალიზმისაკენ.

ფრანკოფონია თავისი არსებობის დღიდან იყოფა სამ ეტაპად: 1. I ეტაპი მოიცავს პერიოდს XVII საუკუნიდან XX საუკუნამდე და იგი შეესაბამება ფრანკოფილიას – იგულისხმება ყველა, ვისაც უყვარს საფრანგეთი და ფრანგები და მხარს უჭერს საფრანგეთის პოლიტიკას; 2. II ეტაპი გრძელდება 1970 წლიდან 2005 წლამდე და იგულისხმება თანამედროვე ფრანკოფონიის დაარსება, მისი დამაარსებლები და მისი ინსტიტუტები; 3. III ეტაპი კი იწყება 2005 წლიდან და გულისხმობს გლობალიზაციის პროცესში დაწყებულ ახალ ფრანკოფონიას, რომელსაც უწოდებენ ფრანკოფონიულ მონდიალიზაციას და იგი საკმაოდ ანგარიშგასაწევი რეალობაა. ეს უკანასკნელი უპირისპირდება გლობალიზაციას და მისი დევიზია – ფრანკოფონია ხდუდებს მიღმა, ხოლო მიზანი – ფრანკოსფეროს შექმნა. ასეთი ფრანკოფონია იაზროვნებს ფრანკოსფეროს ტერმინებით, შექმნის უფრო ეფექტურ შიდა ორგანიზაციებს, სამყაროს შეხედავს სხვა მსოფლმხედველობით, შესასწავლ ენათა რაოდენობას გაზრდის სამამდე, უფრო ყურადღებიანი იქნება დიასპორის მიმართ. ერთი სიტყვით, უნდა შეიქმნას ფრანკოფონიის ახალი რუკა ახალი მოკავშირეებით და თანამშრომლობით, მრავალმხრივი დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი ფრანკოფონიული მოდელით, რომელიც თავიდან აიცილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელთან მჭიდრო სიახლოვეს. საკომუნიკაციო სიმბოლოდ აღიარებულია არა მხოლოდ ენა, არამედ ცეკვაც, სიმღერაც, სპორტიც და, საერთოდ, შემოქმედება. ამ ახალ ფრანკოფონიას ექნება გენერალური შტატები, რომლის მიზანი იქნება არა მარტო ჩრდილოეთ/სამხრეთის, არამედ აღმოსავლეთ/დასავლეთის დაახლოება. გენერალური შტატები იმუშავებს სამი პრივილეგირებული მიმართულებით: 1) უნდა გადაილახოს კლასიკური კაპიტალისტური სქემის მოდელი. საჭიროა ახა-

ლი ღირებულებების, მეტი დიალოგისა და თანამშრომლობის შემოტანა. ასეთმა სქემამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალეროვნებათაშორისი ამბოხი და რელიგიური კონფლიქტი. მოკლედ, ეს იქნება კლასთა ბრძოლა მონდიალიზაციის მასშტაბით, რადგან თავს წამოყოფს სოციალურ-კულტურული ფაქტორები. საჭიროა მრავალფეროვანი კულტურის პატივისცემის სწავლა, პროფკავშირების როლის გადაფასება, ეკონომიკური ცხოვრების გათანაბრება. 2) ყურადღება უნდა მიექცეს განათლებას. უნდა აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინრობა. საჭიროა შეიქმნას დიდი სააგენტოები და ფრანკოფონიული უნივერსიტეტები საზღვრებს გარეთ, მინიმუმ სამი ენის შესწავლა, რომლის გარეშეც ლინგვისტურ მრავალფეროვნებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. 3) საჭიროა ხელი შეეწყოს ეროვნული კულტურის ინდუსტრიას, რომ არ დაკნინდეს კულტურული მრავალფეროვნება. უნდა შეიქმნას ავტოროა საზოგადოება, რათა დაცულ იქნას ავტორთა უფლებები.

გარდა ამისა, საჭიროა გაფართოვდეს დეცენტრალიზებული თანამშრომლობა, რაც ნამდვილი ხიდია ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; უნდა შეიქმნას „კვლევის კლუბი", სადაც შემუშავდება პროექტები; ბიძგი უნდა მიეცეს ინიციატივებს, უნდა მომზადდეს ფრანკოფონიის უახლოესი ეტაპი; ასევე უნდა შეიქმნას ვიზების განსხვავებული პოლიტიკა, რადგან დღეს, ადამიანის გარდა, ყველაფერი მოძრაობს თავისუფლად – კაპიტალი, სურათები, კულტურა და ა.შ.

მაგრამ, ფრანკოფონია დგას ერთი დიდი სიძნელის წინაშე – ეს არის იდენტურობის ცნების დადგენის სიძნელე. რა არის ფრანკოფონია? მხოლოდ ის სახეები, რომლებმაც ის შექმნეს? წარმოსახვის შესაქმნელად არ კმარა ინსტიტუციების შექმნა, რამდენადაც საჭირო არ უნდა იყოს ისინი, ამისათვის საჭიროა საერთო პატრიმონიუმის შექმნა; საერთო საკომუნიკაციო სივრცე და საერთო რიტუალები.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციას უპირისპირდება, ერთის მხრივ, ფრანკოფონიული მონდიალიზაცია და ევროკავშირი, რომელთა საშუალებით საფრანგეთი უპირატესობის მოპ-

ოვებას ცდილობს, და მეორე მხრივ – აზიის „ვეფხვები", რომელთა შესახებ ჯერ არაფერი არ გვითქვამს. აზიის ქვეყნებმა – კორეამ, ტაივანმა, ჰონკონგმა და სინგაპურმა, რომლებსაც შემდგომ დაემატა ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია და ფილიპინები, წარმოქმნა ახალ ინდუსტრიულ ქვეყანათა ჯაჭვი, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიაღწიეს დიდ წარმატებას ყოველგვარი გლობალიზაციის გარეშე, თავგამოდებით იცავენ აზიურ ფასეულობებს და უარყოფენ დასავლურს. აზიის „ვეფხვები" გლობალიზაციას და ფრანკოფონიულ მონდიალიზაციას უპირისპირდებიან რელიგიური თვალსაზრისითაც.

თუ ცივი ომის დროს ერთმანეთს უპირისპირდებოდა დასავლეთი (კაპიტალისტური ქვეყნები) და აღმოსავლეთი (სოციალისტური ქვეყნები), ცივი ომის დასრულების შემდეგ დაპირისპირებულ პოლუსებს წარმოადგენს ჩრდილოეთი (განვითარებული ქვეყნები) და სამხრეთი (განვითარებადი ქვეყნები). საფრანგეთი ფრანკოფონიული მონდიალიზაციის მეშვეობით ცდილობს თავი აარიდოს ამ დაპირისპირებას და მიზნად ისახავს ქვეყნის ოთხივე მხარის დასაახლოებლად სასათბურე პირობების შექმნას.

საფრანგეთსა და ამერიკას შორის განსხვავება დიდია. დღეს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ძალას განსაზღვრავს ეკონომიკური სიმძიდრე და ტექნოლოგიური სიახლე. საფრანგეთი ამერიკას ვერ გაუტოლდება ვერც ეკონომიკური სიმძიდრით და ვერც ტექნოლოგიური სიახლეებით. ამ მხრივ ამერიკის თანატოლი შეიძლება გახდეს იაპონია და, შეიძლება, კიდევაც გაესწროს მას; ვერც ევროკავშირი გაუწევს ამერიკას კონკურენციას; ამერიკა არის სახელმწიფო-ერი, რაც ნიშნავს, რომ ერი ყალიბდება სახელმწიფოს შიგნით; როცა საერთო სუვერენიტეტი წარმოშობს საერთო ინსტიტუტებს, ეთნიკურ ერთობებს შორის არსებული განსხვავება ქრება და წარმოიშობა ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, როგორც ამბობს დავითაშვილი (დავითაშვილი, 2003:37), რომელსაც მე დავამატებდი სიტყვას ახალს ანუ ახალი თვითშეგნება. ამიტომ აშშ-ში ყველა სხვა ერ-სახელმწიფოზე მე-

ტია ინტერნაციონალიზმისა და დემოკრატიის შეგრძნება, რასაც ვერ ვიტყვით ევროკავშირზე. ევროპის ქვეყნები წარმოადგენს ერ–სახელმწიფოს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები მთელი მოსახლეობა ერთ ერს მიეკუთვნება, ე. ი. ცნებები ერი და სახელმწიფო ფაქტიურად იდენტურია (დავითაშვილი, 2007:33). ამიტომ როგორც არ უნდა გააერთიანოს ევროკავშირმა ევროპის სახელმწიფოები, ისინი ერთ ერად მაინც ვერ ჩამოყალიბდებიან, რადგან საუკუნეების მანძილზე შექმნილი მენტალიტეტიდან თავის დაღწევა არც ოუ ისე ადვილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალბერტი, 2007 - Michel Albert, La France et la mondialisation, Paris, 2007.

ბეკი, 2007 - Ulrich Beck, Comprendre la Veritable Europe; une vision cosmopolite. Collection PENSER L' Europe, Diversité et culture, Paris, 2007.

დავითაშვილი, 2003 - ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი, 2003.

დეფარჟი, 1997 - Philippe Moreau Défarges, La mondialistiaon, Paris, 1997.

ფრემი, 1993 - Dominique et Michèle Frémy, Quid, Paris, 1993.

კრისტევა, 2007 - Julia Kristeva, Diversité, c'est ma dévise. Collection PENSER L'Europe, diversité et culture, Paris, 2007.

მექვაბიშვილი, 2002 - ა. მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო, თბილისი, 2002.

სანიკიძე 2001 - გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბილისი, 2001.

ვოლტონი, 2006 - Domenique Wolton, Demain la francophonie, Paris, 2006.

ჰერსტი, 2005 - პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი, გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005.

GLOBALIZATION AS THE UNIVERSALISM OF INTEGRATION

Summary

Globalization is not a new phenomenon in the history of the Mankind. The ideology of each historical period served to the objectives of globalization. They are: World Europezation – that means different religions, creation of empires, great discoveries or the first planet alliance and modern unions, such as: the European Union and the European Council.

French called a globalization as a mondealization. The beginning of which is the end of the Cold War, breaking the Berlin Wall and gaining the independence by the countries of East Europe.

Today globalization is opposed by a francophone mondealization from one side and " Asian Tigers" from the other trying to achieve their place in the globalized world.

ზოგადი განათლების გაუმჯობესებისათვის

საქართველოში განათლების რეფორმა განათლების სისტემის ყველა რგოლში მიმდინარებს. თავისი სირთულით გამოირჩევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რადგან არის საყოველთაო – საქართველოში დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა *(საქ. კან. ზოგ. გან., 2005).* სკოლის გზას გადის ყველა, განურჩევლად სოციალური, ეთნიკური, რელიგიური წარმომავლობის.

სასკოლო, ანუ ზოგადი განათლების რეფორმა განსაკუთრებულია თავისი შინაარსით, ტემპით და მასშტაბებით. უკვე გადადგმულია არაერთი ქმედითი ნაბიჯი და მათი ჩამოთვლა რთულია სიმრავლის გამო.

განათლების რეფორმის პირობებში სკოლებს საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზებაში მეტი ავტონომია აქვთ. ეს ეხება სასწავლო გეგმების მოდიფიცირებას, სახელმძღვანელოების თუ სხვა სასწავლო მასალების შერჩევას და სხვ. სახელმწიფო ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე და ცდილობს უზრუნველყოს განათლების ხარისხის მართვის გამართული სისტემა.

რეფორმამდელ პერიოდში, განათლების სისტემა ძირითადად ორიენტირებული იყო პროცესის კონტროლზე. კონტროლი გულისხმობდა იმას, რომ მკაცრად იყო განსაზღვრული, თუ რას აკეთებდა მასწავლებელი ყოველდღიურად, რას აკეთებდა სკოლის ადმინისტრაცია. კონტროლის განმახორციელებლები ფიქრობდნენ, რომ თუ მასწავლებელი კონკრეტულ აქტივობებს გაატარებდა, ის აუცილებლად კარგ შედეგს მიიღებდა. ღოგორც ჩანს, ისინი ნაკლებად ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სკოლების მრავალფეროვნებას. ასეთი გზა – მხოლოდ პროცესის კონტროლი, რეალურად უგულველყოფდა შედეგებს.

რეფორმის პირობებში ზოგადი განათლების სისტემაში ადამიანური და მატერიალური რესურსების, საგანმანათლებლო პროცესის მართვის და შედეგების საკითხებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხარისხის მართვას. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება სტანდარტების მიხედვით.

სწორედ, მასწავლებლების სერტიფიცირება უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგების საკმარის კომპეტენციებს იმისთვის, რომ მათ შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლება. ხარისხის მართვა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმძღვანელოები, რომლებსაც მასწავლებლები აირჩევენ, იყოს ისეთი, რომლიც მათ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაში საკმარის დახმარებას გაუწევს. ინფრასტრუქტურის სტანდარტები დაეხმარება სახელმწიფოს, რათა გარემო, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, მოაწყოს საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებების შესაბამისად, უზრუნველყოს სკოლის უსაფრთხოება, სველი წერტილების არსებობა და სხვ.

ის თუ როგორ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს საგანმანათლებლო პროცესი, განსაზღვრავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", ეროვნული სასწავლო გეგმა. სახელმწიფოს მხრიდან კი ამ პროცესის მართვა მოხდება სკოლების აკრედიტაციის მეშვეობით *(ამ პროცესისთვის სკოლები სპეციალურად ემზადებიან).* შედეგად, მოხდება ცალკეული სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და იმის გარკვევა, თუ რა ნაკლი და რა ძლიერი მხარე აქვს სკოლას იმისთვის, რომ სახელმწიფომ და სკოლამ ერთად დასახონ გზები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შედეგების მართვა, ძირითადად, კვლევების მონაცემების შედეგად ხდება. საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, ტარდება კვლევები და შეფასებები. კვლევები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც აღწერილია მოსწავლის მიერ წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და აღწერილია

ინდიკატორები, რამაც შეიძლება გვიჩვენოს, თუ რამდენად აქვს მოსწავლეს მიღწეული ამ შედეგებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო განათლების სისტემაში არსებობს მხარდაჭერის სისტემა. პოზიტიური მიდგომაა, მაგალითად, კარგი შედეგების მქონე სკოლების დაჯილდოვება, რაც უკეთესად მოქმედებს სკოლების მოტივაციის ამაღლებაზე, მაგრამ, საქართველოში, ჯერ კიდევ ბევრი სკოლაა, სადაც ადამიანური რესურსების მხრივ არსებობს პრობლემა. ამ სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია არასაკმარისია და, ამავე დროს, არ არსებობს ჩანაცვლების ალტერნატივაც. ასეთია ძირითადად, სოფლის სკოლები, სადაც შემცვლელი მასწავლებელი არ არის და არც არავინ მიდის გამოცხადებულ ვაკანსიაზე.

ამ ვითარებაში არსებულ სკოლებს დამოუკიდებლად გაუჭირდებათ გაუმჯობესების გზების დასახვა. ამ მიმართულებით სახელმწიფო დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს. ცდილობს, განათლების რეფორმის პირობებში, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. მაგალითად, მოქმედებს სახელმწიფო პროგრამები, რომლის ფარგლებში ყველა საჯარო სკოლის მასწავლებელთათვის ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები; მოსწავლეთა გააქტიურების მიზნით კი ტარდება სასკოლო ოლიმპიადები *(www.mes.gov.ge, www.tpdc.ge)*.

ზოგადი განათლების გაუმჯობესების გზებზე საუბრის დროს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მოთხოვნების გათვალისწინება, რაც ძირითადად გულისხმობს:

- მასწავლებლის მიერ სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის (გაკვეთილი) და დამხმარე ფორმების (თემატური ერთეული, სასწავლო პროექტი და სხვ.) გაცნობიერებას;
- გაკვეთილის ორგანიზების ძირითადი საფეხურების (დაგეგმვა, მომზადება, წარმართვა, შეფასება) გააზრებას;
- გაკვეთილის სამფაზიან მოდელს, სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომებს და სასწავლო პროცესში თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას;

• მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, მასწავლებლის კომპეტენციებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში *(მასწ. პროფ. სტანდ., 2008)*.

გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებლის საქმიანობის აუცილებელი ელემენტია. დაგეგმვის ხარისხი მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის ერთ–ერთი უმთავრესი მაჩვენებელია. გაკვეთილის გეგმა განსაზღვრავს გაკვეთილის მიზნებს, შინაარსსა და სტრუქტურას, ამდენად, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მნიშვნელოვანი ეტაპია გაკვეთილის დაგეგმვა და სწავლების სტრატეგიების სწორად შერჩევა. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია გაკვეთილის სამფაზიანი მოდელის, სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომების, სასწავლო პროცესში თანამედროვე საგანმანათლებლო და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინება.

გაკვეთილის მომზადება გულისხმობს ფიზიკური გარემოს მოწყობას, ტექნიკური აღჭურვილობის გამართვას, სასწავლო მასალის და ტექნიკური რესურსების მომზადებას. გაკვეთილის ბოლოს აუცილებლად უნდა შეჯამდეს გაკვეთილის შედეგები და შეფასდეს გაკვეთილი. სასურველია, მოსწავლეთა ცოდნა შეფასდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი მასალის (ტესტები, კითხვარები, რუბრიკები და სხვ.) მომზადება.

გაკვეთილის შეფასების მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწია საგაკვეთილო პროცესმა მასწავლებლის მიერ თავდაპირველად დასახულ მიზნებს. სასურველია, მასწავლებელმა თვითშეფასების მიზნით, მოსწავლეებთან დასვას შეკითხვა, თუ რამდენად ეფექტურად იყო გამოყენებული კლასში სწავლების მეთოდები, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და სხვ.

ცხადია, მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს იმ გეგმით, რომელიც მან გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპზე შეადგინა, თუმცა გაკვეთილის პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს დაგეგმილისაგან. მასწავლებელმა აღნიშნული საკითხი აუცი-

ლებლად უნდა გააანალიზოს გაკვეთილის შეფასებისა და თვითშეფასების ეტაპზე.

როგორც ვხედავთ, ზოგადი განათლების გაუმჯობესების გზებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათლებლო და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების ხელშეწყობაა და, აუცილებელია, ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქ. კან. ზოგ. გან., 2005 – საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", თბილისი, 2005წ.

მასწ. პროფ. სტანდ., 2008 – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თბილისი, 2008წ.

www.mes.gov.ge

www.tpdc.ge

MAREKH NATENADZE

THEWAYS TO IMPROVE THE GENERAL EDUCATION

Summary

Reform of the education system, focuses on quality management. The educational process is carried out according to standard but in Georgia there are still many schools where there is a problem in terms of human resources.

There are not enough qualified teachers in these schools but there is no alternative to replacement. Mainly in rural schools where

there is a substitute teacher is not, and nobody is going to be on the job.

General education for the improvement the one important way is studying the national curriculum requirements of educational and informative - it is necessary to promote the integration of Information-Communication Technology (ICT) for Teacher Professional Development.

†

ვალერი სილოგავა

თამარ (ფამარ) მარჯანიშვილი (მარჯანოვა)

სქიმილუმენია ფამარი (ერობაში თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანიშვილი) დაიბადა 1868 წ. 1 აპრილს ყვარელში, თავად მარჯანიშვილების ოჯახში. იგი ოცი წლისა იყო, როდესაც დაობლდა: 1888 წელს გარდაეცვალა დედა, ელისაბედ ჭავჭავაძე. უფრო ადრე, 1881 წელს კი გარდაიცვალა მამამისი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მარჯანოვი. თამარს ჰყავდა ერთი და და ორი უმცროსი ძმა, რომელთაგან ერთი იყო შემდეგში სახელმოხვეჭილი რეჟისორი კოტე (კონსტანტინე) მარჯანიშვილი. ობლების აღზრდა ახლო ნათესავებმა იკისრეს.

თამარ მარჯანიშვილს კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონდა, განსაკუთრებით კარგი ხმა და ემზადებოდა პეტერბურგის კონსერვატორიაში ჩასარიცხად. მაგრამ მისი ბედი სულ სხვაგვარად წარიმართა, ბრწყინვალე საერო ცხოვრების ნაცვლად დაუკავშირდა საღვთო გზას, ღვთისადმი მსახურებას და მისადმი ღვაწლს.

დედის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ თამარის დეიდამ დისშვილები სტუმრად მიიწვია თავისთან სიღნაღში, რომლის მახლობლად, ბოდბეში ახლადგახსნილი იყო წმ. ნინოს მონასტერი. ერთხელაც ახალგაზრდები გაემგზავრნენ მონასტრის მოსანახულებლად. შეიდნენ ტაძარში, სადაც ჩვეულებრივი წირვა ტარდებოდა – კანონს თვითონ იღუმენია იუვენალია კითხულობდა, ხოლო მონასტრის რამდენიმე და გალობდა და მსახურებდა. ახალგაზრდები ცოტა ხანს წირვაზე იდგნენ, შემდეგ ტაძრიდან გამოვიდნენ, ხოლო თამარი დარჩა წირვის დასრულებამდე. იგი იმდენად მოიხიბლა წირვით, იმ სულიერი ატმოსფეროთი, რომელშიც აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტა ღვთისთვის მიეძღვნა თავისი ცხოვრება და თვითონაც მონაზონი გამხდარიყო. წირვის დამთავრების შემდეგ

თამარი მივიდა იღუმენია იუვენალიასთან და განუცხადა, რომ მონაზვნობა სურდა. ცხადია, მან გადაწყვეტილება მოუწონა და უთხრა, რომ ეს სასურველიც იყო.

თამარის საუბარს იღუმენიასთან ყური მოჰკრა თამარის ბიძაშვილმა, 14 წლის ყმაწვილმა, რომელიც თამარის საძებნად გამოეშვათ ახლობლებს. იგი ამ ამბავს სხვებსაც მოუყვა, ატყდა სიცილი და თამარს დაუწყეს გამოჯავრება – მონაზვნობა სურსო. სახლ'ში დაბრუნებისას ყველაფერი ნათესავებს უამბეს, მაგრამ ვერანაირმა სერიო'ზულმა მი'ზეზებმა (მათ შორის იმან, რომ თამარის ხელს ითხოვდა იმდროინდელი თბილისის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი ბრწყინვალე სახიძო) 20 წლის თამარს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. მაშინ იგი კვლავ თბილის'ში დააბრუნეს, სადაც ხან თეატრში, ხან კონცერტებ'ზე, ხან სხვადასხვა გართობა-სანახაობებ'ზე დაჰყავდათ და ასე ცდილობდნენ როგორმე გადაწყვეტილება შეეცვლებინებინათ, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ერთხელაც, 1889 წლის დეკემბერ'ში თამარი მონასტერში გადასახლდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმ. ნინოს სახელობის ბოდბის მონასტერი, დაარსებული ჯერ კიდევ IV ს-'ში, XIX ს-ისათვის ძალზე დაძველებული, გაპარტახებული და თითქმის მიტოვებული იყო. 1837 წელს ბოდბელი მიტროპოლიტის იოანეს გარდაცვალებისა და აქ საეპისკოპოსო კათედრის გაუქმების შემდეგ, მონასტრის ძველი კედლები თანდათან ინგრეოდა და ნადგურდებოდა, წმ. გიორგის სახელობის ძველ ეკლესიას ბზარი გაუჩნდა, ხოლო სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყალი მხატვრობას სპობდა. 1880-იან წლებში აქ ცხოვრობდა არქიმანდრიტი, ორი მღვდელი, დიაკონი და რამდენიმე მორჩილი, ხოლო საკანე ღარიბი მემამულის მიტოვებულ სახლ-კარს ჰგავდა.

1880 წლის მაისში საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) შუამდგომლობა აღძრა პეტერბურგ'ში, წმ. სინოდის წინაშე, ბოდბეში დედათა მონასტრის აღდგენის შესახებ. 1889 წ. თებერვალში ამას მოჰყვა წმინდა სინოდის განჩინება ბოდბეში

მონასტრის გახსნაზე და მაშინვე მის წინამძღვრად დაინიშნა მოსკოვის ვნების სახელობის მონასტრის (Московский Страстный монастырь) მონაზონი იუვენალია (ლოვინეცკაია). იმავე წლის მარტში მონაზონი იუვენალია აყვანილ-იქნა იღუმენიის ხარისხში და 2 მაისს ექვს დედასთან ერთად იგი ბოდბეში ჩამოვიდა. 1889 წლის 7 მაისს მონასტერი საზეიმოდ გაიხსნა. იმავე წლის ზაფხულში იგი პირველად მოინახულა ექსკურსიაზე მისულმა თამარ მარჯანიშვილმა, რომელიც იმავე წლის დეკემბრიდან იქ დასახლდა.

იღუმენია იუვენალიამ თავიდანვე დედობრივი ზრუნვა გამოიჩინა თამარის მიმართ, იგი მოათავსა თავის კელიაში, ასწავლიდა სხვადასხვა მორჩილებას: კლიროსულს, საკანცელარიოს, აცნობდა სამონასტრო საქმეებს, ამზადებდა თავის მოსავალ შემცვლელად. ბოდბის მონასტრის 1889-1894 წლების კლიროსული ცნობების მიხედვით, თამარ მარჯანოვა თავიდან იყო მგალობლის მორჩილებაში, შემდეგ იღუმენიის საქმის მწარმოებელი, მონასტრის მგალობელთა გუნდის რეგენტი, ხოლო 1891 წლის 6 დეკემბერს შემოსილი იქნა ანაფორით; 1899 წ. 24 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსის არქიეპისკოპოს ფლაბიანეს (გოროდეცკი) მიერ ბოდბის მონასტერშივე მანტიით იქნა შემოსილი და მონაზვნობის სახელად მასაც იუვენალია ეწოდა.

1892 თუ 1893 წელს პეტერბურგში პირველი ჩასვლისთანავე იღუმენია იუვენალიამ გადაწყვიტა მოენახულებინა მამა იოანე კრონშტადტელი, პირადადაც ეთქვა მისთვის მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი ბოდბის მონასტრისადმი იჩენდა და გაეცნო მისთვის თანამესენაკეები – თამარი და ქსენია. ეს შეხვედრა შედგა აღდგომის ტაძარში. ეს შეხვედრა გაგრძელდა მამა იოანე კრონშტადტელის სახლში, სადაც მან თამარს უწინასწარმეტყველა სამი მონასტრის წინამძღვრობა, რაც აღსრულდა კიდეც. მანვე 20 წლით ადრე უწინასწარმეტყველა დედა თამარს დიდი სქემით შემოსვა, რომელიც შედგა 1916 წელს და ამიერიდან იწოდებოდა სქემიღუმენიად. ამ

დროიდანვე ეწოდა მას რუსიფიცირებული სახელი ფამარი (Фамарь).

1902 წ. იღუმენია იუვენალია-უფროსი გადაყვანილ იქნა მოსკოვში, სადაც დაინიშნა ალდგომის მონასტრის წინამძღვრად, ხოლო იუვენელია-უმცროსი საქართველოს ეგზარქოსის ალექსი I (ოპოცკი) მიერ დაინიშნა ბოდბის მონასტრის იღუმენიად. ამ დროისათვის მონასტერში 300-მდე მონაზონი იყო და მისი მართვის მთელი სიმძიმე ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 34 წლის წინამძღვრის ხურგზე გადადიოდა. იღუმენიას ძალზე უყვარდა თავისი მონასტერი, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა – 1905 წელს, მონასტერზე მთიელთა გამუდმებული თავდასხმების გამო, როდესაც პირადად იღუმენიას სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრა და არაერთი მუქარის წერილიც მიუვიდეს მას რევოლუციურად განწყობილმა მთიელებმა, წმინდა სინოდის დადგენილებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, იღუმენია იუვენალია გადაიყვანეს მოსკოვში და დანიშნეს ფერისცვალების რელიგიური თემის (Покровская община) წინამძღვრად. ფერისცვალების თემის მონაზვნები მსახურებდნენ როგორც მოწყალების დები, ისევე როგორც მარფა-მარიის თემის (Марфо-Мариинская община) დები, რომლებიც მონაზვნები არც იყვნენ. ფერისცვალების თემის წინამძღოლობის დროს დედა თამარი ძალზე დაუახლოვდა დიდი მთავრის ცოლს მარფა-მარიის თემის დამაარსებელს, ელისაბედ თეოდორეს ასულს. მაგრამ, დედა თამარს სულ უფრო და უფრო იპყრობდა განმარტოების სურვილი და უნდოდა მარტოდ დადგომა საროვის მონასტრის მახლობლად, სერაფიმე საროველის მფარველობის ქვეშ. იქ, ჯაროვში, სერაფიმო-პონეტაევის მონასტერში, სადაც დედა თამარი გაემგზავრა 1908 წლის ივნისში და საიდანაც წავიდა საროვში, მას გამოეცხადა ღმრთისმშობელი, რომლისგანაც დედა თამარს ეუწყა, რომ მისი სურვილია განმარტოებას კი არ მისდიოს, არამედ შექმნას ახალი სავანე (სკიტი) – მონაზონთა საცხოვრებელი, არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც[1]. დიდი ყოყმანის შემდეგ მან გადაწყვიტა ამ საქმის აღსრულება.

ასეთი დიდი და სერიოზული საქმის დაწყების წინ დედა თამარი დაეთათბირა იმ დროის რამდენიმე ცნობილ მამას ოპტინის, სერგი-სამების, ზოსიმის უდაბნოსა და სხვა მონასტრებში და მათი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყვიტა დაეარსებინა ახალი სერაფიმო-ზნამენსკის სავანე (სკიტი). მალე სახსრებიც გამოინახა მის დასაარსებლად. სავანე (სკიტი) შენდებოდა 1910-1912 წლებში. 1912 წლის 29 სექტემბერს მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა დედა თამარის დაარსებული სერაფიმე-ზნამენსკის სავანე (სკიტი) საზეიმოდ აკურთხა.

სერაფიმე-ზნამენსკის სავანემ (სკიტმა) იარსება 12 წელიწადს – 1924 წელს იგი ბოლშევიკებმა დახურეს და მოსპეს. დები დაიფანტნენ სხვადასხვა ადგილებში. დედა თამარმა მოახერხა ათიოდე დასთან ერთად დასახლებულიყო პატარა სახლში სოფელ პერხუშკოვოში. აქ, ისევე როგორც სავანეში (სკიტში), მასთან ხშირად მოდიოდნენ სხვადასხვა პირები რჩევისა და ჭეშმარიტი გზის სწავლებისათვის.

1931 წ. დედა თამარი რამდენიმე დასთან და მღვდელ ფილარეტ პოსტნიკოვთან ერთად დააპატიმრეს, გასამართლების შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკიდან 400 კმ-ის დაშორებით. მასთან მუდმივად იყო მისი ერთგული მორჩილი ნიუშა. გადასახლებაში დედა თამარი ცხოვრობდა გლეხის უბრალო ქოხში. ქოხის პატრონი და მისი ვაჟი ვანიუშა ყოველმხრივ ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისთვის გადასახლების მძიმე ყოფა.

ციხემ და შემდეგ გადასახლების სამმა წელმა ძალზე შეარყია დედა თამარის ჯანმრთელობა – მას აღმოაჩნდა ჭლექი და დაუავადდა ფეხები.

დედა თამარის გადასახლება დასრულდა 1934 წელს. დაბრუნების შემდეგ იგი დასახლდა პატარა სახლში, ბელორუსიის რკინიგზის სააგარაკო სოფელ პიონერსკაიას მახლობლად. ამ დროისთვის იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო – განუვითარდა ყელის ტუბერკულიოზი, რამაც თანდათან წაიღო მისი სასიცოცხლო ძალები.

დედა თამარი გარდაიცვალა 1936 წლის 10(23) მაისს. წესი აუგო სერაპუხოვის მთავარეპისკოპოსმა მეუფე არსენიმ (ჯადანოვსკი). დაკრძალეს მოსკოვში, ტაძრად მიყვანების სამყოფელში (Введенских горах). საფლავზე მეუფე არსენის კურთხევით, გაკეთებულია წარწერა: «Веруяй в Мя имать живот вечный» („რომელი მრწმენა, ცხონდესცა უკუნისამდე“).

ამ ფაქტმა არ შეიძლება წმ. გრიგოლ ხანძთელისა და ჰუედიოსის შეხვედრა და საუბარი არ გაგვახსენოს.

საისტორიო მწერლობის ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულების თეორიული ასპექტები

ქართულ საისტორიო მწერლობას, ცალკეულ საისტორიო თხზულებას, თავისთავად ღირებულებასთან ერთად, მხატვრულ-გამომსახველობითი და ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებით განხილვა საინტერესო შედეგს იძლევა. თითოეული მათგანი ყურადღებას იქცევს როგორც ლიტერატურული ნაწარმოები და როგორც ესთეტიკური ღირებულების მქონე თხზულება. მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს შეიცავს თვით სახელწოდება „ქართლის ცხოვრება“, როგორც საისტორიო თხზულებათაგან ერთიანი პრინციპით შედგენილი წიგნის, როგორც საისტორიო თხზულებათა ერთიანობის სახელდება.

„ქართლის ცხოვრების“ ყოველი თავი ძვირფასი საისტორიო ძეგლია; მაგრამ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ფაქტების ემპირიული, მშრალი აღწერა არ გვხვდება და იგი მხოლოდ ისტორიული ქრონიკა არ არის; თითოეული მათგანი უაღრესად დახვეწილი ლიტერატურული ნაწარმოებია, მხატვრული შედევრია, დამოუკიდებელი მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენაა. ამ წიგნის ყოველი თხზულება თავისი შინაარსით, იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობით, ლიტერატურული ღირებულებითა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით სცილდება მშრალ ქრონისტულ-ისტორიულ თხრობას, რაც ამ ჟანრის თხზულებებს ლიტერატურულ პროცესთა თანამდევი ერთიანი მხატვრული აზროვნების ძირეულ, განუყოფელ ნაწილად აღგვაქმევინებს. ამით იგი განსხვავდება ჩვენი მეზობელი ქვეყნების ძველი მატიანეებისაგან. ისტორიულ თხზულებათა მხატვრული ფენომენის კვლევას ჩვენშიც, საზღვარგარეთაც ხანგრძლივი ისტორია აქვს და მრავალი სამეცნიერო ნაშრომიც მიეძღვნა (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. შანიძე და სხვ.).

პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად და მის განსახილველად საჭიროდ მიმაჩნია არისტოტელეს „პოეტიკის“ დამოწმება, რომელშიც გამოთქმულია ფუძემდებლური თვალსაზრისი ისტორიისა და ლიტერატურის დანიშნულებისა და არსის, მათი ურთიერთმიმართების შესახებ. ფილოსოფოსის მიერ გაანალიზებული და განზოგადებულია ლიტერატურის ღირებულების საკითხი. კერძოდ, ისტორიული თხზულება ასახავს რეალურად მომხდარ ამბავს, კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო ლიტერატურული – შესაძლებელსა და წარმოსახვითს, რის გამოც პოეზია მიაჩნია უფრო ფილოსოფიურად, ვიდრე ისტორია. მხატვრული ნაწარმოები რეალურად მომხდარი ამბებისა და წარმოსახვითი აზროვნების შერწყმით იღებს პოეტურ სახეს, ამიტომ იგი ბევრად უფრო ღრმაა თავისი არსით, ვიდრე ისტორია, რომელიც მომხდარის ასახვითა და გადმოცემით შემოიფარგლება, ამავე დროს, სავსებით მისაღებია შეხედულება იმის თაობაზე, რომ ისტორიკოსმა განაზოგადოს მომხდარი ფაქტი და საერთო კანონზომიერებები დაადგინოს. არისტოტელეს სიტყვით: „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით, ვინაიდან ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არა ნაკლებ, ვიდრე პროზით დაწერილი: ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი (τα καθολου), ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაშია აქვს ცალკეული (καθ' εκαστον)“ (არისტოტელი, 1944:20). ისტორიისა და ლიტერატურის ამგვარი დეფინიცია ცხადად წარმოაჩენს თითოეული მათგანის თემატიკას, იდეურ მიზანდასახულობას, სპეციფიკას,

დანიშნულებას[1]. თუმცა, აქ აღძრული ზოგიერთი საკითხი განსხვავებულ ეპოქებში სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა, რის გამოც იგი შემდგომ დაკვირვებასა და შემდგომ კვლევას მაინც მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებათა დადგენისას არისტოტელეს შეხედულებებს განსაკუთრებული, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. საისტორიო მწერლობა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებებს უთუოდ შეიცავს, რის ზოგადი ასპექტების წარმოდგენასაც ისახავს წინამდებარე სტატია[2].

ისტორია შეჩერებულ დროზე მოგვითხრობს, ლიტერატურა კი დროში დაუსაზღვრელია, რადგან იგი სამყაროს, კაცობრიობის, ადამიანის ჭეშმარიტ სულიერ ისტორიას ასახავს. აქვე

---

[1] ს. დანელიამ განიხილა ტერმინი „ისტორია“ ეტიმოლოგიური და ღირებულებითი თვალსაზრისით. დავიმოწმებ მის შეხედულებას: „ტერმინი „ისტორია“ წარმოდგება ბერძნული ზმნიდან, რაც ნიშნავს „ცოდნას“. არისტოტელის დროს „ისტორიის“ სახელი ეწოდებოდა ცოდნას ყოველგვარ საგანზე და არა მხოლოდ ხალხის წარსულზე და მის განვითარებაზე, როგორც ჩვენს დროში ესმით ეს სიტყვა. არისტოტელისათვის გეოგრაფიაც „ისტორია“ იყო, ისე როგორც ბოტანიკა და ზოოლოგია. აი, ასე გაგებულ „ისტორიას“ უპირისპირებს არისტოტელი „ფილოსოფიას“. თუ ფილოსოფია, არისტოტელის გაგებით, იყო მოძღვრება უზოგადეს პრინციპებზე და, როგორც ასეთი, იგი თვითონაც იყო უზოგადესი მეცნიერება, „ისტორია“ იყო კერძო ან სპეციალური მეცნიერება, რომელიც შეიცავდა ცოდნას კერძო მოვლენებზე, ე. ი. ისეთ ცოდნას, რომელიც ფილოსოფიური ცოდნის ზოგადობას მოკლებული იყო და ემპირიულ ხასიათს ატარებდა. პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორიაო, წერს არისტოტელი, რათა ამით თქვას, რომ პოეზიაში მოცემულ წარმოდგენას საგანთა შესახებ (ე. ი. ტიპს) მეტი ზოგადობა ახასიათებს, ვიდრე იმ ცოდნას, რომელსაც ამაგე საგნებზე გვაწვდის ესა თუ ის სპეციალური მეცნიერება და რომელიც დაკვირვების საშუალებით მიღებულ კერძო დებულებათა დონეზე არ მაღლდება“ (არისტოტელი, 1944: XIV).

[2] აქვე უნდა აღინიშნოს ქართული საისტორიო მწერლობისა და ქართული ჰაგიოგრაფიის მიმართებები ფაქტების „ჭეშმარიტად“ გადმოცემის თვალსაზრისით, რაც არაერთგზის გამხდარა კვლევის საგანი.

უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი თხზულებების სპეციფიკაც, მათი ავტორები ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით გამოირჩევიან, რის გამოც ივანე ჯავახიშვილმა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების კვლევისას ისტორიის ფილოსოფიურობის პრობლემა დასვა. ისტორიული თხზულება უთუოდ გულისხმობს იმ ზოგად სიღრმეს, ფილოსოფიურ ბუნებას, რომლის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ისტორიული ფაქტის შეფასება; სწორედ მომხდარი ფაქტის სწორ გაანალიზებაზეა დამყარებული ზოგად კანონზომიერებათა დადგენა[3]. ამიტომ აქ ორიოდე სიტყვით უთუოდ უნდა ითქვას ისტორიის ფილოსოფიურობის შესახებ. ივანე ჯავახიშვილმა ნიკოლოზ

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ადრეული პერიოდიდანვე შეინიშნება რეალურად მომხდარი ამბის აღწერისა და სახისმეტყველებითად ასახვის ტენდენცია, რითაც იგი ისტორიულ ეანრს ემსგავსება; კერძოდ, იაკობ ხუცესის თხზულება, როგორც თვითმხილველისა და თანადამსწრის მოხათხრობი, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით გვამცნობს ქვემო ქართლის საპიტიახშოს კარზე მიმდინარე ამბებს, რის აღწერაც ავტორს იმთავითვე ჰქონია განზრახული, როგორც კი პიტიახშის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. სამოელ ქართლის კათალიკოსი ითვანე საბანისძეს თავის ეპისტოლეში სთხოვს ყოველივეს მართლად აღწერას: „ჯელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თუთ უწყი, და აღწერე მარტჳლობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოისი“ (ძეგლები, 1963-1964:47). თვით მწერალიც, ითვანე საბანისძეც სამოელ კათალიკოსის მიმართ პასუხში ამბობს, რომ იგი აღწერს ყოველივე იმას, რაც მან იცის და საკუთარი თვალით უნახავს: „აღვწერე ულიერსისაგან გონებისა შემოკრებული მარტჳლობაჲ. ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მოწამისად“ (ძეგლები, 1963/1964: 48). ასე გრძელდება მთელს ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ცხადია, ეს ტენდენციები უდევს საფუძვლად და წარმართავს საისტორიო თხზულებებს. XIV საუკუნის I მეოთხედის ისტორიკოსმა, რომელსაც ჯამთააღმწერლის სახელით ვიცნობთ, შეაფასა ისტორიული ფაქტების ზუსტად გადმოცემის მნიშვნელობა და განაცხადა: „ჯამთააღმწერლობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს, და არა თჳალახმა ვისიმე“ (ქართლის ცხოვრება, 1959:199). ერთი საუკუნით ადრე, XIII საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს კათალიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ თავის

გულაბერისძის ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ თხზულებაზე მსჯელობისას საგანგებოდ განიხილა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორია საზოგადოდ და აღნიშნა, რომ პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც ქართველი ერის ისტორიის ფილოსოფიური არსი განსაზღვრა, ნიკოლოზ გულაბერისძე იყო (ჯავახიშვილი, 1977:400-408). იგი წერდა: „ჩვენი ისტორიკოსი იმდენად წმინდა ფილოსოფიურ-სალვთისმეტყველო ქართული მწერლობის უქონლობას არ ჩივის, რამდენადაც ქართული ისტორიულ-ფილოსოფიური მწერლობის უქონლობაზე წუხდა... ისეთს საეკლესიო-ისტორიულ თხზულებებს გულისხმობდა, რომლებშიც სამეცნიერო და საფილოსოფოსო საკითხების „გამოძიება“ ყოფილიყო მოქცეული სხვადასხვა საქმეების „საძიებელი“, ყოფილიყო გამორკვეული ავტორის „მეცნიერება“ და „სწავლულება“ და თანაც შესაფერისად მაღალხარისხოვანი „ენა-ჭევრობა“ გამოაშკარავებულიყო“ (ჯავახიშვილი, 1977:400). მეცნიერმა განსაკუთრებული ყურადღება ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში“ გამოთქმულ შეხედულებებს ისტორიის ფილოსოფიის განსაზღვრისა და კვლევის აუცილებლობის შესახებ იმიტომ მიაქცია, რომ ყოველ ისტორიულ მოვლენას განზოგადება და ღრმა ფილოსოფიური ანალიზი სჭირდება, განსაკუთრებით იმგვარ ისტორიულ ფაქტს, როგორიცაა ქართველი ერის ქრისტეს სჯულზე მოქცე-

---

მრავალმხრივ მნიშვნელოვან ეპისტოლეში, რომელიც მან აბუსერ აბუსერისძეს მისწერა, თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი წარმოაჩინა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისად საუკუნოდ, რომელისამე საქებელ-ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“ (სულავა, 2003:309). საქართველოს მწყემსთმთავარმა ამ სიტყვებით განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება აღვიქვათ ყოველი თხზულება, ისტორიულიცა და მხატვრულიც, რომელიც ნათლად წარმოაჩენს თვით ავტორის სულიერ-შემოქმედებით სამყაროს, მის მხატვრულ მეთოდს, ესთეტიკურ თვალთახედვას. ამიტომაც არის ეს ეპისტოლე არსენ ბულმაისისძისა ავტოპორტრეტი, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამომხატველი ქვაკუთხედი.

ვის ეტაპები და სულიერი ცხოვრების განახლება, რაც ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების ძირითადი თემაა.

„ქართლის ცხოვრებაში“ გამორჩეული ადგილი უჭირავთ ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებას, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგის ისტორიებს, უამთააღმწერლის თხზულებას, რომლებიც, ისტორიულთან ერთად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებად გვევლინებიან, რასაც გვაფიქრებინებს მათი რიტორულ-გარდაკაზმული სტილი, მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვასთან შეხამებული. ამიტომ მათი განხილვა, როგორც ესთეტიკური ფენომენისა, მხატვრული ლიტერატურის ისტორიის კანონზომიერებათა შესწავლას ბევრს ჰმატებს. მათი ამაღლებული სტილი და მხატვრული სამყარო არაფრით ჩამოუვარდება სხვა ჟანრის თხზულებებს, მხატვრულ თხზულებებს, რომელთა ლიტერატურულ-ესთეტიკური დონე შეესაბამება მათი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს. ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებს აგებენ იმგვარი კომპოზიციური თანმიმდევრობით, როგორითაც ჰაგიოგრაფები; იყენებენ შედარების, მეტაფორის, სიმბოლოს, ალუზიის, ენიგმის მხატვრულ ხერხებს, რისთვისაც ძირითადად ბიბლიური სიუჟეტები, მისი პერსონალიები, სიმბოლოებია მოხმობილი; ხშირად ქართველ მეფეებს ადარებენ ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებს, ბერძნულ-რომაულ და სხვა ქვეყნების მითოლოგიურ პერსონაჟებს, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ მოქმედ პერსონაჟებს მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის მსგავსების საფუძველზე; პერსონაჟების მეტყველებაში გვხვდება ბიბლიური წარმომავლობის კონსტრუირებული სიტყვები; მსჯელობისა და მეტყველების ამგვარი სტილი ამაღლებულთან ერთად მშვენიერების ესთეტიკითაა გაჯერებული. ქართული კლასიკური ეპოქის ყოველი ისტორიული ნაწარმოები სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების ნიმუშია, რომელშიც გამოყენებულია პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. წ. სახეთა პარალელიზმის მხატვრული ხერხი, ჰაპლოგრაფულ-პარადიგმულ სტრუქტურაზე დამყარებული, რაც ყოველი ცალკეული პასაჟისა და მთლიანი

ნაწარმოების სრულად აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ი. ჯავახიშვილმა დავით აღმაშენებლის „ცხორების“ განხილვისას დაიმოწმა ეფრემ მცირის შეხედულებანი თხრობის მეთოდის შესახებ, რომლის მიხედვით თხრობა შეიძლებოდა ყოფილიყო ორი სტილისა: 1. მარტივი, ანუ „ლიტონითა სიტყვთა“ შესრულებული და 2. ხელოვნურად გამშვენებული, გარდაკაზმული სტილით შეთხზული თხზულებები. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, მარტივი და რიტორული სტილით შექმნილი თხზულებები ერთმანეთისაგან მკვეთრად იმიჯნება; ამასთანავე, შეინიშნება აზროვნების განვითარების ორი საფეხური. ეფრემს, მისივე სიტყვით, ხელოვნური სტილით, ანუ რიტორული ენაწყლიანობით შესრულებული თხზულებები უფრო მოსწონდა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ეფრემის მოძღვრების მიმდევარი ყოფილა, ანუ თხზულებას წერდა „ჴელოვნებითა რიტორობისათა“, „ჴეროვნად რიტორობისა“, ოღონდ ისე, რომ ფაქტები უთუოდ სწორად უნდა აღეწერა და მოვლენათა შესახებ მონათხრობი არ გაეზვიადებინა: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თითონ მხოლოდ მაშინ მიმართავდა მოთხრობის დროს „რიტორობის ჴელოვნებას“, როცა „ნივთნი საქმეთანი“ ექმნებოდა“ (ჯავახიშვილი, 1977:216).

ისტორიული თხზულების ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლა თვით ისტორიულ პირთა ხასიათების, თვისებების, ზნეობის, სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს სრულყოფილად აღსაქმელადაა აუცილებელი; მემატიანე ისტორიული სიტუაციების ბიბლიურთან პარალელების მოხმობით მხატვრულ სიძლიერეს სძენს თხზულებას; პერსონაჟთა ცოდვა და ღვთის რისხვა შედარებულია ბიბლიურთან, რითაც უფრო მკვეთრად წარმოჩნდება ერის სულიერი მისია და თვით პიროვნების სულიერი სამყარო, არსი და დანიშნულება; ცხადია, ანალოგები ყოველთვის ზუსტი არაა, მაგრამ ისინი ავტორს ისტორიული პირის სულიერი სამყაროს გასახსნელად

სჭირდება. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველ ბაგრატიონ მეფეთა შედარება დავით წინასწარმეტყველთან და სოლომონთან, რაც პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნიშანი იყო. ეს ფაქტი არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისითაა განსახილველი, არამედ თხზულების მხატვრული არსის განსაზღვრისათვისაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

შუა საუკუნეების ესთეტიკაში კონკრეტულად მომხდარ ისტორიულ ფაქტს მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი ალიქმებოდა ჭეშმარიტი ღირებულების მქონე, ბიბლიური კატეგორიების გამოვლინებად ლოკალურ დროში. ამიტომ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრება ბიბლიურ მეფეთა თავგადასავლებისა და ისტორიის ფონზე განიხილებოდა. საისტორიო თხზულებაში ისტორია, მსოფლმხედველობა, ბიბლიური შედარებები და მხატვრულ ხატ-სახეთა ესთეტიკური ფუნქცია ერთდროულად წარმოჩნდება და განისაზღვრება, ე. ი. საქმე გვაქვს საისტორიო მწერლობის ესთეტიზაციასთან. „ქართლის ცხოვრების“ ყოველი თხზულება ესთეტიზებულია. ყოველი შედარება თუ პარალელური სახე გლობალური, ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნებთან ერთად, ღრმა ეროვნულობითაცაა აღბეჭდილი, რაც ერის საჭირბოროტო და მტკივნეულ პრობლემებზე დაფიქრებული მწერლის სულისკვეთებას გვაუწყებს.

„ქართლის ცხოვრების“ წიგნებში წარმოჩენილია ქრისტიანი მეფის იდეალი, სახე-იდეალი ქრისტიანული სახელმწიფოს მეფისა... ისტორიკოსი მეფეს თავის წინაპართა ღირსეულ მემკვიდრედ მოიაზრებს და მის სახეს ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოგვიდგენს. მისი რეალური სახის წარმოსაჩენად ეყრდნობა მხატვრული ლიტერატურის გამომსახველობით საშუალებებსა და მხატვრულ ხერხებს, რითაც იქმნება ესთეტიკური ფენომენი. შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებათა ესთეტიზაციის საფუძველს ძირითადად ბიბლიური წიგნებისა და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლების მხატვრული ფენომენის ამ კუთხით გამოყენება წარმოადგენს. მთავარი ისაა, თუ რითაა ნასაზრდოები ქართული საისტორიო

მწერლობა იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, როგორ იყენებს მემატიანე ბიბლიას, მსოფლიო ლიტერატურის ცალკეული წარმომადგენლის მხატვრულ სამყაროს, ტროპოლოგიას. მზექალა შანიძემ დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილი ისტორიული თხზულების მაგალითზე ბიბლიური სახისმეტყველების ცალკეულ ნიმუშს ტექსტოლოგიური მნიშვნელობაც მიანიჭა, რადგან უნდა განისაზღვროს ის, „თუ რა ფუნქცია ეკისრება ძველი და ახალი აღთქმის, აგრეთვე საერო მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის თხზულებათა ტექსტს ისტორიკოსის ნაწარმოებში წარმოდგენილ სიტუაციათა კომპოზიციაში, ლექსიკის შერჩევაში, მხატვრულ სახეთა აგებაში და სხვ. ტექსტის ამ კომპონენტთა სწორ კვალიფიკაციას, მათ „გახსნას“ მნიშვნელობა აქვს არა მარტო ავტორის სტილის შესასწავლად; იგი ხშირ შემთხვევაში ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელადაც საჭირო საბუთებს გვაწვდის; ამიტომ მას ტექსტოლოგიური მნიშვნელობაც აქვს“ (შანიძე, 1992:104).

საისტორიო თხზულებათა ლიტერატურულ-ესთეტიკური ფენომენის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი საკითხების კვლევა: ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია; სიუჟეტის განვითარება და თხრობის თანმიმდევრობა; სახისმეტყველებითი ასპექტები; ისტორიკოსის მიერ პერსონაჟის ექსპონირების მხატვრული ხერხის გამოყენებით ისტორიული პირის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის ასახვის პრინციპები; მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები პერსონაჟთა თუ ცალკეულ მოვლენათა წარმოსაჩენად; დროსივრცული პოეტიკა. ყოველი ამ საკითხის შესწავლისას საჭიროა წინარე და თანამედროვე პერიოდის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინება, რადგან ქართულმა საისტორიო მწერლობამ თავისი მიზანდასახულობის შესაბამისად იმემკვიდრა ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი პრინციპები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები, რის დადგენაც ჩამოთვლილი პრობლემის განხილვით ხდება შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

არისტოტელი, 1944 – არისტოტელი, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი, თბ., 1944.

კეკელიძე, 1958 – კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.

შულავა, 1944 – სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული პიმნოგრაფია, თბ., 2003.

ქართლის ცხოვრება, 1955 – ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, 1959 – ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959წ.

შანიძე, 1992 – ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ., 1992.

ძეგლები, 1963, 1964 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, 1964.

ჯავახიშვილი, 1977 – ჯავახიშვილი ი., თხზულებანი, VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977.

NESTAN SULAVA

ABOUT THE DEFINITION OF LITERARY AND AESTHETICAL IMPORTRANCE OF THE HISTORICAL WRITING - THEORETICAL ASPECTS

Summary

The ancient georgian historical writtings did not give facts without definition, because of this it is not only historical chronicles. „Life of Kartli" is valuable literary writting. Aestetic phenomenon with its aim, content, literary value and theory of poetry, artistic. It is not only christian historical narration as other stories. It was published many works by georgian and foreigner scientists.

It is used comparisons, symbols, enigmas which where taken from the Bible. Characters are shown in comparison with historical people from antique periods, and with main characters of Greece and Roman mythological and Eastern (oriental) literature. The style of discussion and speech is full of beauty. The most important thing is principle of author to show the imagine of historical character as a literary character and also the comparison of historical and hagiographical stories.

The aesthetic value of historical story is symbols of king's imagine and principles. The kings from the Bible were the example for georgian kings. The ideal of kings from the Bible means the person full of respect and harmonious and Davit from the Bible were the symbol of this. King must be lider of his nation in everything and his word and affair must be united.

რადიოკომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებები

თანამედროვე ადამიანი, რომელიც ინფორმაციულ-კომუნიკაციურ სივრცეში ცხოვრობს, ინფორმაციას იღებს, როგორც ინტერპერსონალური ურთიერთობით, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რომელიც ტექნიკურად არის გაშუალებული და კომუნიკატორის მონაწილეობით ხორციელდება. მასობრივი ინფორმაციის თითოეული საშუალება, და, მათ შორის რადიო, საკუთარ გამოსახვით სისტემას ემყარება, რომელიც განსაზღვრავს შეტყობინების ფორმას და მისი აღქმის სპეციფიკას.

რადიოჟურნალისტიკა ზეპირმეტყველებასა და სმენით აღქმაზეა დამყარებული და მას „მოლაპარაკე ჟურნალისტიკასაც" უწოდებენ. რადიოს გამომგონებლის, გულელმო მარკონის აზრით, „რადიო არის ბგერა, რომელიც თავად უფალმა ღმერთმა შექმნა" (დამოწმებულია: იბერი, 2003:65). სწორედ რადიოს ბგერითი ბუნება, მისი „მონოპოლია" ეთერში განსაზღვრავს რადიომაუწყებლობის სპეციფიკას, მის აკუსტიკურ და ტრანსლაციურ ხასიათს.

როგორც ურთიერთობის ყველა საშუალება, რადიოკომუნიკაციაც იყოფა ორ ჯგუფად: ვერბალურად (სიტყვიერად) და არავერბალურად. მათ შორის არსებობს ფუნქციების თავისებური გადანაწილება: ვერბალურ საშუალებებს მიეკუთვნება ზეპირი მეტყველება, სიტყვიერი ინფორმაცია, ხოლო არავერბალურით კი გადმოიცემა ხმის ე. წ. პროსოდიკური თუ ექსტრალინგვისტური მახასიათებლები (ხმის ტონის სიძლიერე, ტემპი, პაუზები, ფსიქოფიზიოლოგიური გამოვლენები: ამოისუნთქვა, ხახველება და ა. შ.), რომლებიც მეტყველების ემოციურ და ექსპრესიულ შეფერილობას აძლიერებენ.

რადიოკომუნიკაციის უშუალო ინსტრუმენტია მეტყველება, რომლის საშუალებითაც დისტანციურად ხორციელდება

ზეპირი სიტყვის გადაცემა და მიტანა რეციპიენტამდე. „ნეიტრალური ბეჭდვითი სიტყვისგან განსხვავებით, ზეპირი სიტყვის პრეროგატივაა მსმენელისადმი მუდმივი კონკრეტული მიმართვა, მისი საუბრის მონაწილედ ჩათვლა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სიტყვის აღქმას წარმოქმნის პროცესში, ანუ სიტყვიერი ურთიერთობის სინქრონულობას. ეს კი რადიომეტყველებისაგან მოითხოვს ინფორმაციულ სიზუსტეს, ლექსიკურ სისუფთავეს, სტილისტურ სიცხადეს" (იბერი, 2003:75).

რადიომეტყველების „საშენი" მასალაა ენა, რომელიც დროსა და სივრცეში უზრუნველყოფს ზეპირი მეტყველების პროცესს. ზეპირი სიტყვა ნიშანთა პირობით სისტემას წარმოადგენს და ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ისტორიულად ჩამოყალიბებული საშუალებაა. თავდაპირველად, ზეპირი სიტყვის კონსერვაციისა და ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო, კომუნიკაციის ფუნქცია ფიქსირებულ სიტყვას, ბეჭდურ მედიას დაეკისრა. მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში რადიოტექნიკის განვითარებამ და, შემდგომ, რადიომაუწყებლობის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ზეპირი სიტყვის კომუნიკაციური ბუნების გამოვლენას, რომელიც ორიენტირებულია რეციპიენტის მიერ მიღებული ინფორმაციის მეყსეულ და სრულფასოვან აღქმაზე. რადიომეტყველებით შესაძლებელია ერთდროულად აზრისა და გრძნობების გამოხატვა და იგი აერთიანებს სათქმელის შინაარსსა და ფორმას, მის მიზანსა და ენობრივ-სტილისტურ ხერხებს. რადიოშიც, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ხმა, მეტყველების მანერა, პიროვნების „დანახვის" საშუალებას იძლევა და მსმენელი იღებს გარკვეულ ინფორმაციას რადიოპერსონაჟის არა მარტო მეტყველებაზე, არამედ მის ინდივიდუალობაზე, განწყობაზე, ფიზიკურ მონაცემებსა და სხვა თვისებებზე, რაც უშუალო გრძნობადი სახით შეიმეცნება. ეს კი განსაზღვრავს რადიოჟურნალისტიკის პერსონიფიცირებულ ბუნებას, რომელიც რადიოინფორმაციის რეალურ პიროვნებასთან დაკავშირებას, ზეპირი სიტყვის შემსრულებლის აუცილებელ არსებობას გულისხმობს. ე. ი. მასში ფიზიკურად არის ჩართული ადამი-

ანის პიროვნება. პერსონიფიკაცია ზეპირი სიტყვის პიროვნებისეული გადმოცემაა და იგი მხოლოდ ბგერებით, დანაწევრებული მეტყველებით ხორციელდება, ამის უნარი კი, მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას აქვს, რომელიც ინდივიდუალიზებულია. სწორედ ამით აიხსნება რადიო-ტელეკომპანიების მისწრაფება იყოლიონ ისეთი წამყვანები თუ ჟურნალისტები, რომლებიც მეტყველების მანერით, პიროვნული თვისებებით აუდიტორიის სიმპათიას და ნდობას გამოიწვევენ. რადიოინფორმაციის პერსონიფიკაცია მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა როგორც მაუწყებლობის პრინციპი და, მათ შორის, საქართველოშიც დღეს წარმოუდგენელია რადიოგადაცემა მისი მთავარი პერსონაჟის, ავტორის პიროვნების ჩართვის გარეშე. იგი არის კომუნიკატორი, რომელიც ეხმარება მსმენელს ადვილად აღიქვას რადიოინფორმაციის შინაარსი და, ბუნებრივია,მასალა უნდა მიეწოდებოდეს ენის „გამართული" ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვით. მათი დარღვევა იწვევს მსმენელის ყურადღების გადატანას შინაარსიდან ფორმაზე, რაც ხელს უშლის აღქმის მთლიანობას და, შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესს.

ურთიერთობის თეორიის მიხედვით, რადიოენა დიალოგური ხასიათისაა და გულისხმობს მსმენელთან ურთიერთობას, ამდენად, იგი იყენებს სასაუბრო ენის ელემენტებსაც, პრაქტიკული მეტყველების ისეთ თვისებებს, როგორიცაა სპონტანურობა, უშუალობა, იმპროვიზაციულობა, არაოფიციალურობა და ა. შ. მაგრამ, ძირითადად ეფუძნება ზეპირ, წიგნიერ ენას, თუმცა განსხვავდება წიგნიერი წერილობითი ენისაგან, რადიოსთვის უცხოა ზედმეტად ლიტერატურული,ტექსტუალური სტილი. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ გვაქვს რადიოს რეპროდუქციულ ფუნქციაზე, რომლის მიზანია ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების,მათ შორის, ლიტერატურული ნაწარმოებების ეთერში გავრცელება და პოპულარიზაცია. გასაზიარებელია მკვლევარ ე. იბერის აზრი რადიოენის შესახებ, რომელიც „არც სასაუბრო მეტყველებაა და არც წიგნიერი ზეპირი ენა, არამედ მათი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც უპირატე-

სად იყენებს ამა თუ იმ შესაძლებლობას კონკრეტული სიტუაციისა და მიზნის შესაბამისად (ჟანრის, თემისა და მოსაუბრის ინდივიდუალობის გათვალისწინებით)“ (იბერი, 2003:77).

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, მოსმენისთვის საჭიროა ორი ყური: ერთი - აზრის ამოსაცნობად, მეორე - მოლაპარაკის ემოციებისა და გრძნობების „დასაჭერად”. რადიოჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გემოვნებიანი მსმენელის ყურადღების მისაპყრობად აუცილებელია სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების ფლობა, სიტყვებისა და ფრაზების სწორად გადმოცემა, აზრის გასაგებად მიტანა მსმენელამდე და ა. შ. სამწუხაროდ, ენობრივი თვალსაზრისით ნაკლებად ორჯენებიან კერძო რადიოარხების ჟურნალისტები. ამ ბოლო ხანებში რადიოეთერში მომრავლებული ინტერაქტიური გადაცემების ფონზე აშკარად იგრძნობა ფამილარული, ყოფითი შინაარსის, ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკის სიჭარბე,ენობრივი და სტილისტური ნორმების იგნორირება, რაც უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

არსებობს გამოთქმა – „რადიოჟურნალისტმა თვალებისთვის კი არა, ყურებისთვის უნდა წეროსო”. აქ იგულისხმება რადიომეტყველების არასიტყვიერი, არასემანტიკური სიმბოლოები, რომლებიც დამატებითი ინფორმაციის წყაროა ვერბალური თუ ტექსტური შეტყობინებისათვის. ეს არის მეტყველების ტემპი (სწრაფი, საშუალო, შენელებული), ხმის სიმაღლის მოდულაცია (ნარნარი, მკვეთრი...), ხმის ტონალობა (მაღალი, დაბალი), რიტმი (თანამიმდევრული, წყვეტილი), ინტონაცია, მეტყველების დიქცია, მელოდიკა, პაუზა, ლოგიკური და ფრაზეოლოგიური მახვილები და ა. შ. პიროვნულ ურთიერთობაში, კინოსა და ტელევიზიაში მათ ემატება მიმიკა და ჟესტი. „არსებობს ორმოცდაათი საშუალება ვთქვათ „ჰო” და ხუთასი საშუალება ვთქვათ „არა” და მხოლოდ ერთი საშუალება, რომ დავწეროთ ეს” - აღნიშნავდა ბერნარდ შოუ (დამოწმებულია: იბერი, 2003:96). მარტო ლოგიკური აზრები, გრამატიკულად და სტილისტურად „გამართული” ფრაზები მსმე-

ნელზე ვერ მოახდენს სათანადო ზემოქმედებას, თუ ისინი არ წარმოითქმის, იღია „ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბუნებითი კილოთი", რაც უკავშირდება მეტყველების კულტურას. ცივერონი სიტყვის წარმოთქმის მანერას სმენის კულტურას უკავშირებდა და აღნიშნავდა, რომ სმენა ადამიანს ბუნებით აქვს მომადლებული, თუ მას ყურში მოხვდა არაბუნებრივი ინტონაცია, იგი უმალვე ავლენს რეაქციასო. ამდენად, რადიოში ზეპირი სიტყვის წარმოთქმას და აუდიტორიის მიერ მის სწორად გააზრებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. რადიოკომუნიკაციის პროცესში გამოყენებული არასიტყვიერი ნიშნები შინაარსობრივ ასპექტთან ერთად, გავლენას ახდენს აუდიტორიის ინდივიდუალურ წარმოდგენებსა და პოზიციებზე. რადიოს სხვა მედიასაშუალებებზე უკეთ შეუძლია ადამიანის წარმოსახვაზე ზემოქმედება, როცა ინფორმაციის მიმღები ცდილობს სმენითი შთაბეჭდილებები გადაიტანოს ხედვით შში, როგორ გამოიყურება გმირი, სად ხდება მოქმედება და ა.შ. აქ, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებები ადამიანის წარმოსახვის სტიმულატორი და პიროვნულ-ემოციური დამოკიდებულების გამომხატველია. მისი მიზანმიმართული გამოყენებით ადვილადაა შესაძლებელი აუდიტორიის ფსიქო-ემოციური განწყობის შექმნა, ჩაგონებითი ზემოქმედება, ღირებულებითი ორიენტაციისა და ქცევის შეცვლა. როგორც დიდი რეჟისორი და პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი აღნიშნავდა: „ახალი ინფორმაციის გადაცემისას ყველაზე ძლიერი, ქმედითი ზემოქმედების საშუალებად ცოცხალი სიტყვა გვევლინება... სიტყვით ადამიანში ისეთი ემოციური რეაქციების გამოწვევა შეიძლება, რომლებსაც შემდგომ მასში ფიზიოლოგიური ფუნქციის შეცვლაც კი ძალუძთ" (დამოწმებულია: ბერიკაშვილი, 2002:146).

რადიომეტყველებაში არავერბალური საშუალებების ქმედითობა დამოკიდებულია გადაცემის ფორმატზე, ჟანრზე, შინაარსსა და ეპოქაზეც კი. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა რადიომაუწყებლობის გამოცდილება, როდესაც რადიო იწოდებოდა „მილიონების ტრიბუნად" და ე. წ. პათეტიკური ტონი

(მეტყველების ინტონაციური შეფერილობა), ამაღლებული, ლოზუნგური ფრაზები რადიოს განუყოფელი კომპონენტი იყო და გამოხატავდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელი „ბედნიერი" ხალხის განწყობას. მეტყველების ასეთი სიმბოლოები წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე ეპოქა და პლურალისტური გარემო ფართო იდეოლოგიური და შემოქმედებითი არჩევანის საშუალებას იძლევა და მსმენელი თავად განსაზღვრავს რომელ რადიოარხს ან რომელ რადიოწამყვანს უსმინოს.

რადიოს სივრცული დისტანცია, პიროვნების არავერბალური მახასიათებლები ქმნიან, როგორც გამომსვლელის, ისე თავად წამყვანის, ჟურნალისტის სახესაც. იგი კომუნიკატორისა და, ასევე, ნებისმიერი მონაწილის ფსიქოლოგიური თუ ხასიათობრივი ინდიკატორია და აძლიერებს ნათქვამის ემოციურ ფონს, ინარჩუნებს რადიომსმენელთან სიახლოვისა და უშუალობის ოპტიმალურ დონეს. ელექტრონულ მედიაში წამყვანზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციის აღქმის ხარისხი და, ამდენად, იგი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდნენ პიროვნებათშორისი ვერბალური და არავერბალური ურთიერთობის ბუნებაში. ამავე დროს, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხმის ტემბრი, უნდა ფლობდეს ლექსიკოლოგიის კანონებს და ჰქონდეს კარგი დიქცია.

დიქცია ეწოდება ენის ნორმების დაცვით ბგერების, სიტყვებისა და წინადადებების მკვეთრ წარმოთქმას, სწორედ ამ ტერმინიდან მომდინარეობს დიქტორის პროფესიის სახელწოდება, რომელიც რადიომაუწყებლობის წარმოშობას უკავშირდება და თანამედროვე წამყვანის წინამორბედია. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის 75 წლის განმავლობაში, საქართველოს რადიოში ჩამოყალიბდა „ენის ნომების პრაქტიკულად გამავრცელებელი პირების –დიქტორთა ინსტიტუტი, რომლებმაც შექმნეს ქართული მართლმეტყველების სკოლა, მათი ყოველდღიური გამართული საუბარი (როგორც ლექსიკის, ისე მეტყველების თვალსაზრისით) ნორმად აღიქმებოდა ყველა ოჯახში" (მჟავანაძე, 2003:137). დიქტორი თავად არ ქმნიდა ჟურნალისტურ ტექსტს, იგი მხოლოდ შემსრულებელი,

წამკითხველი იყო და მოეთხოვებოდა გარდასახვის ნიჭიც და მეტყველების მაღალი კულტურაც. წლების განმავლობაში საქართველოს რადიოში დიქტორებად უმეტესად კონკურსის წესით შერჩეული მსახიობები მუშაობდნენ. მეოცე საუკუნის დასასრულს დიქტორის პროფესია, როგორც წმინდა საშემსრულებლო წამკითხველისა, გაქრა და ეს ბუნებრივი პროცესია. ამჯერად დიქტორები ავტორებმა, ჟურნალისტ-წამყვანებმა ჩაანაცვლეს, მათ დიქტორ-წამყვანებსაც უწოდებენ, რომლებიც უკვე კომუნიკატორები არიან, შუამავლები სტუდიასა და აუდიტორიას შორის, თავად ქმნიან გადაცემებს და თავადაც უძღვებიან. ასეთი ფორმატი ხელს უწყობს ავტორთა ინდივიდუალობისა და რადიოს ინტერპერსონალური ხასიათის უკეთ წარმოჩენას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი ფორმების ათვისების პროცესში ყველა რადიოპერსონაჟი ვერ ფლობს ზეპირმეტყველების ხელოვნებას და ხშირად ეთერიდან ნათქვამი არასწორად წარმოთქმული სიტყვა მიბაძვის საგანი ხდება და ხელს უწყობს საზოგადოებაში ენობრივი კლიშეების დამკვიდრებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აუდიტორიის და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის მეტყველებაზე. რადიოში არცთუ იშვიათად ისმის ყალბი ინტონაციური საუბარი, ქართული ენისთვის შეუფერებელი მრავალმახვილიანობითა და მანერული ელფერით გაჯერებული წინადადებები და სხვადასხვა სახის ნორმატიული ლაფსუსები, რაც არაპროფესიონალიზმის შედეგია. ფართო აუდიტორიის და წარმატების მოსაპოვებლად რადიოარხები უნდა ზრუნავდნენ ქართული სიტყვის, მშობლიური ენის დასაცავად, ხოლო რადიოჟურნალისტები უნდა ფლობდნენ მეტყველების მაღალ კულტურასა და არავერბალური ურთიერთობის ენას. მათი თანაარსებობა რადიოკომუნიკაციური პროცესის მთავარი საყრდენია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიკაშვილი, 2001 - მ. ბერიკაშვილი, მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2001.

იბერი, 2003 - ქ. იბერი, რადიოჟურნალისტიკა, თბ., 2003.

მჟავანაძე, 2003 - თ. მჟავანაძე რადიოდიქტორი - ისტორია და თანამედროვეობა, კრებული: ტელე-რადიოჟურნალისტიკის საკითხები, VI, თბ., 2003.

NANA TALAKHALDZE

VERBAL AND NON -VERBAL MEANS OF RADIO COMMUNICATION

Summary

The work analyses main features of the radio communication- the peculiarities of radio speech, the main instrument of which is an oral word and by means of what our idea reaches to the recipient. We can express our ideas and feelings at the same time by means of a radio language. It unites the content and form, aim and language style of what we want to say,

The nature of a radio journalistic personification is defined not only by an oral word but by non verbal symbols which are an additional informational source for verbal or text messages. The speech speed , its tone, intonation, pause and so on support to activate man's imagination and express personal emotional relationship. With its help it is easy to influence on the psycho –emotional attitude of the audience, to change the value of orientation and behaviour Professional radio journalists should possess an accurate speech and a language of non-verbal relationship. Their unity is the main support of the radio communicative process.

შინაარსი

ბონდო არველაძე
ქართლის კათოლიკოსი კირიონ I 5

ლია ახალაძე
ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისათვის 10

Lia Akhaladze
TO THE STUDY ISSUE OF JAVAKHETI'S EPIGRAPHIC MONUMENTS 23

მერაბ ბერიძე
ჯავახეთის სოფელი აზმანა 25

მედეა ბურდული
თვალის დაავადებათა მკურნალობის ტრადიციები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) 33

ბაკურ გელაშვილი
თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის 45

Bakur Gelashvili
FOR THE HISTORY OF SELF- DEFENSE BUILDINGS IN TORI GORGE 73

რომან გოგოლაური
XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის შიდა საბჭარეულო ომები ახალციხეში 74

Roman Gogolauri
INNER FAMILY WARS IN AKHALTSIKHE AT THE END OF THE XVII C. AND AT THE BEGINNING OF THE XIX C. 79

ნანა გოგოლაშვილი
ჰერმენევტიკული „ბაბელის" ცნების შესახებ 80
Nana Gogolashvili
ABOUT THE CONCEPT OF HERMENEUTIC „COMPREHENSION" 89

თინა იველაშვილი
სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები 90
Tina Ivelashvili
HISTORICAL MONUMENTS ON THE TERRITORY OF THE VILLAGE SARO 104

გიორგი კვინიკაძე
სამხრეთ კავკასია რეგიონული გეოეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში 105
Giorgi Kvinikadze
SOUTH CAUCASUS IN REGIONAL GEOECONOMICAL INTEGRATION PROCESS 123

სერგო მელიქიძე
ბორჯომის ხეობის ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და რუსულენოვან რუკებზე 124
Sergo Melikidze
BORJOMI GORGE TOPONYMY IN "A DESCRIPTION OF THE KINGDOM OF GEORGIA" BY VAKHUSHTI BAGRATIONI AND ON THE RUSSIAN MAPS 135

ეთერ მელქაძე
გლობალიზაცია, როგორც ინტეგრაციული უნივერსალიზმი 136
Eter Melkadze
GLOBALIZATION AS THE UNIVERSALISM OF INTEGRATION 149

მარეხ ნათენაძე
ზოგადი განათლების გაუმჯობესებისათვის 150
Marekh Natenadze
THEWAYS TO IMPROVE THE GENERAL EDUCATION 154

ვალერი სილოგავა
თამარ (ყამარ) მარჯანიშვილი (მარჯანოვა) 156

ნესტან სულავა
საისტორიო მწერლობის ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულების თეორიული ასპექტები 162
Nestan Sulava
ABOUT THE DEFINITION OF LITERARY AND AESTHETICAL IMPORTRANCE OF THE HISTORICAL WRITING - THEORETICAL ASPECTS 172

ნანა ტალახაძე
რადიოკომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებები 173
Nana Talakhaldze
VERBAL AND NON -VERBAL MEANS OF RADIO COMMUNICATION 180

საგამომცემლო ჯგუფი: **ლარისა გურგენიძე**
ლია ზედგინიძე



გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 8(365)2-19-90, 597-07-33-08
ელ. ფოსტა: **contact@akhaltsikhe.edu.ge**